პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ.-ფეების და მასწავლებლებ-სათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 13 ივლისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 159 (2505)

დ ღ ი უ რ ი

- დიუი საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ
- მოძრაობა საფრანგეთის სათადარიგო ჯარისკაცთა შორის
- დობროჯეანუ სიკვდილის პირზეა მიმდგარი
- კომკავშირული გაზეთის გამყიდველთა გასამართლება
- პროტესტი ომის წინააღმდეგ მაროკოში
- მეზღვაურთა გაფიცვა შვეციის გემზე ლენინგრადში
- ყოფილი ადამიანები „მუგანსტროი“-ში

დავაჩქაროთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპი

(ყრილობის შედეგებისათვის)

ჩვენი ქვეყნის სამრეწველო განვითარების დარგში ჩვენ უკვე მივაღწიეთ მეტად თვალსაჩინო შედეგებს. ამ მხრივ არამც თუ გაუთანასწორდით ომის წინანდელ დონეს და აღვადგინეთ სრულიად დანგრეული სამრეწველო ცხოვრება, არამედ შევქმენით მთელი რიგი ახალი ფაბრიკები და ქარხნები, ახალი სამრეწველო დარგები და მტკიცე საძირკველი ჩაუყარეთ რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციას.

მაგრამ მიღწეული შედეგები წვეთია ზღვაში ჩვენ მიერ დასახულ ამოცანებთან შედარებით. თუ საბჭოთა კავშირი საერთოდ ჯერ კიდევ ძალზე ჩამორჩენილია მრეწველობის მხრივ, ის მით უფრო ითქმის საქართველოზე, ისე როგორც ყოფილ რუსეთის იმპერიის სხვა განაპირა რაიონებზე, რომელთა საწარმოო ძალების გაშლას თვითმპყრობელური, კოლონიალური პოლიტიკა ყოველნაირად აფერხებდა. მიუხედავად ბოლო წლების სამრეწველო მიღწევებისა, ჩვენი ქვეყანა ჯერჯერობით კვლავ რჩება მეტ წილად აგრარულ ქვეყნად, რომელიც ამასთან სასოფლო მეურნეობის დაბალი დონით ხასიათდება.

აქედან — ყრილობა გვავალებს „მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის განხორციელების დროს განუხრელად გატარებულ იქნას ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერების გეზი“, რომ ჩვენი რესპუბლიკა მოკლე დროში აგრარულ — სამრეწველო ქვეყნიდან გადაიქცეს სამრეწველო - აგრარულ ქვეყნად, ამისათვის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპი უნდა სჭარბობდეს საერთოდ საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის ტემპს, ხუთწლიანი გეგმა ამას ითვალისწინებს: ჩვენში მრეწველობის საერთო პროდუქცია უნდა გაიზარდოს 403 პროცენტით, ხოლო საკავშირო მასშტაბით ეს ზრდა გაცილებით ნაკლებია და უდრის 164 პროცენტს. ამავე დროს, ყრილობის დირექტივის თანახმად, მტკიცე კურსი უნდა იქნას აღებული იქითკენ, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საქართველოში შემავალ ავტონომიურ ერთეულების სამრეწველო განვითარებას, რომლის ტემპი უფრო ჩქარი უნდა იყოს, ვიდრე საკუთრივ საქართველოს სამრეწველო მშენებლობის ტემპი, ვინაიდან ავტონომიური ერთეულები უფრო ჩამორჩენილი არიან.

როცა სამრეწველო მშენებლობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ მრეწველობის სხვადასხვა დარგების სწორ შეფარდებას. ცხადია, ჩვენ პირველ ყოვლისა გეზი უნდა ავიღოთ მძიმე ინდუსტრიის ხელმძღვანელ როლის გაძლიერებაზე, ვინაიდან სწორედ მძიმე ინდუსტრიის განვითარებაა ძირითადი პირობა სოციალიზმის გამარჯვებისა და მთელი ქვეყნის სამეურნეო წინსვლელობისათვის. ამას ითვალისწინებს ცეკას საანგარიშო მოხსენების გამო ყრილობის მიერ მიღებული რეზოლიუცია, სადაც ვკითხულობთ: „საქართველოს პირობებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ელექტროფიკაციასა და სამთო ამოღებათა მრეწველობის (მარგანეცი, ქვა-ნახშირი და სხვ.) განვითარებას, აგრეთვე იმ დარგების განვითარებას, რომელნიც ადგილობრივ სასოფლო - სამეურნეო ნედლეულს ამუშავებენ.

რადგან სოფლის მეურნეობა საერთოდ ჩამორჩენილია და ის საკმაოდ არ არის უზრუნველყოფილი მანქანებით და იარაღებით, საჭიროა ყურადღება მიექცეს სოფლის ელექტროფიკაციას და სასოფლო - სამეურნეო იარაღების დამზადების გაძლიერებას“.

ამგვარად, მთავარი ყურადღება ექცევა წარმოების საშუალებათა დამზადებას. გეგმის მიხედვით, ამაზე უნდა დაიხარჯოს 111.671 ათასი მანეთი (64,4 პროცენტი), ხოლო მსუბუქი მრეწველობის დარგებზე 661.842 ათასი მან. (35,6 პროც.), მძიმე ინდუსტრიის პროდუქციის ზრდა უდრის 44,4 პროც. მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის კი 395,5 პროც. ჩვენი ეკონომიკის გენერალური ხაზი, რომელიც გულისხმობს მძიმე ინდუსტრიის უპირატესი როლის განმტკიცებას, გადაუხრელად უნდა იქნას გატარებული.

ამ გეზის განხორციელება და საერთოდ მრეწველობის ხუთწლიანი გეგმის შესრულება არსებით გარდატეხას მოახდენს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ურთიერთობაში. თუ 1927-28 წელში მეორის ხვედრითი წონა უდრიდა 69,3 პროცენტს, ხოლო პირველის — 31,7 პროცენტს, 1932-33 წლისათვის (ხუთწლედის უკანასკნელი წელიწადი) მდგომარეობა ასე შეიცვლება: სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონა იქნება 58,1 პროც., ხოლო მრეწველობის — 46,7 პროც., პირველი გაიზრდება დაახლოვებით სამჯერ, მეორე — 1 ნახ.-ჯერ. ამნაირად, ჩვენ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ წინ ჩვენი ქვეყნის სამრეწველო ქვეყნად გადაქცევის მიმართულებით.

ეს კი სოციალიზმის წარმატების უტყუარი მაჩვენებელია, ვინაიდან ჩვენი მრეწველობა სოციალისტური მრეწველობაა, რომელიც ამავე დროს მძლავრ გავლენას ახდენს სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაზე.

თავის თავად ცხადია, რომ სამეურნეო მშენებლობის ამ გრანდიოზულ პროგრამის განხორციელება მრავალ სიძნელესთანაა დაკავშირებული. პირველ ყოვლისა ჩვენ გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ამ დარგში მოგვეპოვება. სრულიად სამართლიანად აქცევს ყრილობის რეზოლიუცია განსაკუთრებულ ყურადღებას ჩვენი სამეურნეო მუშაობის დეფექტებს, როგორიცაა ნაკლები გეგმიანობა, მშენებლობის ვადების გაჭიანურება, საამშენებლო მასალების წარმოების განუვითარებლობა და მათი სიძვირე, მომზადებულ კადრების სიმცირე, თვითღირებულების სიდიდე, შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე და სხვა. ჩვენი საქმიანობა უნდა იქნას მიმართული ამ ნაკლოვანებათა დაძლევისაკენ და მშენებლობის გაჯანსაღებისაკენ, რომ დასახული გეგმა მთლიანად და რიგიანად შევასრულოთ. ცხადია, ამ მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევთ, როცა სამრეწველო მშენებლობაში აქტიურად და შეგნებულად ჩავაბამთ მუშათა ფართო მასებს. ამ მხრივ კერძოდ სოციალისტურ შეჯიბრების შემდგომ გაშლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მასების ამოძრავებით ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებას და ყრილობის დირექტივის განხორციელებას.

მაკდონალდის მთავრობის „მუშაობა“

რამზეი მაკდონალდის მეორე მთავრობის პოლიტიკური ხაზი ჯერ კიდევ ამ მთავრობის მოვლინებამდე—საარჩევნო კამპანიის დროს გამოირკვა. უკვე მაშინ (გამოტოვებულია) „მუშათა“ პარტიის პასუხისმგებელი ბელადები ჯერ კიდევ არ აძლევდნენ ნებას თავიანთ თავს ისე მედიდურად აეგდოთ აბუჩად მუშათა მასების საარსებო ინტერესები და ისე აშკარად შეეგუებოდნენ გაბატონებული კლასების პოლიტიკას, როგორც ამას სჩადიოდნენ ისინი უკანასკნელი არჩევნების წინა თვეებში. „მუშათა“ პარტიის ბელადები თავიანთ იმედებს ამყარებდნენ იმაზე, რომ კონსერვატია სუსტია, მუშათა მასებში უდიდესი ზიზღია დაგროვილი ზუბრთა მთავრობის წინააღმდეგ და არ არსებობს ლიბერალური პარტიის აღორძინების რწმენა; „მუშათა“ პარტია იმედოვნებდა, რომ ასეთ პირობებში პროფკავშირების ძლიერი აპარატი შესძლებს უზრუნველყოს მათთვის სასურველი გამარჯვება. ამასთანავე მაკდონალდები და ტომასები ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი იმაში, რომ საზოგადო გაფიცვისა და მემაღაროეთა გმირული ბრძოლის დამარცხება, ფართო პროლეტარული მასების ყურადღებას პარლამენტარული ილიუზიებისაკენ მიმართავს.

არჩევნების შედეგებმა კიდევ უფრო ასწია მისი უდიდებულესობის „მუშა“ მინისტრების საკუთარი თავისადმი რწმენა და „მუშათა“ მეორე მთავრობის პირველი ნაბიჯი გამოიხატა იმაში, რომ ფაქტიურად არარად ექცია ის მცირე დაპირებებიც, რომლებიც „მუშათა“ პარტიის აღმასკომმა მაინც მისცა მუშათა მასებს. ჩვენ სახეში გვაქვს ის სამი კონკრეტული დაპირება, რომლებმაც პატარა როლი არ ითამაშეს მუშათა მასების დარაზმვის საქმეში „მუშათა“ პარტიის დროშის ქვეშ: პირველი—მემაღაროეთა სამუშაო დღის შემცირება, მეორე—გაუქმება პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართულ, კანონისა, რომელსაც სამართლიანად „გაფიცვის ჩამხშლელთა ქარტია“ ეწოდა და მესამე—საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დაუყოვნებლივ აღდგენა. სამივე ეს დაპირება მიცემული იყო საკმაოდ გარკვეული და არა ორაზროვანი ფორმით. მაგრამ სეფე-სიტყვაში ეს კონკრეტული დაპირებები გახვეულ იქმნენ ბუნდოვან და ყოველგვარ ვალდებულებას მოკლებულ ფორმულებში, რომლებიც იმავე დროს საკმაოდ დამარწმუნებლად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ მაკდონალდის მთავრობა ეძებს გზებს და საშუალებებს, თუ როგორ მოატყუოს ამომრჩევლები და თავი აარიდოს რეფორმების იმ შეკვეცილ პროგრამის შესრულებასაც კი, რომელსაც იმეორებდნენ ყველანაირ კილოზე და ყველა დოკუმენტებში „მუშათა“ პარტიის ყველა ორატორები.

მუშათა პარტიის პოლიტიკანებს, რა თქმა უნდა, კარგად ესმით, რომ, თუ მუშათა მასების ნდობას დაჰკარგავენ, დაჰკარგავენ ყოველგვარ წონას ბურჟუაზიის თვალშიც და მათ შორის გადაისვრიან. ამიტომ სცდილობენ თავიანთი ძირითადი დაპირებების ასრულებაზე უარის თქმა მიჩქმალონ, ერთის მხრით, ახალი მყვირალა და უშინაარსო ლაპარაკით ზავის შესახებ და, მეორეს მხრით, წვრიმალი [illegible] მიგდებით,—როგორიცაა ქვრივი ქალების პენსიის გადიდება,—რომლებიც არ გამოიწვევენ განსაკუთრებულ გაბრაზებას ფინანსიური კაპიტალის მხრით. „თვით“ მაკდონალდი და მისი ოფიციოზი „დეილი ჰერალდ“-ი განსაკუთრებით აღნიშნავენ იმ „უდიდეს“ კეთილმოყვარეობის როლს, რომელსაც ის ფიქრობს ითამაშოს ინგლის-ამერიკის კონფლიქტის გადაწყვეტის საქმეში.

საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ყოველი ლაპარაკი ინგლის-ამერიკის კონფლიქტის ლიკვიდაციის შესახებ და წუნარ ვაშინგტონში საუბარი რგვალი მაგიდის ირგვლივ ცარიელ ლაყბობას წარმოადგენენ, მაგრამ ინგლისი დღევანდელ მომენტში ჯერ კიდევ არ არის მზად ომისათვის. იგი იძულებულია მთელი თავისი ყურადღება და მთელი თავისი ენერგია შეაჩეროს იმაზე, რომ შესაფერისად მოემზადოს მომავალი აუცილებელი შეტაკებისათვის. ამ მიზნისათვის მისთვის საჭიროა მანევრები, რომ დრო მოიგოს. რამზეი მაკდონალდის გენიალური „გამოგონება“ ვაშინგტონში გამგზავრების სახით იყო მისი წინაპრის პროგრამის ნაწილი.

განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ რამზეი მაკდონალდს უფრო ადვილად შეუძლია პაციფისტური ფრაზებით, როგორც ნისლის საბურავით, დაფაროს ომისათვის მზადება.

ინგლისი მიდის ახალი სერიოზული ეკონომიური ბრძოლებისაკენ. ამ ბრძოლებს ვერ შეაჩერებს ვერც სამრეწველო ზავის მაღალზნეობრივი ქადაგება (ლოკაუტების გვერდით), ვერც ქვრივი ქალებისათვის პენსიის მომატების შეპირება. ეს ეკონომიური ბრძოლები აიძულებენ „მუშათა“ მთავრობას და პროფესიონალურ ბიუროკრატიას პასუხი აგონ არა მარტო თავიანთ ახლანდელ დანაშაულისათვის, არამედ აგრეთვე წარსული დანაშაულებისთვისაც, და, პირველ რიგში, იმ როლისათვის, რომელიც მათ ითამაშეს საერთო გაფიცვის და მემაღაროეთა გაფიცვის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ძირითადი განსხვავება ინგლისის 1924 წლის იმ მდგომარეობისა, როდესაც პირველი მუშათა მთავრობა შესდგა, და ახლანდელი მდგომარეობის შორის იმაში გამოიხატება, რომ მაკდონალდის პირველ მთავრობას კიდევ შეეძლო თავის აქტივში ჩაეწერა ხელფასის რამდენიმედ გადიდება და გამოეყენებინა ნახშირის მრეწველობის დროებითი ნაწილობრივი გამოცოცხლება, ნახშირის პრობლემის გადაუწყვეტის გადასადებად. მაგრამ ახლა აღარ არის გზები, რომ ყურადღება არ მიაქციონ ნახშირის საკითხის გადაწყვეტას. გარდა აშკარა ფაშისტური ზომებისა არ არსებობენ აგრეთვე გზები და საშუალებები, ხელი შეუშალონ მუშათა კლასის ბრძოლას შეუჩერებელი კაპიტალისტური შეტევის წინააღმდეგ.

ადვილი არ იქნება მაკდონალდის მთავრობისათვის მიაფუჩეჩოს ან უკანა რიგში დააყენოს ინდოეთის საკითხი. ინდოეთის რევოლიუციონური მოძრაობა, რომელიც თანდათან იზრდება, არ იძლევა ამის ოდნავ შესაძლებლობასაც კი. შემთხვევითი არ არის, რომ კუკი და მექსტონი ჩქარობენ ინდოეთის რევოლიუციონერების განთავისუფლებისათვის მებრძოლ კომიტეტში ჩაწერას. ეს მემარცხენე ფრაზის გმირები ხედავენ, რომ ინდოეთის პროლეტარების ბრძოლის გაგრძელება და განვითარება სულ უფრო და უფრო მეტ ინტერესს იწვევს ინგლისის პროლეტარებში.

რომ უფრო ადვილად მიჩქმალონ „მუშათა“ მთავრობის იმპერიალისტური პოლიტიკა, ისინი ცდილობენ თავი მოგვაჩვენონ ინდოეთის რევოლიუციონერების მეგობრად. ასეთ გამჭვირვალე ორმაგი ბუღალტერიით არ გადაწყდება ის უდიდესი საკითხები, რომლებიც ზრდის პროცესში მყოფმა ინდოეთის რევოლიუციონურმა მოძრაობამ წამოაყენა.

აგრეთვე ტყუილა ამყარებენ თავიანთ იმედებს მუშათა მმართველები იურიდიული ექსპერტებისა და „დეილი ჰერალდ“-ის მეჯინიბების ხელოვნებაზე საბჭოთა კავშირის საკითხში. ამ საკითხში ბოლდუინმა კარგი სამსახური გაუწია მუშათა მოძრაობას, დაუსვა რა პირდაპირ საკითხი მაკდონალდს — რჩება თუ არა ის ერთგული იმ განთქმული ნოტის, რომელიც მან დასწერა „ზინოვიევის წერილის“ სახელით ცნობილი ჰუჭყიანი სიყალბის გამო.

რამზეი მაკდონალდს არც კი ეყო მოქალაქობრივი გამბედაობა დაყრდნობოდა იმ ხელშეკრულებას, რომელსაც მან 1924 წლის აგვისტოში მოაწერა ხელი საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელთან ერთად.

ინგლისში ამჟამად ისეთი განწყობილება იქმნება, რომ მეორე „მუშათა“ მთავრობა იძულებული გახდება, უფრო მალე და სრულად გაშიშვლდეს, ვიდრე პირველი. დიდი ბრძოლების გამოცხადება უბრალოდ არ იკმარება. საერთო გაფიცვა და მემაღაროეთა გმირული ბრძოლა მუშათა კლასის ისეთი მონაპოვარია, რომელსაც ვერავინ ამოშლის და ვერ მოსპობს. და რაც უმთავრესია, მაკდონალდის მთავრობა ისეთ მომენტში მოხვდა ხელახლად ხელისუფლების სათავეში, როდესაც სულ უფრო და უფრო მწვავდებიან იმპერიალისტური ინგლისის ყველა შინაური და საგარეო წინააღმდეგობანი და როდესაც კლასობრივი ბრძოლების ცეცხლში ცრუ მუშური მთავრობის ნამდვილი რაობა მთელი თავისი საზიზღარი სიშიშვლით იჩენს თავს.

თავის თავად ცხადია, რომ ეკონომიური ბრძოლები ავტომატიურად არ დაიწყებიან. ინგლისის ახალგაზრდა, მცირერიცხოვანი კომპარტია ჯერ კიდევ არასოდეს არ მდგარა ისეთი რთული და ძნელი ამოცანების წინაშე, როგორიც ახლა დააკისრა მას ისტორიამ. ინგლისის ეკონომიური ბრძოლები მიმართული იქნება არა მარტო კაპიტალის, არამედ პროფკავშირის იმ არისტოკრატიის წინააღმდეგ, რომელიც უკვე სავსებით შეეჩვია აშკარა შტრეიკბრეხერულ საქმიანობას. და ეს ბრძოლები თავისი ისარით მიმართულნი იქნება წინააღმდეგ „მუშათა“ მთავრობისა, რომელსაც მუშათა მილიონები ჯერ კიდევ დღესაც თავისად სთვლიან. ამ ბრძოლებისათვის საჭირო იქნება გაბედულობა, სიმტკიცე, მებრძოლებს დასჭირდება მაგარი, გაბედული და გამოცდილი ხელმძღვანელობა, რომელსაც ექნება უნარი მთელი ძალღონით იბრძოლოს აშკარა და ფარული მტრების წინააღმდეგ. ამ ხელმძღვანელობას მუშები ჰპოვებენ მხოლოდ ინგლისის კომპარტიის სახით და პროფმოძრაობის იმ მუშაკთა სახით, რომლებიც მას ემხრობიან.

„პრავდა“, 12 ივლისი.

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლებისათვის

რეიტერის ცნობით ინგლისის მთავრობა მიმდინარე კვირაში გადადგამს ნაბიჯებს ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის აღსადგენად

მაკდონალდის განცხადება თემთა პალატაში

სასამართლომ ორლოვს და პავლონოვსკის მიუსაჯა ოთხ-ოთხი თვით პატიმრობა

ინგლის-საბჭოთა ურთიერთობა

რეიტერის ცნობა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის განახლების შესახებ

ლონდონი, 11 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„მოსალოდნელია, რომ მომავალ კვირას ინგლისის მთავრობა გადასდგამს ნაბიჯებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განსაახლებლად, რისთვისაც საბჭოთა მთავრობას გაუგზავნის შესაფერ მიმართვას. ამჟამად არკვევენ მიმართვის ფორმას. იმედი აქვთ, მიმართვა ისეთი იქნება, რომ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ამ თვის დამლევამდე შესძლებს ლონდონში ჩასვლას და იქ გარეშე საქმეთა მინისტრთან მოლაპარაკების დაწყებას ორი ქვეყნის ურთიერთობის განახლების შესახებ, ამასთან მიღწეული იქნება დამაკმაყოფილებელი შეთანხმება, რომელიც შესაძლებელს გახდის ჩვეულებრივი დიპლომატიური აპარატის ამოქმედებას“. (ადს).

შეკითხვები მაკდონალდს

ლონდონი, 11 ივლისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„თემთა პალატაში პრემიერ მაკდონალდს შეეკითხნენ—საშუალება ექნება თუ არა პალატას რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე განიხილოს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლების საკითხი.

მაკდონალდმა უპასუხა: „უეჭველია, გვექნება შესაფერი შემთხვევა საბჭოთა მთავრობასთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლების საკითხის განსახილველად. მაგრამ მე ვერ ვიკისრებ ყოველგვარი მოქმედების გადადებას კამათამდე. იმ მიწერ-მოწერის გამოქვეყნების საკითხი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ან შეიძლება ჰქონდეს, განხილული იქნება, მაგრამ საქმე ჯერ იმ სტადიაში არ არის, რომ სასურველი იყოს რაიმე დოკუმენტების გამოქვეყნება. ყოველ შემთხვევაში ჩვენი მთავრობა იმ დრომდე არ გამოაქვეყნებს მიწერ-მოწერას, სანამ წინასწარ არ ითათბირებს დომინიონების მთავრობებთან.

ჩერჩილმა ჰკითხა: ხომ არ გვაცნობებს პრემიერი—თემთა პალატას ამ საკითხის განხილვის საშუალება მიეცემა ზაფხულის არდადეგებამდე თუ შემდეგ.

მაკდონალდმა უპასუხა: „საკითხის ასე დასმა მიუღებელია მოლაპარაკება ერთი კვირის განმავლობაში არ თავდება და ყოველთვის ჩვენზე არ არის დამოკიდებული ის ნაბიჯი, რომლის გადადგმაც ჩვენ გვსურს ამა თუ იმ საკითხში“.

კონსერვატ. ლოკერ ლემპსონმა ჰკითხა: „არ შეიძლება ამ საკითხის განსახილველად დაინიშნოს განსაზღვრული დღე, ოქტომბრამდე“?

მაკდონალდმა უპასუხა: „არსებობს ჩვეულებრივი წესები ამა თუ იმ საკითხის დასმისათვის განსახილველად. გარდა ამისა, თუ მოლაპარაკება მიაღწევს განსაზღვრულ სტადიას ან თავს იჩენს რაიმე გარემოება, პალატას ყოველთვის შეუძლია ჩვეულებრივი წესით მოითხოვოს საკმათოდ დღის დანიშვნა ამ საკითხისათვის. ჩვენ ამ შემთხვევაში ზედმიწევნით დავიცავთ თემთა პალატაში შემოღებულ პრაქტიკას“.

ჩემბერლენმა ჰკითხა: „ექნება თუ არა თემთა პალატას საშუალება, რომ ურთიერთობის განახლებამდე გაარკვიოს: დამაკმაყოფილებელია თუ არა საბჭოთა მთავრობის პასუხი იმ პირობებზე, რომლებიც პრემიერმა დაუდო, ურთიერთობის განახლებისათვის?“

მაკდონალდმა უპასუხა: „არა, მე ვერას გზით ვერ დავეთანხმები ამას. მთავრობა მხედველობაში მიიღებს ყველაფერს, სახელდობრ: მთავრობის განცხადებას თემთა პალატის მიმართ, საბჭოთა მთავრობის პასუხს და მოლაპარაკების საერთო ხასიათს. ამ მხრით ჩვენ არ ვადაუხვევთ იმ წესს, რომელსაც სხვა შემთხვევაში თვით ჩემბერლენი მიმართავდა“.

ჩერჩილმა ჰკითხა: „უნდა გამოვიტანოთ თუ არა აქედან ის დასკვნა, რომ თუ საკითხს პალატა არ განიხილავს ახლანდელი სესიის ბოლომდე. იგი შეიძლება გადაწყდეს და გადაწყვეტილება განხორციელდეს ახალი სესიის დაწყებამდე?“

მაკდონალდმა უპასუხა: „დიახ, რამდენადაც მთავრობა ამას შესძლებს. მაგრამ ამ შემთხვევაში პალატას უფლება აქვს განიხილოს საკითხი და მის შესახებ გადაწყვეტილება გამოიტანოს“. (ადს).

ჰენდერსონის განცხადება

ლონდონი, 11 ივლ. საბჭ. მთავრობასთან დიპლომატ. ურთიერთობის განახლების საკითხის შესახებ ჰენდერსონმა განცხადება გაუკეთა ინგლისის გაზეთებისა და სააგენტოების წარმომადგენლებს, ხოლო შემდეგ—უცხოეთის კორესპონდენტებს.

მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის წრეებში გაკვირვებას გამოსთქვამენ იმ წესის გამო, რომლის დაცვასაც, ჰენდერსონის განცხადების თანახმად, მთავრობა აპირებს. „დეილი ჰერალდ“-ის დიპლომატიური მიმომხილველი ხელმძღვანელ წრეებთან საუბრის შემდეგ ამას წინათ სწერდა: „ინგლისმა საბჭოთა მთავრობა ერთხელ და სამუდამოდ იცნო. საჭიროა მხოლოდ ერთი რამის გაკეთება—შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობის განახლება. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ურთიერთობა განახლებული იქნება, ჩვენ შეგვიძლია შეუდგეთ იმ ურთიერთობის განგრძობას, რომელიც შესწყდა 1924 წელს, როცა მუშათა პარტიის მთავრობამ დამარცხება განიცადა“. აქ ნათლად არის ნათქვამი, რომ ურთიერთობის განახლება წინ უნდა უძღოდეს ყოველგვარ მოლაპარაკებას. ჰენდერსონის განცხადებაში კი ლაპარაკია „საბჭოთა წარმომადგენლობაზე“ იმ პირობების განსახილველად, რომელთა შესრულებასაც შეიძლება მოჰყვეს ელჩების დანიშვნა. (ადს).

გაფიცვების ტალღა

გაფიცვა როზარიოს ნავთსადგურში

ნიუ-იორკი, 11 ივლისი. ბუენოს აირესიდან მიღებული ცნობით, გრძელდება წისქვილში მომუშავეთა გაფიცვა როზარიოს ნავთსადგურში. გაფიცულნი მოითხოვენ—შესწყდეს სამსახურში ისეთ პირთა მიღება, რომლებიც პროფკავშირის წევრები არ არიან. ნავთსადგურის მუშებმა გამოაცხადეს სოლიდარობის გაფიცვა. გაფიცვით იმუქრებიან აგრეთვე სხვა პროფკავშირები. გაფიცვის გამო ცხოვრება როზარიოს ნავთსადგურში ჩაკვდა. (ადს).

გაფიცვა გრძელდება

შანხაი, 11 ივლისი. საგაფიცვო მოძრაობამ შანხაიში ფართო ხასიათი მიიღო. გაფიცულია 15.000 კაცი გრძელდება აბრეშუმის სართავ საწარმოთა 13.000 მუშა-ქალის გაფიცვა. დაპატიმრებულია 8 მუშა ქალი, რომლებიც საგაფიცვო მოძრაობის ხელმძღვანელებად ითვლებიან.

ინგლისური ორგანო „შანხაი ტაიმს“-ი ამტკიცებს, რომ პროფკავშირები და კომუნისტები სცდილობენ გამოიწვიონ ახალი გაფიცვა.

გაზეთი მოითხოვს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ კვლავ გამოსცეს დეკრეტი გაფიცვის აკრძალვის შესახებ, ხოლო შრომის კონფლიქტების განხილვა ხელისუფლებამ გადაეცეს. გაზეთი მოითხოვს აგრეთვე, რომ ხელისუფლებამ გამოსცეს განკარგულება გაფიცულთა, განსაკუთრებით საგაფიცვო მოძრაობის ხელმძღვანელთა სასტიკად დასჯის შესახებ. (ადს).

ჩინელი მუშების გაფიცვა

ულანბატორი, 11 ივლისი. ტყავის კერძო ქარხნებში, რომლებიც ჩინელებს ეკუთვნიან, ჩინელმა მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცული მუშები მოითხოვენ 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, ხელფასის გადიდებას 40 პროცენტით, კოლექტიურ ხელშეკრულების დადებას და მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას. გაიფიცნენ 21 ქარხნის მუშები.

მეტყავეთა გაფიცვა—პირველი გაფიცვაა მონღოლეთის პროფმოძრაობის არსებობის განმავლობაში. მონღოლეთის საზოგადოებრიობა ხელს უწყობს გაფიცულებს. (ადს).

დიუი საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ

ვარშავა, 11 ივლისი. „ექსპრეს პორანნი“-ში დაბეჭდილია საუბარი საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ ამერიკელ ფინანსიურ მრჩეველთან დიუისთან. დიუიმ სთქვა:

უნდა აღვნიშნო, რომ მართალი არ არის ევროპისა და ამერიკის პრესის განცხადება, ვითომ ჩემს გამგზავრებას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა და ვითომ, დაკისრებული მქონდა შუამავლობა საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის საქმეში ან საბჭოთა კავშირსა და ჩრდ. ამერიკის შტატებს შორის სავაჭრო ურთიერთობის დამყარების საქმეში. მე საბჭოთა კავშირში ვიმოგზაურე როგორც ტურისტი და რადგანაც დაინტერესებული ვარ საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობით, დავათვალიერე 12 დიდი სამრეწველო საწარმოო.

პირადი დაკვირვებით შემიძლია ვსთქვა, რომ წელს საბჭოთა კავშირში საუცხოვო მოსავალია მოსალოდნელი. ჩემი ყურადღება მიიქცია იმან, რომ საბჭოთა კავშირის რკინის გზები კარგად მუშაობენ.

საბჭოთა კავშირის საერთო ეკონომიური მდგომარეობის შესახებ მიძნელდება ლაპარაკი იმ დრომდე, სანამ ამ საკითხს არ შევისწავლი“.

დიუიმ შემდეგ აღნიშნა, რომ ლენინგრადის მუზეუმებში მან „ნახა მეტად ძვირფასი კულტურული განძეული“. დიუიმ დასასრულ განაცხადა, თუ დრო მექნება, კვლავ წავალ საბჭოთა კავშირში. (ადს).

მოძრაობა სათადარიგო ჯარისკაცთა შორის

პარიზი, 11 ივლისი. როგორც „ლიუმანიტე“ იუწყება, საარტილერიო ბატალიონის 70 სათადარიგო ჯარისკაცმა ბელფორში უარი განაცხადა — მონაწილეობა მიეღოთ ომში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ აღლუმში, რომელსაც აშკარა შოვინისტური ხასიათი ჰქონდა.

საარტილერიო ბატალიონის სათადარიგო ჯარისკაცთა ჯგუფმა ეპინალში „ლიუმანიტე“-ს გადასცა პროტესტი სათადარიგო ჯარისკაცთა გაწვევის ხანგრძლივი ვადების წინააღმდეგ და განცხადება იმის შესახებ, რომ სათადარიგო ჯარისკაცები ემხრობიან კომპარტიის იმ ლოზუნგებს, რომელნიც 1 აგვისტოს შეეხებიან. პროტესტზე ხელის მომწერლებმა გამოგზავნეს ფული წითელი დღის ფონდის სასარგებლოდ (ადს).

ორლოვის და პავლონოვსკის პროცესი

ბერლინი, 11 ივლისი. სასამართლოს სხდომაზე ორლოვისა და პავლონოვსკის საქმის გამო ილაპარაკა ორივე პროკურორმა.

პროკურორმა კელერმა, ბერლინის პროკურატურის პოლიტიკური განყოფილების გამგემ, აღნიშნა რა პროცესის პოლიტიკური მნიშვნელობა, სთქვა:

„ამ პროცესამდე არავინ იცოდა, რამდენად იყენებდნენ ბერლინში ჯაშუშებს. ბევრმა ოფიციალურმა დაწესებულებამ უნდა გამოიყენოს ჯაშუშები, მაგრამ საქმე იმაშია, როგორია ჯაშუშები. ამ საქმეში პირველ რიგში დგანან რუსი ჯაშუშები, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ ყველაფერს კარგად იცნობენ და ამით საქმეს იკეთებდნენ“.

პროცესმა გვიჩვენა-რა ფასად ყიდულობდნენ ამგვარ ინფორმაციას. გვიჩვენა აგრეთვე, რომ თითქმის ყველა დოკუმენტები ყალბი იყო.

ექსპერტიზამ დაამტკიცა სრული უსაფუძვლობა იმისა, თითქოს საბჭოთა მთავრობამ იცოდა ამ მახინაციების შესახებ და თითქოს იგი მონაწილეც კი იყო მათში. საბჭოთა მთავრობისთვის სიყალბეს ისეთივე ვნება მოაქვს, როგორც ყოველი პატიოსან ადამიანისთვის. პროცესის ერთად-ერთ დადებით მხარედ უნდა ჩათვალოთ ის, რომ მრავალი საყურადღებო გარემოება გამოირკვა, აგრეთვე ის, რომ გამოაშკარავდა ბრალდებულთა როლი ნიკერბროკერის საქმეში.

მეორე პროკურორმა ებელმა თავისი სიტყვა უმთავრესად საქმის ფაქტიური მხარეების გარკვევას მოანდომა.

დასასრულ პროკურორმა ბრალდებულთა მოქმედება დაახასიათა, როგორც „დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტების ყალბის მქნელობა და აფერისტობა“ და მოითხოვა, მიესაჯოს ორლოვს 6 თვის პატიმრობა, ხოლო პავლონოვსკის—5 თვის, სამოქალაქო უფლებების ჩამოურთმევლად.

ებელმა თავის სიტყვაში აღნიშნა ბრალდებულთა დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებანი: სიყალბით მიყენებული უდიდესი ზიანი, თავის შეფარების უფლების ბოროტად გამოყენება და „ის სიძნელენი, რომლებიც გაუჩნდა გერმანიის უცხო სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში“. ამასთან პროკურორმა გამონახა შემამსუბუქებელი გარემოებაც. ბრალდებულნი „პირობების მსხვერპლნი“ არიანო.

„სწორედ ამიტომ,—სთქვა ებელმა,—მე არ მოვითხოვ ბრალდებულთათვის კატორღას“-ო.

დამცველთა სიტყვები

ბერლინი, 11 ივლისი. ორლოვისა და პავლონოვსკის პროცესზე დამცველთაგან პირველად ილაპარაკა ორლოვის დამცველმა აფემ, რომელმაც დახატა ჩვეულებრივი მოჭორილი სურათი „ბოლშევიკური საშინელებათა“ შესახებ. იგი ირწმუნებოდა, რომ ბრალდებულნი ამ საშინელებათა მსხვერპლნი არიან. და გაკვრით უთითებდა ყალბი დოკუმენტების დამზადების შესაძლებლობაზე სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს მიერ.

შემდეგ დამცველი შეეხო „ორლოვის წმინდა იდეალურ მოტივებს“. მან აღნიშნა მისი „დამსახურება“ გერმანიის ხელისუფლების წინაშე.

პავლონოვსკის დამცველი ფუქსი ცდილობდა ბრალდებული „გმირებად“ გამოეყვანა.

ყალბი დოკუმენტების დამამზადებელი ორლოვი

დამცველის სიტყვით, პავლონოვსკი თითქმის წმინდანია.

უკანასკნელ სიტყვაში ორივე ბრალდებული ამტკიცებდა, რომ ისინი დამნაშავენი არ არიან. პავლონოვსკიმ თავისი სიტყვა დაამთავრა იმით, რომ მას „ამიერიდან არასოდეს საქმე აღარ ექნება დოკუმენტებთან“.

განაჩენი

ბერლინი, 11 ივლისი. სასამართლომ ორლოვის და პავლონოვსკის მიუსაჯა ოთხ-ოთხი თვის პატიმრობა, რომელიც უკვე მოხდილად ითვლება წინასწარ პატიმრობაში ყოფნით. ამიტომ ორივე განთავისუფლებული იქნება. ორლოვი და პავლონოვსკი სასამართლომ დამნაშავებად სცნო „დიდმნიშვნელოვანი კერძო დოკუმენტების ყალბის მქნელობაში აფერისტობასთან შეერთებით“. ამავე დროს სასამართლომ ისინი დამნაშავეებად იცნო ორი საბუთის ყალბის მქნელობაში იმ საბუთებიდან, რომლებიც მათ ნიკერბროკერისათვის სურდათ მიეყიდათ.

რაც შეეხება მესამე საბუთს—„სახელმწიფო პოლიტსამმართველოს ინსტრუქცია“-ს, სასამართლოს განაჩენში ნათქვამია, რომ „ამ დოკუმენტის სიყალბე პროცესის დროს ვერ დამტკიცდა“-ო. ბრალდების სხვა მუხლებში ბრალდებულნი გაამართლეს.

რაც შეეხება სასჯელს სასამართლომ აღნიშნა, რომ „თავის შეფარების უფლების ბოროტად გამოყენება წარმოადგენს ბრალდების დამამძიმებელ გარემოებას“, მაგრამ ამავე დროს სასამართლომ ჰპოვა „ბრალდების შემამსუბუქებელი გარემოებაც“, ვინაიდან, მისი აზრით, „ორივე ბრალდებული, განსაკუთრებით ორლოვი, მოქმედებდა არა მარტო პირადი, არამედ იდეური მოტივებითაც“. (ადს).

დობროჯეანუ სიკვდილის პირზეა მიმდგარი

ვენა, 11 ივლისი. რუმინეთის უნიტარულ პროფკავშირთა ორგანოს „ვიაცა მუნჩიტოარე“-ს ცნობით დობროჯეანუ 30 დღის შიმშილობის შემდეგ, სიკვდილის პირზეა მიმდგარი. გაზეთი მოუწოდებს მუშებს—ენერგიულად იბრძოლონ დობროჯეანუს სიცოცხლის გადასარჩენად (ადს).

მზადება პირველ აგვისტოსათვის

კომპარტიის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს

ბერლინი, 11 ივლისი. საანგარიშო კამპანია გერმანიის კომპარტიის მე-12 ყრილობის შემდეგ დაუკავშირდა იმ კამპანიას, რომელიც გამართა მასების დასარაზმავად 1-ლ აგვისტოსათვის. 1-ლ აგვისტოსათვის მზადების კამპანიასთან დაკავშირებულია აგრეთვე ეკონომიური ბრძოლა. მასიური აგიტაცია რურის მემაღაროეებს, ბერლინის და ვიურტემბერგის მელითონეებს, სილეზიის ფეიქრებს და სხვათა შორის დიდის წარმატებით მიმდინარეობს. კამპანია სწარმოებს განსაზღვრული გეგმით, რომელიც, სხვათა შორის, ითვალისწინებს კრებებისა და დემონსტრაციების მოწყობას 14 ივლისს, მეორე ინტერნაციონალის დაარსების ორმოცი წლის თავის დღეს. (ადს).

რემედასის მოწოდების თანახმად.

პარიზი, 11 ივლისი. რემედასის აღმასკომი მოუწოდებს მშრომელ მასებს—ენერგიულად დაიწყონ კამპანია პოლიტიკური პატიმრების განსათავისუფლებლად. ეს კამპანია დამთავრდება 1-ლ აგვისტოს გრანდიოზული მანიფესტაციით.

ბორდოს ნავთსადგურის მუშებმა, უნიტარული კონფედერაციის და რემედასის ლოზუნგების თანახმად, დაადგინეს—მთლად შეაჩერონ მუშაობა 1-ლ აგვისტოს (ადს).

პროტესტი ომის წინააღმდეგ მაროკოში

პარიზი, 11 ივლისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის გენერალური რეზიდენტი მაროკოში სენი 20 ივლისს საფრანგეთში მიემგზავრება იმ მიზნით, რომ ითათბიროს მთავრობასთან მაროკოს მდგომარეობის შესახებ.

„იუმანიტე“ აღნიშნავს, რომ მაროკოში თითქმის ყოველ დღე იგზავნება ჯარი, ზარბაზნები, ტყვია-წამალი და ჰაეროპლანები. [illegible] რაიონში ბრძოლა გრძელდება. „მშვიდობიან შესვლას“ თან ახლავს უამრავის დაშინება, ხანძარი და მოსავლის განადგურება, რაც სისტემატიურად გრძელდება.

გაზეთი მოუწოდებს საფრანგეთის პროლეტარიატს—გამოუმჟღავნონ თავისი სურვილი ომის შეწყვეტის სასარგებლოდ და მიიღონ მონაწილეობა იმ მიტინგში, რომელსაც კომპარტია აწყობს მაროკოს ომის საწინააღმდეგო პროტესტის ნიშნად (ადს).

ფინეთის სეიმის არჩევნების შედეგები

ჰელსინგფორსი, 11 ივლისი. არჩევნების საბოლოო შედეგები შემდეგია: აგრარულმა პარტიამ მიიღო 60 მანდატი (წარსულ შემადგენლობაში ჰქონდა 52 მანდ.), სოციალ-დემოკრატებმა—59 (60), კოალიციონურმა პარტიამ—28 (34), შვეციის სახალხო პარტიამ—23 (24), მემარცხენე სოციალისტებმა (ეკონომისტებმა)—23 (20), პროგრესიულმა პარტიამ—7 (10), მემარცხ. სოციალისტებმა მოიგეს 3 მანდატი, აგრარიებმა—8, სოც.-დემოკრატებმა დაჰკარგეს ერთი მანდატი, კოალიციონურმა პარტიამ—6, პროგრესიულმა პარტიამ—3 და შვეციის სახალხო პარტიამ—1.

კომკავშირული გაზეთის გამყიდველთა გასამართლება

პარიზი, 11 ივლისი. პარიზის გამასწორებელ სასამართლოში გაირჩა 16 მუშა-კომკავშირელის საქმე. მათ ბრალდებოდათ „ანარქისტული პროპაგანდა და მონაწილეობა იმ მოწოდებებში, რომლებიც ხალხს მოსამსახურეებს ურჩობისაკენ მოუხმობდა“. ანარქისტულ პროპაგანდაში მონაწილეობა გამოიხატა იმაში, რომ ბრალდებულებმა, რომელნიც კომკავშირელთა გაზეთის „ავანგარდი“-ს გამყიდველები იყვნენ, გაავრცელეს ამ გაზეთის 27 აპრილის ნომერიც, რომლის ერთერთ წერილში ხელისუფლებამ დაინახა „ურჩობისაკენ მოწოდება“.

სასამართლომ ყველა ბრალდებულს მიუსაჯა 3 თვის პატიმრობა და ორას-ორასი ფრანკი ჯარიმა.

„იუმანიტე“ აღნიშნავს, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც გაზეთში მოთავსებული წერილისთვის სჯიან გაზეთის გამყიდველებს. (ადს).

შრომის ახალი კანონი მექსიკაში

ნიუ-იორკი, 11 ივლისი. მექსიკიდან მიღებული ცნობით, პრეზიდენტი პორტეს ხილი 20 ივლისს იწვევს კონგრესის საგანგებო სესიას, რომელზედაც განხილულ იქნება წარსული წლის ნოემბერში გამოქვეყნებული კანონ-პროექტი შრომის შესახებ.

კანონ-პროექტი ითვალისწინებს იძულებით არბიტრაჟს შრომის კონფლიქტების დროს და აწესებს შრომით ბეგარის სისტემას. ახალი კანონის მიხედვით მოეწყობა სამომრიგებლო შრომის საქმეებზე, შრომის ინსპექტორების ქსელი, შემოღებული იქნება სამუშაო ხელფასის მინიმუმი, მუშათა დაზღვევა, 8 საათის სამუშაო დღე და 6 დღის სამუშაო კვირა. კანონ-პროექტ დასაშვებად მიაჩნია გაფიცვა, რომელიც „არ დაარღვევს იძულებითი არბიტრაჟს“.

მექსიკის ყოველი მოქალაქე ვალდებულია შეისწავლოს რომელიმე ხელობა ან პროფესია და ამ ხელობაზე თვით მექსიკაში იმუშაოს არა ნაკლებ ერთი წლისა.

შრომითი ბეგარა ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში თუ ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები, ყოველი მოქალაქე ვალდებულია იმუშაოს ერთი თვის განმავლობაში მაინც იმ პოსტზე, რომელზედაც ის იქნება დანიშნული.

ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშების 70 პროცენტი უნდა იყოს მექსიკის მოქალაქენი. ქარხნების და ფაბრიკების მმართველები, აგრეთვე ზედამხედველები ვალდებულნი არიან იცოდნენ ესპანური ენა.

მაგარი სასმელების გაყიდვა და სათამაშო სახლების მოწყობა მუშათა კვარტალებში აკრძალულია.

ლოკაუტი შეიძლება იქნას დაშვებული მხოლოდ გაფრთხილებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ.

მექსიკის შრომის რეფორმისტული ფედერაციის წარმომადგენლებმაც კი მკაცრად გაილაშქრეს კანონ-პროექტის მთელი რიგი მუხლების წინააღმდეგ, რომლებიც საგრძნობლად ჰკვეცავენ მუშათა ორგანიზაციების უფლებებს. (ადს).

ამხ. პრეობრაჟენსკის, რადეკის და სმილგას განცხადება

მოსკოვი, 12 ივლისი. ამხ. პრეობრაჟენსკიმ, რადეკმა და სმილგამ განცხადება შეიტანეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში. ამ განცხადებაში, სხვათა შორის ნათქვამია:

„ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკას, რომელიც გამოხატულია ხუთწლიანი გეგმის კონკრეტულ ციფრებში, ვთვლით სოციალისტური მშენებლობის პროგრამად. ჩვენს ბოლშევიკურ მოვალეობად მიგვაჩნია მივიღოთ აქტიური მონაწილეობა ამ პროგრამის განხორციელებაში“.

ამხ. პრეობრაჟენსკი, რადეკი და სმილგა აცხადებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ ბრძოლას მემარჯვენეებთან, მხარს უჭერენ კომინტერნის პოლიტიკას, სწორად მიაჩნიათ ახალი ტაქტიკისაკენ შებრუნება დასავლეთ ევროპის პროფესიონალურ მოძრაობაში და უერთდებიან პარტიის მე-15 ყრილობის ყველა გადაწყვეტილებებს.

„ჩვენ ვსწყვეტთ იდეურ და ორგანიზაციულ კავშირს ტროცკისთან“, — აცხადებენ ისინი.

დასასრულ ამხ. პრეობრაჟენსკი, რადეკი და სმილგა სთხოვენ ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, რათა ისინი მიღებულ იქნან პარტიის რიგებში. ისინი მოუწოდებენ ყველა თავიანთ თანამოაზრეებს გასწყვიტონ კავშირი ტროცკისტულ ოპოზიციასთან და დაუბრუნდნენ პარტიის რიგებს.

უკანასკნელი ცნობები

პუანკარეს გამოსვლა დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 12 ივლისი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, პუანკარემ თემთა პალატაში დიდი სიტყვა წარმოსთქვა ვალების შესახებ მიღწეულ შეთანხმებათა საკითხზე. მან აღნიშნა, რომ საქმე ეხება მხოლოდ შეთანხმებათა რატიფიკაციას, რადგან ვალები უკვე დიდი ხნის ცნობილი და დამტკიცებულია. მან მწუხარება გამოსთქვა იმის გამო, რომ შეთანხმებებში არ არის შენიშვნა, რომლის მიხედვითაც ავტომატიურად უნდა შეწყდეს საფრანგეთის მიერ შეერთებულ შტატებისათვის ვალების გადახდა, როგორც კი გერმანია შეუწყვეტს ვალების გადახდას საფრანგეთს. პუანკარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოველი სხვა მოქმედება, გარდა მარტივი და უმნიშვნელო რატიფიკაციისა, საშიშარი იქნებაო. პუანკარემ განაცხადა, რომ საფრანგეთმა შერთებულ შტატებს უნდა გადაუხადოს სამხედრო მასალების ვალის მორიგი თანხა, რომელიც 10 მილიარდ ფრანკს უდრის (ამ თანხის გადახდის ვადა პირველი აგვისტოა). მან აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების რესპუბლიკა არ დასთანხმდა ხელახლა გადაედო ამ თანხის გადახდის ვადა (თუ არ მოხდა მელონ-ბერანჟეს შეთანხმების რატიფიკაცია), და სთქვა:

„ჩვენ უნდა ამოვირჩიოთ უმჯობესი ორი შესაძლებელი გადაწყვეტილებიდან: ან გადავიხადოთ ეს თანხა და არ მოვახდინოთ შეთანხმების რატიფიკაცია, ან მოვახდინოთ შეთანხმების რატიფიკაცია, რასაც შედეგად მოჰყვება ამ თანხის გადახდის ვადის გადადება“. (ადს).

მაკდონალდს „მოაგონეს“

ლონდონი, 12 ივლისი. თემთა პალატაში გამოსულმა მუშათა პარტიის წევრმა ტერტლმა „მოაგონა პრემიერს“, რომ ეხლანდელი პალატის წევრთა თვალსაჩინო უმრავლესობამ თავიანთ ამომრჩეველთა წინაშე იკისრა ვალდებულება დაუყოვნებლივ აღედგინა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. (ადს).

ინციდენტი ვილკომირის საპყრობილეში

ვარშავა, 12 ივლისი. კრაკოვის გაზეთების ცნობით, ვილკომირში შეიარაღებული პირები შეიჭრნენ საპყრობილეში და გაანთავისუფლეს 24 პოლიტპატიმარი. პოლიციამ კვლავ დააპატიმრა 11 განთავისუფლებული. სხვები უკვალოდ მიიმალნენ. (ადს).

ვოიცეხოვსკის დამცველების აპელაცია

ვარშავა, 12 ივლისი. თეთრგვარდიელ ემიგრანტ ვოიცეხოვსკის (რომელიც თავს დაესხა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელს ამხ. ლიზარევს) დამცველებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამო, თუმცა სააპელაციო სასამართლომ პირველ ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნული 10 წლის პატიმრობა უკვე შეამცირა 5 წლამდე. (ადს).

არა ყრილობა, არამედ ომისათვის მზადება

ბერლინი, 11 ივლისი. ამსტერდამში გაიხსნა სავაჭრო პალატის მეხუთე ყრილობა. იმ შეთანხმების გამო, რომელიც შეეხება საქონლის შეტანისა და გატანის აკრძალვის გაუქმებას, პალატამ თხოვნით მიმართა იმ მთავრობებს, რომელთაც ამ შეთანხმებას ხელი მოაწერეს—ახლო მომავალში მოახდინონ შეთანხმების რატიფიკაცია.

„როტე ფანე“ სწერს: ფაქტიურად ყრილობის მიზანს შეადგენს სამხედრო ხასიათის ეკონომიური ღონისძიებებისა და საბჭოთა კავშირის ბოიკოტის და ბლოკადის ზომების შემუშავებას. (ადს).

ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ

ვენა, 11 ივლისი. „როტე ფანე“-ს ცნობით, 17 ივლისისათვის მოწვეული იქნება გაფართოებული კონფერენცია ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების განსახილველად. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მუშების და რევოლიუციონური ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფაშიზმთან მებრძოლი კომიტეტი და ომის საფრთხესთან მებრძოლი კომიტეტი. (ადს).

აეროპლანის „საბჭოთა ფრთები“-ს პატივსაცემად

ბერლინი, 11 ივლისი. დერილიუფის სააქციო საზოგადოებამ საბჭოთა აეროპლანის „საბჭოთა ფრთები“-ს პატივსაცემად დარბაზობა გამართა. დარბაზობას, რომელიც ბერლინის ზოოლოგიურ პარკში გაიმართა, დაესწრნენ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ბერლინში კრესტინსკი და გერმანიის პრესის და ლიუფთჰანზის ფირმის წარმომადგენელნი. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„საბჭოების ფრთები“ ბერლინში

მოსკოვი, 12 ივლისი. „იზვესტია“-ს სპეციალური კორესპონდენტი **გარრი**, რომელიც თან ახლავს აეროპლან „საბჭოების ფრთებს“, იტყობინება:

„საბჭოების ფრთები“-ს, მსოფლიო გადაფრენის პირველი რეისი მოსკოვი-ბერლინი დიდი გამარჯვებით იქნა შესრულებული. მფრინავ **გრომოვი**, რომელიც მართავს აპარატს, იშვიათი სილამაზით დაეშვა დღეს ბერლინის აეროდრომზე. „საბჭოთა ფრთები“ შეუსვენებლივ ჩაფრინდა მოსკოვიდან ბერლინში. მიუხედავად იმისა, რომ გზაზე იყო ძლიერი მოპირდაპირე ქარი და ცუდი ამინდი, აპარატი მთელი მანძილის დაფარვას მოუნდა მხოლოდ 10 ½ საათი. გზის შესამოკლებლად „საბჭოთა ფრთები“ მიფრინავდა ბალტიის ზღვით, რამაც 1 ½ საათით შეამცირა მგზავრობის დრო.

საბჭოთა ავიაციის უფროსის ამხ. **ზარზარის** აზრით „საბჭოთა ფრთებმა“ უკვე ამ ერთი რეისის შესრულებით ცხადჰყო ჩვენი სისტემის აეროპლანის იშვიათად კარგი თვისებანი. აპარატი მთელ მანძილზე მიფრინავდა 100 მეტრის სიმაღლეზე. ასეთ სიმაღლეზე გადაფრენა და ისიც შეუსვენებლივ იმ მძიმე ატმოსფერულ პირობებში, რომლებიც შეხვდა „საბჭოთა ფრთებს“, ჩვენი ავიაციის მსოფლიო რეკორდად უნდა ჩაითვალოს.

ბერლინის აეროდრომზე, „საბჭოთა ფრთები“-ს მისვლის დროს აფრიალებულ იქნა წითელი დროშა, ორკესტრი უკრავდა ინტერნაციონალს. აეროპლანს შეხვდა საბჭოთა ელჩი გერმანიაში ამხ. **კრესტინსკი**, საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის თანამშრომლები და გერმანიის ავიაციის გამოჩენილი მოღვაწეები.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი

ბალტიის გემთა საამშენებლო ქარხნის მუშების წერილი მთავრობისადმი

მოსკოვი, 11 ივლისი. „პრავდა“ თავის დღევანდელ ნომერში ათავსებს მუშათა მთელ რიგ კოლექტიურ წერილებს ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის გამოშვების აუცილებლობის შესახებ.

სხვა წერილებს შორის მოთავსებულია ბალტიის გემთა საამშენებლო ქარხნის მუშების წერილი მთავრობის სახელზე. წერილში ნათქვამია:

ხუთ წლიან საპერსპექტივო გეგმის განხორციელება ჩვენ უდაოდ მიგვაჩნია. მაგრამ ეს გეგმა შესრულებულ იქნება იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი და მასთან ერთად მთელი მშრომელი მასა აქტიურ დახმარებას გაუწევს პარტიას და ხელისუფლებას ამ დიად საქმეში. **ჩვენ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ სოციალისტური მშენებლობის ამ გენერალური გეგმის განხორციელებაში არა მარტო შრომით, არამედ პირადი ფინანსიური დახმარებით.** ამ მიზნით **წინადადება შემოგვაქვს გამოუშვას მთავრობამ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი.**

ამასთან ერთად „პრავდა“ ათავსებს მუშა პროზოროვის წერილს, რომელმაც უკვე შეიტანა **100 მანეთი** ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ფონდის შესაქმნელად.

ჩერვონცების ფალსიფიკატორი ქარუმიძის უტიფარი განცხადება

მოსკოვი, 12 ივლისი. მოსკოვში მიღებულია გერმანიის გაზეთების კომენტარიები საბჭოთა ყალბ ჩერვონცების დამამზადებელ ორლოვისა და სხვების პროცესის შესახებ.

გაზეთი „ფოსიშე ცაიტუნგ“-ი ეხება პროცესის დასრულებას და სწერს:

პროცესის ფესვები მხოლოდ რამდენიმედ იქნა გაშუქებული ჩირაღდანით, ხოლო ისინი საბოლოოდ არ არის გამოაშკარავებული. ბერლინი სავსეა ბნელი ძალებით. სხვებთან ერთად სადათიერაშვილიც განთავისუფლებულია წინასწარ პატიმრობისაგან. მას შეუძლია თავისუფლად ისეირნოს ორლოვთან და სუმაროკოვთან ერთად ბერლინის ცენტრალურ ქუჩებზე. ამავე დროს თავი წამოჰყო სადათიერაშვილის ყალიბის რაინდმა ქართველ ქარუმიძემ. მის მიერ გამომჟღავნებული ფაქტები ააშკარავებენ საქართველოს განთავისუფლების გეგმას ბოლშევიზმისაგან.

ქარუმიძე იმეორებს, გენერ. ჰოფმანის ქვრივის უკვე ყველასათვის ცნობილ ჩვენებას და ამით ერთხელ კიდევ ცხად ჰყოფს, რომ თვით ქარუმიძე და გენერალი ჰოფმანი მთავარი შუამავლები იყვნენ ყალბი ჩერვონცების დამამზადებელთა და ამერიკულ ნავთის ფირმა „სტანდარტ ოილი“-ს შორის. ქარუმიძე მოგვითხრობს: მე ვიდექი ალტერნატივის წინაშე — ან თავი უნდა დამენებებია ხანგრძლივი მუშაობის ნაყოფისათვის, ან უნდა ამომერჩია თავზე ხელსაღები გზა. მე ვარჩიე უკანასკნელი, ე. ი. საბჭოთა ყალბი ჩერვონცების დამზადება, რასაც კიდევაც ვანხორციელებდი. ეს იდეა დიდი ხანია შემოღებულია ყველა ანტიბოლშევიკურ წრეების პრაქტიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა

ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენება საქ. კომპარტიის (ბ) VI ყრილობაზე

ამხანაგებო, მთავარი ხაზი, რომელსაც ეყრდნობა ჩვენი განვითარების ხუთწლიანი გეგმა, არის ელექტროფიკაცია. ამისათვის ჩვენ უმთავრესად ვიყენებთ ჩვენს ბუნებრივ სიმდიდრეს თეთრი ნახშირის სახით. გარდა ამისა სამრეწველო გეგმა ეყრდნობა ჩვენს სამთო სიმდიდრეთა დამუშავებას და მასთან დაკავშირებით სამთო ქიმიური მრეწველობის განვითარებას. შემდეგ გეგმა ეყრდნობა ჩვენი მდიდარი ტყეების სამრეწველო დამუშავებას. გეგმა აგრეთვე ფართოდ ითვალისწინებს ჩვენი სოფლის მეურნეობის განსაკუთრებულ ხასიათს და ამასთან დაკავშირებით ჩვენი ნედლეულის გადამუშავებას.

გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული

გეგმით გათვალისწინებულია სამრეწველო მშენებლობაზე დაიხარჯოს 150 მილიონ მანეთზე მეტი, მათ შორის სმუს ხაზით 100 მილიონზე მეტი, თანხის 60 პროც. მეტი მიდის მძიმე მრეწველობაზე. სამრეწველო მშენებლობაზე გაწეული ხარჯები მარტო ამით არ ამოიწურება. გარდა ამისა აზნავთის ხაზით საქართველოს ტერიტორიაზე იხარჯება 100 მილიონამდე, მათ შორის ბათომის ქარხნებზე—65 მილიონი. ამის შედეგად ცენზიანი მრეწველობის პროდუქცია ჩვენში იზრდება 403 პროც. შევძლებთ თუ არა ჩვენ ამ გეგმის შესრულებას? უთუოდ შევძლებთ, გადავაჭარბებთ კიდეც მას. მიმდინარე სამეურნეო წელიწადი არის გეგმის პირველი წელი. როგორ ვასრულებთ ჩვენ გეგმას? პროდუქციის რაოდენობის მხრივ გეგმა ჩვენ გადავსინჯეთ და გავადიდეთ, გადიდებულ გეგმაში პირველ წელიწადისათვის ნავარაუდევი მუშაობა 8 თვის განმავლობაში შესრულებულ იქნა 65,8 პროც. მთელი რიგ წარმოებაში ჩვენ ვაჭარბებთ გეგმას, ასე რომ ჩვენ წელს გეგმას ხუთი წლიან გეგმასთან შედარებით გადაჭარბებით შევასრულებთ.

ბევრს გონია გეგმა იწერება არა შესასრულებლად, არამედ ისე სურვილების გამოსახატავად. გეგმის შესრულება იმ დარგში, რომელთანაც მე ახლოს ვდგევარ, შესაძლებელიც არის და ის სრულდება კიდეც.

მომავალი წლისათვის კი, როდესაც ჩვენ პრაქტიკულად მივუდექით საკითხს, და შევუდექით საკონტროლო ციფრების შედგენას, საჭიროთ ვსცანით მთელ რიგ დარგებში გადავსინჯა პროდუქციის რაოდენობა და გაგვედიდებია მისი გამომუშავების რაოდენობა 49 პროცენტიდან—59 პროცენტამდე. ჩვენ გვაქვს საშუალება წარმოება მომავალ წელში უკეთესად დავტვირთოთ. ხუთწლიანი გეგმით აღებული ტემპის განვითარება, რომელიც ბევრად სჭარბობს საბჭოთა კავშირის საშუალო ტემპს, ჩვენთვის არის შესაძლებელი და აუცილებლივ შესრულებული უნდა იქნას. ცხადია ეს მოითხოვს მთელი ჩვენი ენერგიის დაჭიმვას. მე არ შევუდგები დაწვრილებით დახასიათებას თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი პროდუქცია. ვიტყვი მხოლოდ, რომ თუ 1927—28 წელში სმუს წარმოება იძლეოდა 37 მილიონის პროდუქციას, 1932—33 წელში უნდა მოგვცეს 232 მილიონი მანეთის პროდუქცია. ცხადია ყველა სამრეწველო ერთეულები ასეთივე ტემპით არ იზრდება, ამიტომ საშუალო ზრდა ყველა წარმოებაზე უდრის 403 პროც.

გეგმით გათვალისწინებულია თვითღირებულების 30 პროც. შემცირება, მაგრამ ეს ცოტა აღმოჩნდა ჩვენს შესაძლებლობასთან და საერთო დირექტივებთან შედარებით, რომელიც ითვალისწინებს თვითღირებულების 35 პროც. შემცირებას. ამიტომ უნდა გადავდგათ შემდეგი ნაბიჯი, უფრო უნდა გავაცხოველოთ მუშაობა თვითღირებულების შესამცირებლად. ამის შესაძლებლობა აუცილებლად არის. მიმდინარე წელს გეგმით თვითღირებულების შემცირება განზრახული იყო 6 პროც., შემდეგ გეგმა გადასინჯული იქნა სახკომსაბჭოს მიერ და ეს ციფრი აყვანილ იქნა 8 პროც. წლის პირველ ნახევარში (უმარგანეცოთ) თვითღირებულების შემცირება გატარდა 6,4 პროც. და მარგანეცის 7 პროც. მეტით. იმედია, რომ გათვალისწინებული 8 პროც. წლის შესრულებული იქნება. მომავალი წლისათვის გეგმით ნავარაუდევი იყო 6,8 პროც. საკონტროლო ციფრებით, თანახმად საქ. სმუს დირექტივებისა, გათვალისწინებულია 8,5 პროც. ამრიგად, თუ ჩვენ ასე განვაგრძეთ მუშაობა თვითღირებულების შემცირების დარგში, გეგმას აუცილებლად გადავაჭარბებთ. ეს ნიშნავს იმას, რომ საკავშირო ციფრის მიხედვით 35 პროც. თვითღირებულების შემცირებას ჩვენ შევძლებთ. გეგმა ამ საკითხში უნდა გადასინჯულ იქნას.

მრეწველობის სხვადასხვა დარგები

მარგანეცი

ამხანაგებო, ახლა გადავალ მრეწველობის ცალკე დარგებზე. უმთავრესი ადგილი ცალკე დარგებში უკავია სამთო მრეწველობას. პირველ რიგში მიდის მარგანეცი, რომელიც ფაქტიურად ჩვენი მრეწველობის მთავარი დარგია. რა უნდა გაკეთდეს აქ? ამ დარგში უნდა მოხდეს არსებული მდგომარეობის ძირიანფესვიანად შეცვლა. ნაცვლად დღევანდელ 22 ქარხნისა, მუშაობა უნდა სწარმოებდეს 4—5 ქარხანაში. უნდა ავაშენოთ ერთი ან ორი ახალი დიდი სარეცხი ქარხანა. 2 ან 3 ქარხანაში უნდა ჩავატაროთ რეკონსტრუქცია. ამ ქარხნებმა უნდა მოგვცეს ჩვენ ნაცვლად 27—28 წელში 300 ათასი ტონისა—1.300.000 ტონა გარეცხილი ქვა და 800 ათასი გაურეცხავი. 32—33 წელში ახალმა ქარხნებმა უნდა მოგვცეს მარგანეცის დიდი ეკონომია. დღეს ჩვენ ვკარგავთ გარეცხვის დროს 35—40 პროც. მარგანეცს, რომელიც წყალს მიაქვს. ახალმა ქარხნებმა უნდა შეამციროს დაკარგვა 20—15 პროც. წელს ვაგებთ ჭიათურაში ახალ ელექტრო-სადგურს, ვაკეთებთ გზებს და სხვა. ცენტრალურ ქარხნების აგებას შევუდგებით მომავალ წელში, ხოლო ერთი ქარხნის რეკონსტრუქციას დავიწყებთ წელსვე. ჩვენი მუშაობა მარგანეცის საქმეში უნდა შეთანხმებულ იქნას მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებასთან. ცალკე დგას ფერო-მარგანეცის წარმოების საკითხი. ჩვენ გეგმით გათვალისწინებული გვქონდა ამ ხუთ წელში აგვეშენებია 24 ათასი ტონა ფერო-მარგანეცის დამმუშავებელი ქარხანა, მაგრამ, ჩვენი გეგმის საკავშირო სმუში განხილვის დროს, საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ ჩვენ მომავალ წლიდან შევუდგეთ ისეთი ფერო-მარგანეცის ქარხნის აგებას, რომელიც 31—32 წელში მოგვცემს 40—50 ათას ტონა მარგანეცს, ხოლო ხუთი წლის ბოლოს 150 ათას ტონას. 40—50 ათასი ტონა ფერო-მარგანეცის მომცემი ქარხანა ჩვენ უნდა ავამუშავოთ 31 წლის ბოლოს რიონჰესის დამთავრებასთან ერთად. სულ მარგანეცის მრეწველობაზე დაიხარჯება 30 მილიონზე მეტი, აქედან—15 მილიონამდე ფერო-მარგანეცის ქარხანაზე. ფერო-მარგანეცის ქარხნის წარმოების 150 ათას ტონამდე აყვანა მოითხოვს დიდ ელექტრო აღმშენებლობას. ეს გეგმა მოითხოვს არა მარტო რიონჰეს-ზაჰესის სრული სიმძლავრით დატვირთვას, არამედ ახალი დიდი ელექტრო-ცენტრალის ამავე ხუთ წელში აშენებას. ამიტომ გადაწყდა შეტანილ იქნას ამ ხუთი წლის გეგმაში თაფარავანის სადგურის აგება, რომლის გეგმა უკვე მუშავდება და 30 — 31 წელში, ალბად, შევუდგებით კიდეც ამ სადგურის აღმშენებლობას. ფერო-მარგანეცის ქარხანა აგებული იქნება ზესტაფონში. ფერო-მარგანეცის წარმოება მოითხოვს უფრო ჩქარის ტემპით განვავითაროთ მთელი რიგი სხვა წარმოებანი როგორიც არის, ტყიბულის ნახშირი, რომლიდგან უნდა მივიღოთ კოქსი, უნდა დავიწყოთ რკინის მადნის დამუშავება, განვავითაროთ კირის, ცეცხლ გამძლე თიხის და სხვათა წარმოებანი. ფერო-მარგანეცის ქარხნის აგება დაიწყება მომავალ წელში. გეგმების შესადგენად დღეს უკვე სწარმოებს მუშაობა.

ქვანახშირის პრობლემა ჩვენში

შემდეგ შევეხები ნახშირის პრობლემებს. ტყვარჩელის საქმე შეიძლება უკვე საბოლოოდ გადაწყვეტილად ჩაითვალოს. დღეს სწარმოებს მუშაობა გეგმის შესადგენად. უკვე გადაწყვეტილია წელსვე დაიწყოს საალმშენებლო მუშაობა, რომლისთვისაც დამატებით გადადებულია 300 ათასი მანეთი. მომავალ წელში კი დაიწყება ფართო მუშაობა. ამ მიზნით გადადებულია 6500000 მანეთი. ტყვარჩელის სამუშაოები უნდა დასრულებულიყო ხუთი წლის ბოლოს, მაგრამ, თანახმად უკანასკნელ დირექტივებისა, ორი წლის შემდეგ მაღაროებმა უნდა მოგვცეს ნახშირი ქერჩის ქარხნისათვის, არც ტყვარჩელის, არც ფერო-მარგანეცის პროდუქციის გამომუშავება ამ ხუთ წელში არ იყო გათვალისწინებული.

იძლევა თუ არა ტყვარჩელის ასეთი ჩქარი ტემპით აღმშენებლობა ტყიბულის მაღაროების განვითარების შესაძლებლობას? ტყვარჩელი და ტყიბული ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. გეგმით გათვალისწინებულია ტყიბულის ახალ ნიადაგზე მოწყობა, მუშაობა უნდა დაწყებულ იქნას ახალ მაღაროებში. უნდა აგებულ იქნას ბრიკეტების ქარხანა, მოხდეს, საერთოდ, წარმოების სრული რეკონსტრუქცია. ეს მუშაობა უნდა დაიწყოს მომავალი წლიდან. ტყიბულს ჰყავს თავის მომხმარებლები. პროდუქცია უნდა აყვანილ იქნას ნაცვლად 88 ათასი ტონისა 27—28 წელში 300 ათას ტონამდე და ბრიკეტი 33 ათას ტონამდე. შესაძლებელია დაშკესანის მეტალურგიულ ქარხანასთან დაკავშირებით ტყიბულის პრობლემა დაისვას უფრო ფართოდ, ვინაიდან განზრახულია დაშკესანის ქარხანამ იმუშაოს ტყიბულის კოქსით. რომ ტყიბულის ნახშირიდან შეიძლება კოქსის მიღება, ეს ცდებმა უკვე დაამტკიცა, დღეს ტყიბული დიდ ზარალს იძლევა. მაღაროების სამუშაოების რეკონსტრუქცია-მექანიზაციამ უნდა მოგვცეს საშუალება თავი დავაღწიოთ ამ მდგომარეობას და შევუდგეთ ტყიბულის ნორმალურ განვითარებას.

ამასთანავე უნდა დაისვას დღის წესრიგში და შესწავლილი იქნას საკითხი ტყვარჩელის-ტყიბულის და ფერო-მარგანეცის პრობლემებთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიაში მეტალურგიულ ქარხნის აგების შესახებ. ეს საკითხი შეიძლება გადაჭრილ იქნას ტყვარჩელის დაკავშირებით ქარხანასთან ოჩემჩირეში და დაშკესან-ტყიბულის დაკავშირებით, განჯაში მეტალურგიულ ქარხნის აგების გზით. საერთოდ, ამ საკითხის შესწავლას ჩვენ უნდა შევუდგეთ დაჩქარებით. ჩვენ წელს დავასრულეთ ბარიტის ქარხნის აგება, რომელიც ამუშავდება ახლო ხანში, ჯერ-ჯერობით სწარმოებს საცდელი მუშაობა. უნდა მოვაწყოთ წესიერად ბარიტის მადნების დამუშავება, ვინაიდან მოთხოვნილება ბარიტზე გაიზარდა. გეგმა უნდა გადავსინჯოთ და გავადიდოთ. გეგმით განზრახული იყო ნაცვლად 6.500 ტონა დაფქვილ და ქვა ბარიტისა დაგვემზადებია 33 ათასი ტ. ასეთივე ბარიტის პროდუქცია. ამნაირივე მდგომარეობაა დიატომიტზე. ჩვენ უნდა ავაგოთ ახალი მძლავრი ქარხანა და გავაკეთოთ გზა. გზის გაკეთებას ვიწყებთ წელს. ქარხნის კი მომავალ წელში. დიატომიტის წარმოება 1.100 ტ. უნდა აგვეყვანა 16 ათას ტონამდე, მაგრამ ეს უკვე საკმარისი არ არის.

ფლორიდინი

დიდი მომავალი აქვს ფლორიდინს, რომლის ღირსებამ გადააჭარბა ამერიკულ ფლორიდინის ღირსებას 75 პროც. ჩვენ ავაგეთ წელს პატარა საცდელი ქარხანა ქუთაისში და ახლა კი ვმუშაობთ დიდი ქარხნის გეგმაზე და თანაც ცდების გაგრძელებაზე. უნდა განვითარებულ იქნას ცეცხლგამძლე თიხის და ლითოგრაფიის ქვის წარმოება სამთო მინერალების დამუშავების დარგში. გეოლოგიურ გამოკვლევებთან დაკავშირებით ჩვენ ხელი უნდა მოვკიდოთ მთელ რიგ ახალ წარმოებას.

სამთამადნო წარმოების განვითარებას დღეს მეტად აფერხებს გზების უქონლობა და ტრანსპორტის უუნარობა. ამას ჩვენ ვაქცევთ დიდ ყურადღებას და გამოვასწორებთ.

ქიმიური მრეწველობა

ქიმიური მრეწველობა პირველად ამ ხუთ წელში იწყებს ჩვენში განვითარებას. 29—30 წელში ქუთაისში იწყება ლიტოპონის ქარხნის აგება 3.000 ტ. პროდუქციით. ქარხანა დაჯდება 1 მილიონამდე და დასრულდება ორ წელში. უნდა აშენებულ იქნას აზოტის ქარხანა, რომელიც დაჯდება 2.500.000 მან. ამ ქარხანამ უნდა მოგვცეს სასუქი მასალა სოფლის მეურნეობისათვის. მომავალ წელში უნდა შევუდგეთ ქარხნის ტეხნიკურ პროექტის შედგენას. სად იქნება აგებული ქარხანა ჯერ გადაწყვეტილი არ არის. შემდეგ უნდა აშენებულ იქნას შუშის ქარხანა ლაშეში. ეს ქარხანა დაჯდება 1.100.000 მ., ხის გამომხდელი ქარხანა, რომელიც დაჯდება 1.200.000 მან. განზრახული იყო ამ ქარხნის აგება ბორჯომში, მაგრამ დაგვჭირდება სხვა ადგილის ამორჩევა, ვინაიდან კურორტის ადგილას ასეთი ქარხნის აგება არ შეიძლება. გარდა ამისა უნდა აშენებულ იქნას უტილიზაციის ქარხანა თბილისში, მთრიმლავ ექსტრაქტების—აფხაზეთში და გლაუბერის მარილის—აზამბურში. თუ ქიმიის სხვა დარგში კიდევ კეთდება რაღაცა, ქიმიური ფარმაცევტიული წარმოება სულ უყურადღებოდ არის მიტოვებული. ქიმიური მრეწველობას ჩვენში დიდი მომავალი აქვს.

რაც შეეხება ლითონის წარმოებას, წელს დავიწყეთ ცენტრალური ლითონის ქარხნის აგება თბილისში. ეს ქარხანა უნდა დასრულდეს სამ წელიწადში. ცენტრალური ლითონის ქარხანა იქნება ფაქტიურად წარმოებათა კომბინატი, რომელმაც უნდა შესცვალოს თბილისის ყველა ლითონის ქარხნები გარდა კალინინის ქარხნისა. რეკონსტრუქცია უნდა ჩატარდეს სპილენძის ქარხანაში. უნდა გაფართოვდეს ალმასკომის ლურსმნის და ელექტრო-მექანიკური ქარხნები.

ტყის ექსპლოატაცია - დამუშავება

შემდეგი დიდი დარგი ჩვენი მრეწველობისა არის სატყეო და ქაღალდის წარმოება, რომლის კაპიტალურ აღმშენებლობაზეც უნდა დაიხარჯოს 35 მილიონი მანეთი. სატყეო მრეწველობამ უქაღალდოთ ნაცვლად 6 მილიონ მან. პროდუქციისა 27—28 წ., უნდა მოგვცეს 43 მილიონის პროდუქცია 32—33 წელში. ასეთი ზრდა პროდუქციისა უეჭველად შეუძლებელია, თუ ჩვენ არ შევცვალეთ აზრი ტყის ექსპლოატაციის შესახებ. სატყეო მრეწველობა მთელ რიგ ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობების გამო ისედაც იმყოფება ცუდ მდგომარეობაში. ამ დარგში ჩვენ ვერ ვღირსეთ შესაფერ ხელმძღვანელ აპარატს, მეტადრე დამზადების საქმეში. მეორეს მხრივ, ხელს გვიშლის მთელი რიგი დაბრკოლებანი, როგორიცაა საბრუნავი თანხის უქონლობა, უგზოობა და სხვ. ყველაფერი ეს იწვევს მთელ რიგ დეფექტებს, რომელნიც თან სდევენ სატყეო მრეწველობას. ამას დაუმატეთ ის, რომ მთელი რიგი ქარხნებისა დაუტვირთავია მასალის უქონლობის გამო. ჩვენ არ შეგვიძლიან საჭირო პროდუქციის მიღება, თუ ტყის ექსპლოატაციის წესი არ შევისწავლეთ. ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობს, რომ შევინახოთ ტყეები, ნუ მოვსჭრით ხეებსო. საქმისადმი ასეთი მიდგომით ჩვენ გეგმას ვერ შევასრულებთ. უნდა ვებრძოლოთ კონსერვატიზმს ტყის ექსპლოატაციის საკითხში. ის რაც მოსაჭრელია, უნდა მოიჭრას საჩქაროდ. ჩვენში ტყის ავადმყოფობა იმით არის გამოწვეული, რომ ხეები გადაბერებულია და ძირზე ლპება, ფუჭდება და აფუჭებს ახალ ტყეს. ამიტომ ისეთი სიფთხილე, რომელსაც იჩენენ ზოგიერთი ამხანაგები სპეციალისტებთან ერთად დაუშვებელია, ჩვენ უნდა დავიცვათ ტყის რაციონალური ექსპლოატაციის წესი. ჩვენ ტყეებს იხსნის ძველი ხეების მოჭრა და თანაც ახალის გაშენება. საჭიროა ძველი ტყე მოიჭრას და პარალელურად გაძლიერდეს ახალის გაშენება. ასეთი უნდა იყოს ჩვენი ხაზი. ტყეების დაცვამ ისე არ უნდა გაგვიტაცოს, რომ დავივიწყოთ მრეწველობის განვითარება. (შ. მახარაძე, რომელი უფრო საყურადღებოა?), ორივე საყურადღებოა. მარტო ტყის დაზოგვით არაფერი გაკეთდება. საჭიროა ტყის ექსპლოატაციის რაციონალურად წარმოება. რა ქარხნები უნდა ავაგოთ ტყის მრეწველობაში? უნდა მოხდეს არსებული ქარხნების რეკონსტრუქცია, რომ არც ერთი ქარხანა არ იყოს ზარალიანი, ყველა ქარხნები უნდა გადაიქცეს მომგებიანათ. (ხმა—მცხეთის ქარხანა!). მათ შორის მცხეთის ქარხანაც. თუ ქარხანას არ შეუძლია იარსებოს და შემოსავალი მოგვცეს, ასეთი ქარხანა უნდა დაიხუროს. ლაპარაკი აქ ზედმეტია. ახალი ქარხნები უნდა აშენდეს ფოთში. სამთო მუშაობა დაიწყება 29—30 წელში. იქნება კომბინატი სახერხი, ფანერის, დიქტის, პარკეტის და სხვა საამქროებით. ოზურგეთში მოეწყობა საკასრე ქარხანა, ახმეტაში და ბაღდათში კომბინატების სხვადასხვა საწარმოები. აფხაზეთში უნდა აგებულ იქნას ბზიბის და კოდორის კომბინატები: ბათომში უნდა დასრულდეს ცენტრალური ხის დამმუშავებელი ქარხანა.

ცხინვალში უნდა დასრულდეს ხე-ტყის სახერხი ქარხანა ფანერისა და გორგოლების განყოფილებით: თითქმის ყველა ქარხნები იქნება მოწყობილი კომბინატის სახით, რომ დარჩენილი მასალა სრულად იქნას გამოყენებული.

ტყის დამუშავებასთან დაკავშირებით ჩვენ მომავალ წელში შამგონში შევუდგებით ქაღალდის დიდი ფაბრიკის აგებას. გეგმა შედგენილია გერმანიაში, მოდელი კი აქ არის გამოფენილი. ფაბრიკა უნდა აშენდეს სამ წელიწადში და დაჯდება 11—12 მილიონი მუშების ბინებით.

საალმშენებლო მასალათა წარმოება

რომ ჩვენ შევძლოთ ინდუსტრიალიზაციის ასეთი ტემპით განვითარება, საჭიროა ასეთ მუშაობას თან სდევდეს საალმშენებლო მასალათა წარმოების შესაფერი განვითარება, ამიტომ გეგმით გათვალისწინებულია საალმშენებლო მასალათა ქარხნების პროდუქცია 5.500.000 მანეთიდან აყვანილ იქნას 55 მილ. მანეთამდე. მიუხედავად ასეთი დიდი ზრდისა, ზოგიერთ მასალაზე მაინც არის გათვალისწინებული დეფიციტი, ამიტომ საჭიროა გეგმის ეს ნაწილი გადასინჯულ იქნას.

წელს დაიწყო ცემენტის ქარხნის აგება კასპში. ეს ქარხანა უნდა დამთავრდეს მომავალ წელში. ნაცვლად წინასწარ განზრახულ 600 ათასი კასრისა, ცემენტის ქარხანა მოგვცემს 700 ათას კასრს. საალმშენებლო მრეწველობაში ჩვენ უნდა განვავითაროთ მთელი რიგი ახალი დარგები, მომავალ წელში უნდა დავიწყოთ და დავასრულოთ ბიტუმის ქარხანა ნატანებში. უნდა დავიწყოთ ფიქალი ქვის საცდელი დამუშავება კახეთში (ადგილიდან—რას წარმოადგენს ეს?) იქნება მოწყობილი ქვის მექანიკური დამუშავება სახურავებისათვის. თუ კი გერმანიაში, საფრანგეთში და ამერიკაში ხმარობენ ქვის სახურავს, რატომ ჩვენში არ ივარგებს ის? ალბათ ტეხნიკა ეგუება ამ სახურავს, მეტადრე, როდესაც ჩვენში რკინის და ყავრის დეფიციტია: უნდა დავიწყოთ ასფალტის დამუშავება კახეთში. ჩვენ უნდა ავიღოთ ხელში ანდეზიტის დამუშავება ყაზბეგში, რომელსაც ახლა აწარმოებენ კერძო არტელები, თბილისში წელს იწყება გაჯის ქარხნის აგება, მთავრდება გრანიტის ქარხანა მოწამეთაში. დასრულდა და ამუშავდა კირის ქარხანა ქუთაისში, მთავრდება აგურ კრამიტის ქარხნების აგება ნოსირში, ტევრში და ლანჩხუთში. წელს ვიწყებთ სოხუმის, გურჯაანის და ხაშურის აგურ-კრამიტის ქარხნების აგებას. მომავალში ასეთივე ქარხნები უნდა აშენდეს თბილისში, ოზურგეთში, გორში, ზუგდიდში, ქუთაისში, ახალციხეში, ახალქალაქში და მთელ რიგ სხვა ადგილებში. ამ ქარხნებმა, ნაცვლად 26 მილ. აგურისა უნდა მოგვცეს 75 მილ. აგური და 13 მილიონი კრამიტი. უნდა ავაგოთ ახალი კირის ქარხანა ალში, ძევში, გალში და მოვაწყოთ ქვის მექანიკური დამუშავება თბილისში. გარდა ამისა, რომ ჩვენ შევძლოთ დეფიციტის დაფარვა კირზე და აგურ-კრამიტზე უნდა გავაკეთოთ მთელი რიგი პატარა აგურ-კრამიტის და კირის ქარხნები და ხელი შევუწყოთ შინამრეწველობის განვითარებას ამ დარგში.

საფეიქრო მრეწველობა

ამხანაგებო, ახლა გადავდივარ სოფლის მეურნეობის ნედლეულის გადამუშავების საკითხზე. რა არის ამ მხრივ განზრახული ხუთ წელში? ყველაზე მეტ განვითარებას პოვებს საფეიქრო მრეწველობა, კერძოდ აბრეშუმის წარმოება. წელს დამთავრდა ხონის, ოზურგეთის და ქუთაისის ძაფ-სახვევი ფაბრიკები. კიდევ უნდა ავაშენოთ ერთი ფაბრიკა ზუგდიდში, გავაფართოვოთ თელავის ფაბრიკა, ამით დასრულდება ძაფ-სახვევი ფაბრიკების აღმშენებლობა, ყველა ეს ფაბრიკები შესძლებენ მცირედი გამოკლებით მთელი ჩვენი პარკის მოსავლის გადამუშავებას. პარკის დანარჩენი ნაწილი, საჭიროა საექსპორტოდ. თესლის დამზადების საქმეში, გარდა არსებულ საგრენაჟო სადგურებისა, უნდა აგებულ იქნას ორი ახალი საგრენაჟო სადგური. წელს ვიწყებთ გურჯაანში ასეთი სადგურის აგებას, მეორე კი აშენდება ზუგდიდში. ამით ჩვენ საბოლოოთ გავდევნით აბრეშუმის მრეწველობიდან კერძო მრეწველებს. შემდეგი საფეხური ამ წარმოებისა არის გრეხა და ქსოვა. ჩვენ ვაფართოვებთ ოზურგეთის ფაბრიკის საგრეხ განყოფილებას და თბილისში საქსოვ ფაბრიკასთან ვაწყობთ საგრეხ განყოფილებას. ხუთი წლის განმავლობაში უნდა გაფართოებულ იქნას აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა 20 დაზგიდან 300 დაზგამდე, ეს მუშაობა უკვე დაწყებულია. ჩვენ გერმანიაში შევიძინეთ აბრეშუმის ტრიკოტაჟის საქსოვი მოწყობილობა, რომლებიც უნდა ავამუშაოთ მომავალი წლის მეორე კვარტალში. აბრეშუმის მრეწველობამ ნაცვლად 4.500.000 მ. პროდ. 27—28 წელში, უნდა მოგვცეს 26 მილ. 700 ათასი მანეთის პროდუქცია 32—33 წელში.

მაუდის წარმოება. შემოდგომიდან ჩვენ ნაწილობრივ ავამუშავებთ თბილისის მაუდის ფაბრიკას. ფაბრიკაში დღეს სწარმოებს მონტაჟი. პირველად გაუშვებთ რამოდენიმე საამქროს. იანვარ თებერვალში კი მთლიანად ავამუშავებთ ფაბრიკას, რომელიც წლიურად მოგვცემს 1 მილ. 500 მეტრ ქსოვილს. ქუთაისის ფაბრიკა დარჩება და უნდა მოხდეს მისი მოწყობილობის თანდათანი განახლება-გაუმჯობესება.

ამხანაგებო, ამ ხუთ წელში განზრახულია თბილისში ქეჩის ახალი ფაბრიკის აგება. გვეყოფა მატყლი ყველა ამ ფაბრიკებისათვის? ასეთი საკითხი ცხადია ყველას წინაშე დაისმება. თუშური მატყლი გვეყოფა, ხოლო საჭირო იქნება, სანამ ჩვენი მეცხვარეობის ჯიში გაუმჯობესდებოდეს, მერინოსის მატყლის შემოტანა ნაწილობრივ თბილისის ფაბრიკისათვის. საფეიქრო მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით ვითარდება სამკერვალო წარმოება, აქ ახალი ფაბრიკის აგება საჭირო არ არის, აუცილებელია მხოლოდ მოწყობილობის გაუმჯობესება.

ტყავის დამზადება

შემდეგ წელს უნდა დავასრულოთ ტყავის წარმოება. უნდა ჩატარდეს თბილისის ტყავის ქარხნის რეკონსტრუქცია. მომავალ წელში უნდა დავიწყოთ ბათომის ტყავის ქარხნის აშენება. თბილისში უნდა აგებულ იქნას ფეხსაცმელების ახალი ფაბრიკა, რომელმაც წლიურათ უნდა მოგვცეს 850 ათასი წყვილი ფეხსაცმელი. მაგრამ, სანამ ამ ფაბრიკას დავიწყებდეთ, ჩვენ გადავწყვიტეთ გავადიდოთ არსებული ფაბრიკის წარმოება და მომავალ წლიდან გადავიდეთ ორ ცვლა მუშაობაზე, ამასთანავე ჩვენ შემოდგომიდან ვიწყებთ უმაღლესი ხარისხის ფეხსაცმელის წარმოებას. ტყავის წარმოების უფრო ჩქარის ტემპით განვითარებას წინ ეღობება ნედლი მასალის სიმცირე. მსხვილი ტყავი ჩვენ არ გვყოფნის, წვრილი ცხვრის ტყავი კი იმდენად არ ვარგა, ის ძალიან მსუქანია.

თამბაქო

შემდეგ თამბაქოს წარმოებაზე მოგახსენებთ. ჩვენს სოფლის მეურნეობაში თამბაქოს დიდი ადგილი უკავია, მაგრამ ხუთი წლის გეგმით არ არის განზრახული თამბაქოს არც ერთი ახალი ფაბრიკის აგება, პირიქით, შეიძლება ქუთაისის ფაბრიკა კიდევაც დავხუროთ წარმოების რაციონალიზაციის მიზნით. განზრახულია მხოლოდ არსებული ქარხნების რეკონსტრუქცია, რომელიც ჩვენ საშუალებას მოგვცემს ამ წარმოების პროდუქცია გავადიდოთ 150 პროც. სულ ტრესტს დარჩება ორი ფაბრიკა, რომელნიც იქნებიან რენტაბელური. გარდა ამისა იარსებებს კიდევ ბათომის და სოხუმის ფაბრიკები. ცხადია ამ ფაბრიკებით ჩვენ ვერ შევსძლებთ მთელი ჩვენი თამბაქოს გადამუშავებას, მაგრამ ბაზარი არ გვიწყობს ხელს. თუ ბაზარი იქნება, ჩვენ ყოველთვის შევსძლებთ გადავსინჯოთ საწარმოო გეგმა.

ხილის გადამუშავება

ორიოდე სიტყვა ხილის დამუშავებაზე. წელს ვამთავრებთ გორის საკონსერვო ქარხანას. მომავალ წელში კი უნდა დავიწყოთ ქუთაისის საკონსერვო ქარხნის აგება, გარდა ამისა დავასრულეთ შინდისის, მეჯვრისხევის და ახალციხის ხილის სახმობების აგება. მომავალ წელში დავიწყებთ ქუთაისის და ცხინვალის სახმობების აგებას. ერბო ყველის ქარხნების აღმშენებლობა სწარმოებს მიწსახკომის და კოოპერაციის ხაზით. ჩვენ წელს დავასრულეთ ბეჟანის ქარხანა და ახლო მომავალში დავამთავრებთ ხიონის ქარხანას.

რაც შეეხება შაქრის ქარხანას, ასეთის აგება გადაწყვეტილია სადგურ აგარასთან. ჩვენ მოვითხოვთ, რომ შაქრის ტრესტმა აღმშენებლობა დაიწყოს 29—30 წელში, ისინი კი სდებენ შემდეგი წლისათვის.

ბამბის წარმოებას ჩვენში დიდი მომავალი არა აქვს, ბამბის საპენტი და გიგროსკოპიული ბამბის ფაბრიკა უკვე მოეწყო. საჭიროა ბამბის ძაფის სართავი ფაბრიკის გაფართოვება, ეს გათვალისწინებულია.

ზეთსახდელ ქარხნისათვის ნედლი მასალა თუმცა არ გვყოფნის, მაგრამ ერთი ქარხანა მაინც უნდა შევინახოთ, უნდა მოვახდინოთ საპნის ქარხნის რეკონსტრუქციას, საპნის დამუშავების შინამრეწველურ წესიდან გადავალთ მექანიკურ დამუშავებაზე.

ჩაის მრეწველობა

ამხანაგებო, რომ დავასრულოთ მრეწველობის ცალკე დარგებზე ლაპარაკი, რამოდენიმე სიტყვა კიდევ. გარდა იმ სამრეწველო ერთეულებისა, რომელთა შესახებაც იყო ლაპარაკი, ჩვენ მოგვიხდება დიდი აღმშენებლობითი მუშაობის ჩატარება ჩაის მრეწველობის დარგში, აქ 5 ახალი ქარხნის აგებაა განზრახული. ამ ხუთ წელში ეს ქარხნები იქნება პირველ გადამუშავების ქარხნები, მაგრამ შემდეგ საკითხი უნდა დაისვას ჩაის საბოლოოდ გადამამუშავებელ ფაბრიკის აშენების შესახებ.

სად იქნება ჩაის ფაბრიკები?—აჭარისტანში, გურიაში, სენაკის და ზუგდიდის მაზრებში და აფხაზეთში. სულ ჩაის სამრეწველო აღმშენებლობაზე დაიხარჯება 22 მილიონი მანეთი.

შემდეგ, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს პირობებში კინო-მრეწველობას. ბოლომდე ეს დარგი, კუსტარულად მუშაობდა. ეხლა კი უკვე აქ თბილისში აშენებული იქნა ცენტრალური ფაბრიკა, საჭიროა კიდევ რამოდენიმე საამქროს, ლაბორატორიის და 16 ერთეულის აგება თბილისში, რომ დავასრულოთ წარმოების კარგად მოწყობა. სოხუმსა და ბათომში უნდა აშენდეს აგრეთვე ცენტრალური ფაბრიკის განყოფილებები, მთელ ამ მუშაობაზე დაგვეხარჯება ორ ნახევარი მილიონი მან.

პოლიგრაფიული წარმოება

ორიოდე სიტყვა პოლიგრაფიულ წარმოებაზე. ამ დარგში ახალ წარმოებეთა აშენებას ადგილი არ ექნება. უნდა მოხდეს პოლიგრაფტრესტის ხელში ყველა სტამბის გაერთიანება, წვრილი სტამბების გაერთიანება და წარმოების კონცენტრაცია და ცალკე ერთეულების სპეციალიზაცია, ამასთანავე საჭიროა მანქანების გამოცვლა და ახალი მანქანების შეძენა, შემდეგ ახალი ქართულ გაუმჯობესებულ შრიფტზე გადასვლა, რაც მოგვცემს 30 პროცენტით ქაღალდის ეკონომიას და უფრო ლამაზიცაა ძველ შრიფტზე. (ხმა: ძნელი საკითხია). მიჩვევა უნდა ამხანაგო,

ელექტროფიკაცია

ახლა რამდენიმე სიტყვა ელექტროფიკაციაზე. ამ საკითხზე აქ ბევრი ითქვა ამხ. ფილიპეს და სხვების მიერ, მე შევჩერდები მხოლოდ იმაზე, თუ სად და რა სადგურები უნდა გაკეთდეს ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში.

პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა დავამთავროთ რიონჰესი სრული სიმძლავრით, რომელიც უდრის 60 ათას ცხენის ძალას. თანახმად საკავშირო ორგანოების დადგენილებისა, დამთავრება უნდა მოხდეს არა უგვიანეს 1931 წლის პირველ ოქტომბრისა. მუშაობის ის ტემპი, რომლითაც მიდის რიონჰესის აღმშენებლობა სრულ გარანტიას იძლევა, რომ სადგური დასრულდეს დროზე. შემდეგ, 1931—32 წლისათვის უნდა დავასრულოთ ზაჰესი სრული სიმძლავრით და ავიყვანოთ მისი სიმძლავრე 54 ათას ცხენის ძალამდე. დღეს უკვე მიდის მუშაობა გაფართოვების გეგმის შესადგენად, რომელიც დასრულებულ იქნება ახლო ხანში. ზაჰეს-რიონჰესის დროზე დასრულებასთან არის დაკავშირებული ამიერ-კავკასიის რკინის გზის ელექტროფიკაცია და ფერო-მარგანეცის ქარხნის ამუშავება. წელს ამუშავებული იქნა აბჰესი ერთი ტურბინით, დღეს იდგმება მეორე ტურბინა და ახლო ხანში შევუკეთავთ მესამე ტურბინას, რომლითაც დასრულდება ამ სადგურის აღმშენებლობა. სადგურის სიმძლავრე იქნება 2,250 ცხენის ძალა. აბაშის სადგური დატვირთულია მთლიანად, მომავალ წელში ჩვენ უნდა დავიწყოთ ორი ახალი სადგურის აგება: გუმისტისა აფხაზეთში (2.500 ცხენის ძალა) და ალაზნისა კახეთში (6.500-დან 7.000 ცხ. ძალა). უკანასკნელი დაჯდება სულ არა უმეტეს 1.500.000 მანეთისა, ეს იქნება ყველაზე იაფი სადგური; დამთავრდება არა უგვიანეს ორი წლისა. ალაზნის სადგური იაფად ჯდება იმიტომ, რომ სადგურისათვის გამოყენებული იქნება სარწყავი არხი, რომელიც უკვე მზად არის. დღეს მიდის მუშაობა წყალის მარაგის შესანახ აუზის გასაკეთებლად; არხის და აუზის სამუშაოებს აწარმოებს საქ. წყალთა სამმართველო, ხოლო სადგურის პროექტს ადგენს ს. მ. უ. ს-სი და ის დასრულდება არა უგვიანეს სექტემბერ-ოქტომბრისა. გუმისტის სადგურის აღმშენებლობის დაწყება დაგვიანდა, ვინაიდან „გეტმა“, რომელსაც ქონდა შეკვეთილი პროექტის შედგენა, ის დროზე არ ჩაგვაბარა, წარმოდგენილი პროექტი უვარგისი გამოდგა, დღეს სწარმოებს მისი გადამუშავება ს. მ. უ. ს-ში და იგი მზად იქნება სექტემბრისათვის. გარდა ამისა, ჩვენ უნდა ავაგოთ გალიზგის სადგური აფხაზეთში, ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მაღაროებისათვის 5.000 ცხ. ძალ. გეგმა უკვე შედგენილია. შემდეგ ოზურგეთის სადგური—2.000 ცხ. ძალა. უნდა გაფართოვდეს ბორჯომის სადგური, რომლის სიმძლავრე ვერ აკმაყოფილებს რაიონის მოთხოვნილებას.

განსაკუთრებით სდგას საკითხი აჭარის-წყალის სადგურის შესახებ, აქ დღეს მუშაობა შეწყვეტილია და მიდის გეოლოგიური გამოკვლევები და ახალი პროექტის შედგენა. აჭარისტანში ჩვენ აუცილებლად ვაშენებთ სადგურს, მაგრამ რომელ ვარიანტზე შევჩერდებით, ეს გამოკვლევის საქმეა. ეს კი უსათუოა, რომ ძველ ადგილას და ძველი პროექტით სადგურის აშენება აღარ შეიძლება, ვინაიდან გეოლოგიურმა გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ კლდეზე დამბის ადგილას დავიდენ მხოლოდ 45 მეტრის სიღრმეზე, რაც შეუძლებელს ხდის ამ ადგილას ავაგოთ დამბა. გარდა ამისა, უნდა აგებული იქნეს ოთხი ადგილობრივი მნიშვნელობის სასოფლო ელსადგურები—ლაგოდეხში, სვანეთში, ლეჩხუმში და ყაზბეგში ასი ცხენის ძალისა თითო.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ის, რომ ფერო-მარგანეცის მრეწველობასთან დაკავშირებით საკავშირო ორგანოების წინადადებით ჩვენ დაგვჭირდა გეგმაში შეგვეტანა ახალი დიდი სიმძლავრის ელექტრო-ცენტრალის, თოფარავანის სადგურის აგება, რომლის მუდმივი სიმძლავრე წინასწარი ვარაუდით იქნება 100.000 ცხენის ძალა, დაჯდება დაახლოვებით 80.000.000-მდე. თოფარავანის სიმძლავრე თითქმის უდრის ზაჰეს-რიონჰესის სრულ სიმძლავრეს ერთად და მან უნდა მოგვცეს წლიურად 400.000.000 კილოვატ საათზე მეტი ელექტრო-ენერგია. თოფარავანის საესკიზო გეგმა უკვე დგება და უნდა დასრულებულ იქნას ოქტომბრამდე, მომავალ წელში კი შედგენილი იქნება ტეხნიკური გეგმა. თოფარავანის სადგური დასრულებული უნდა იქნეს ამ ხუთწლედში, ხოლო ამუშავებული მომავალი ხუთწლედის დასაწყისში. თოფარავანის სადგური მოგვცემს ჩვენ საშუალებას ავამუშავოთ მეორე ხუთწლედის დასაწყისში 150.000 ტონა ფერო-მარგანეცის დამმუშავებელი ქარხანა. რომელსაც დასჭირდება წლიურად 600.000.000 კილოვატ საათამდე ელექტრო-ენერგია. ხუთი წლის დასასრულს საქართველოს ყველა ელექტრო სადგურებმა ჩვენ წლიურად უნდა მოგვცეს 800—900 მილიონ კილოვატ საათამდე ელექტრო ენერგია, რომელიც დაფარავს მრეწველობის, ტრანსპორტის, ფერო-მარგანეცის, აზოტის ქარხნების მოთხოვნილებას და მიაწვდის ენერგიას ქალაქის კომუნალურ და სოფლის მეურნეობას.

სულ ელექტრო აღმშენებლობაზე ხუთი წლის განმავლობაში დაიხარჯება 74.000.000 მანეთი, მათ შორის რაიონულ სადგურებზე 60.000.000 მან. ადგილობრივ და სოფლისაზე—11.000.000 მანეთი; ადგილობრივი და სოფლის გადამცემი ხაზები დაჯდება 2.600.000 მან. და გამოკვლევები 1.000.000-მდე.

ყველა ელექტრო სადგურის სიმძლავრე ურკინისგზოდ და აზნავთით უდრიდა 1928—29 წელში 24.800 კილოვატ საათს, ხოლო მეორე ხუთწლედის დასაწყისში—1933-34 წელში იქნება 205.100.000 კილ. საათი თოფარავანის სადგურის გაშვების გამო. გარდა დასახელებულ ელექტრო-აღმშენებლობისა ჩვენ ვაწარმოებთ გამოკვლევებს, რომ შევადგინოთ ჩვენი ელექტრო აღმშენებლობის შემდგომი გეგმა; ამ მიზნით მიმდინარეობს მუშაობა, რომელიც იწარმოებს ამ ხუთწლედის განმავლობაში. ჩვენ ვსწავლობთ და ვარკვევთ დღეს მდინარე ხრამს, რომ შევადგინოთ სადგურის გეგმა, შემდეგ შევუდგებით მუშაობას მდ. ენგურზე და სხვა. ამ მხრივ ჩვენ უზრუნველყოფილი ვართ მომავლისათვის.

სამეცნიერო--გამოკვლევითი მუშაობა

ამხანაგებო, ჩვენი კაპიტალური მშენებლობა მიდის ორი გზით: ერთია საფუძვლიანი რეკონსტრუქცია არსებული ფაბრიკა-ქარხნების, მეორეა—ახალი აღმშენებლობა. სჭარბობს ახალი ქარხნების აღმშენებლობა, იმიტომ რომ ჩვენ წინად სუსტი ვიყავით მრეწველობაში. ჩვენ განზრახული გვაქვს ჩავატაროთ დიდი მუშაობა ძველი ქარხნების რეკონსტრუქციისათვის, რომ ხუთი წლის ბოლოს მათ შესძლონ არ ჩამორჩნენ ახალ ქარხნებს და გვერდში ამოუდგნენ მათ თვითღირებულების დაკლებისა და საერთოდ გეგმის შესრულებაში.

ამხანაგებო, ჩვენ გვჭირდება დიდი მუშაობა ამ დიდი გეგმის შესასრულებლად, მაგრამ ამასთანავე ჩვენ გვჭირდება მომზადება მომავალი შემდეგი ხუთი წლისათვის, რომ შემდეგში ჩვენ მუშაობა შევძლოთ ჩავატაროთ უფრო თვალსაჩინოებულად, რომ მომავალს შევხვდეთ უფრო მომზადებულად, ჩვენ დღესვე უნდა გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობა სამეცნიერო კვლევა-ძიების და გეოლოგიურ გამოკვლევების დარგში. ამ მიზნის შესასრულებლად გეგმაში გათვალისწინებულია გეოლოგიურ გამოკვლევების ჩასატარებლად 3.500.000 და სამეცნიერო კვლევა ძიებისათვის 800 ათ. მანეთზე მეტი, გარდა ამისა, ელექტროფიკაციის ხაზით 1 მილიონ მანეთამდე და კიდევ საკავშირო გეოლოგიურ კომიტეტის ხაზით მთელი რიგი ობიექტების შესასწავლად. ეს თანხა სრულიად საკმარისია, თუ საქმეს შესაფერად დავაყენებთ. ყოვლად დაუშვებელია, დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა. თითქმის, გარდა ტყიბულის და ჭიათურისა, არ არის არც ერთი წარმოება სამთო დარგში, რომ იყოს ჩატარებული საფუძვლიანი შესწავლა ექსპლოატაციაში მყოფ ობიექტის, აქამდის არ გვაქვს ჩვენ ბარიტის, დიატომიტის, ცეცხლ-გამძლე თიხის, გლაუბერის მარილის და სხვა გეოლოგიური გამოკვლევათა შედეგები. ჩვენ ვაწარმოებთ მუშაობას და არ ვიცით როდემდის გვაქვს მარაგი; მხოლოდ შარშან და წელს დაიწყო ფართო გეოლოგიური გამოკვლევანი. პირველ რიგში ჩვენ ვაწარმოებთ მუშაობას იმ რაიონებში, სადაც უკვე ვეწევით ექსპლოატაციას, ან და უნდა დავიწყოთ მუშაობა ამ 5 წლედში. უნდა შევადგინოთ ყველა სამუშაოთა გეოლოგიური რუკა, გამოვიკვლიოთ მარაგი და სხვა. გარდა ამისა, უნდა მოვამზადოთ ობიექტები მომავალ ხუთი წლისათვის. რა სამუშაოები უნდა ჩატარდეს ამ ხუთ წელში პირველ რიგში? როგორც ვთქვი არსებულ წარმოებათა გეოლოგიური გამოკვლევათა შემდეგ მთავარი ადგილი უჭირავს ნავთის საკითხს, გაგრძელდება მუშაობა გურიის ნავთიან ადგილების შესასწავლად; აქ მუშაობას ხელმძღვანელობს აზნავთი და გეოლოგიური კომიტეტი და საქმე სერიოზულათ არის დაყენებული; ჯერ - ჯერობით შედეგი არ არის. მიდის მუშაობა შირაქში, ბურღვას აწარმოებს კონცესიონერი. საქმე წარმატებით დასრულდა: ამოხეთქა ნავთის და გაზის ფანტანმა, მაგრამ ბურღვილი დახურულ იქნა და სამუშაო შეჩერებული. კონცესიონერს ფული არ ქონდა და წავიდა მის საძებნად. ჩვენ მიერ დასმულ იქნა საკითხი, რომ ჩვენც დაგვეწყო პარალელურად მუშაობა და გაგვებურღა რამდენიმე ადგილას; დღეს საქმე ისე გადაწყდა, რომ მომავალი წლიდან ალბად ჩვენ შევუდგებით საკუთარ სამუშაოების დაწყებას. ამ მიზნით საკავშირო ს. მ. უ. ს-ის მიერ უკვე გაცემულია დირექტივა, რომ გადადებულ იქნას მომავალ წელში 100.000 მანეთი. ამასთანავე გაცემულია განკარგულება საკავშირო გეოლოგიურ კომიტეტზე, რომ მან დააჩქაროს შირაქის გეოლოგიური რუქის შედგენა. კონცესიონერთან საქმე ჭიანურდება; საჭიროა, რომ ჩვენ მას არ უყუროთ და ვილონოთ ყოველივე, რომ დავიწყოთ პარალელური მუშაობა. ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მეტი ინიციატივა, რომ მომავალ წელში შირაქში აუცილებლივ დავიწყოთ საკუთარი მუშაობა. გარდა ამისა, იწარმოებს გამოკვლევები ილდოკანის რაიონში. (კახეთში) ბაღდადის და შავი ზღვის ნაპირებზე, აფხაზეთში და სხვ. ნავთიან ადგილების გეოლოგიურ რუქის შესადგენად.

ფერადი ლითონის ბუდობები

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფერადი ლითონის ბუდობების გამოკვლევას. დღეს მიდის დიდი მუშაობა სამხრეთ ოსეთში ცინკის და ტყვიის ბუდობის შესასწავლად, ასეთივე მუშაობა ჩატარდება ცინკის და ტყვიის ბუდობების გამოსაკვლევად რაჭაში, აჭარისტანში, აფხაზეთში, ლეჩხუმში და ზემო-სვანეთში.

სპილენძის ბუდობები გამოკვლეულ იქნება დევდორაკ-ბოლნისის, ყვარელ-ლაგოდეხის, რაჭის, აჭარისტანის და აფხაზეთის რაიონებში. რკინისა—შავი ზღვის ნაპირებზე, ჩათახსა და მარელისში. სურმის და მიშიაკის მადნეული—გორის და ბაღდათის რაიონებში და რაჭაში. ოქროსი—ბორჩალოში. გოგირდის—რაჭაში, კახეთში და ქუთაისის მიდამოებში. ქვანახშირის—ტყვარჩელის და ინგურის მიდამოებში და ტყიბულ-გელათის რაიონში. ბარიტის—დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში. ფლორიდინის—დასავლეთ საქართველოში. დიატომიტის—ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს, მაზრებში და სხვ. რიონის მიდამოებში. ლითოგრაფიის ქვის—დუშეთის მაზრასა და გაგრის რაიონში. გლაუბერის მარილის—თბილისის მიდამოებში. სადებავების—ქუთაისის რაიონში, აფხაზეთისა და აჭარისტანში.

კვარცის, აზბესტის, ცეცხლგამძლე თიხის და სხვ.—შროშის, სოფ. ბეინევის, სურამის მიდამოებში და სხვ.

სახურავი ფიქალის—კახეთში.

საალმშენებლო ქვის, მარმარილოს, ტუფის ბუდობები— ოსეთში, აფხაზეთში, გორის, ბორჩალოს და სხვ. რაიონებში.

მთელ რიგ ადგილებში ჩვენ გამოკვლევითი მუშაობასთან ერთად ვაწარმოებთ საცდელსამრეწველო მუშაობას და თანდათანობით გადავალთ ახალი ობიექტების დამუშავებაზე.

არაგეოლოგიური გამოკვლევანი მრეწველობაში

ამხანაგებო, გარდა გეოლოგიური გამოკვლევებისა ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ მეცნიერულ კვლევითი მუშაობა მრეწველობის უმთავრეს დარგებში. როგორი გზით უნდა მიდიოდეს ჩვენში ეს მუშაობა და რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება? უპირველეს ყოვლისა ყურადღებას მოითხოვს სატყეო მრეწველობა, განსაკუთრებით ტყის დამზადების და საერთოდ ნედლეულის უკეთესად გამოყენების საკითხი. შემდეგ ქიმიური მრეწველობა; აქ უნდა შესწავლილ იქნას ჩვენი შესაძლებლობანი ახალ საწარმოთა მოსაწყობად. როგორც ამ ხუთ წლედისათვის, ისე მომავლისათვის ჩვენ გვაქვს დიდი შესაძლებლობა ქიმიურ მრეწველობის განვითარებისათვის საქართველოში და არ ვიცით რას და როგორ მოვკიდოთ ხელი; აქ უნდა მივიშველოთ მეცნიერულ კვლევა-ძიება; კვლევა-ძიებამ უნდა მოგვცეს ჩვენ საშუალება უკეთესად გამოვიყენოთ ნედლი მასალა, გავაუმჯობესოთ წარმოება და სხვა. კვლევითი მუშაობა ჩვენთვის ახალია, ჩვენ სუსტი ვართ სამეცნიერო ძალებით, არა გვაქვს შესაფერისად მოწყობილი ლაბორატორიები, სადაც შეძლება მიეცემათ სპეციალისტებს იმუშაონ. საქმე კი ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი და ყველა სამრეწველო დარგში. როგორი საშუალებით უნდა ვაწარმოვოთ ჩვენ, ამხანაგებო, მეცნიერული კვლევა-ძიება? აქ ჩვენ გვაქვს რამოდენიმე გზა. პირველი—ჩვენ უნდა მოვაწყოთ ლაბორატორიები ყველა წარმოებაში, სადაც საშუალება მიეცემათ მოახდინონ ცდები ადგილობრივ სპეციალისტებს, შემცდარი იყვნენ ზოგიერთი ამხანაგები, რომლებსაც საწარმოებს, რაღაც მოსაზრებით არ აძლევდნენ საშუალებას ლაბორატორიები მოეწყოთ, ადგილობრივ ლაბორატორიებზე გაწეული ხარჯები მალე ანაზღაურდება, შემდეგ ჩვენ უნდა გავამაგროთ არსებული კვლევა-ძიებითი ინსტიტუტები და მოვაწყოთ ახალნი. ჩვენში არსებობს გეოლოგიური ინსტიტუტი, რომელსაც სათავეში უდგას პროფ. ჯანელიძე, საკავშირო მინერალოგიის ინსტიტუტის განყოფილება (პროფ. თვალჭრელიძე), ოქტომბრიდან იხსნება ქიმიურ-ტეხნიკური ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელად მოწვეულია აკადემიკოსი პისარჟევსკი. იხსნება საკავშირო ხე-ტყის ნაწარმის ინსტიტუტის განყოფილება; განზრახულია მომავალი წლიდან მოეწყოს მეაბრეშუმეობის და აბრეშუმის მრეწველობის ინსტიტუტი და საკავშირო კვლევა-ძიების სხვა ინსტიტუტების განყოფილებანი;—აი სწორეთ აქ უნდა მოვაწყოთ ჩვენ სამეცნიერო კვლევა-ძიებითი მუშაობა. ეს ინსტიტუტები უნდა დაუკავშიროთ ჩვენ მრეწველობას პრაქტიკულ საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად. მათი მუშაობა უნდა მიდიოდეს წარმოებასთან დაკავშირებით და მრეწველობის დახმარებით. უპირველეს ყოვლისა ჩვენ ვაპირობთ გავაუმჯობესოთ კვლევითი ინსტიტუტების მოწყობილობა, ლაბორატორიები, რომ მათ შეძლება ექმნეთ პირნათლად შეასრულონ დაკისრებული ამოცანა. გარდა ამისა, მთელი რიგი საკითხების დასამუშავებლად ჩვენ უნდა მივმართოთ საკავშირო კვლევა-ძიებითი ინსტიტუტებს მოსკოვში და ლენინგრადში, ამასთანავე საზღვარგარეთაც.

შრომის დაცვის პირობები

რამოდენიმე სიტყვა შრომის საკითხებზე, პირველ ყოვლისა ხელფასის და შრომის ნაყოფიერების შესახებ. ამხანაგებო, არ არის სწორი, თითქოს ჩვენ შრომის ნაყოფიერების აწევას ვერ შევსძლებთ ხუთი წლის განმავლობაში 94 პროც. ზევით. სმუს გამოთვლით, როდესაც ჩვენ ანალიზი გაუკეთეთ ამ გეგმას, გამოვიდა რომ ჩვენ იმ რეკონსტრუქტიულ და რაციონალიზატორულ ზომების გატარებით, რომელნიც განზრახულია გეგმით, შევსძლებთ შრომის ნაყოფიერება ავწიოთ 125 პროც. ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ დასახულ ამოცანას მივაღწევთ მხოლოდ შრ. ნორმების გადასინჯვით, არა. ეს ნიშნავს, იმას, რომ საჭიროა უპირველეს ყოვლისა წარმოების ტეხნიკა მოვაწყოთ უკეთესად. გავაუმჯობესოთ შრომის ტეხნიკური პირობები, მოვაწყოთ შრომის უკეთესი ორგანიზაცია ტეხნიკური დანორმვის საშუალებით და სხვა. ჩვენ ახლა ყველგან თანდათანობით გადავდივართ 7 საათის სამუშაო დღეზე. მაგრამ რამდენ საათს წარმოებს ფაქტიურად მუშაობა? დღეს ჩვენ მოვახდინეთ ამ საკითხის ადგილებზე შესწავლა და გამოირკვა, რომ ჩვენს საწარმოებში ფაქტიური სამუშაო დღე არ აღემატება 4 საათს, ზოგან კიდევ უფრო ნაკლებია. ამიტომ წარმოებაში შრომის უკეთეს ორგანიზაციას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, სამუშაო დღე უნდა იქნეს რაც შეიძლება შემჭიდროებული და უკეთ გამოყენებული. რამდენად სრულდება გეგმა ამ მხრით? წელს განზრახული იყო შრომის ნაყოფიერების 15 პროც. აწევა, ფაქტიურად კი 1-ლ ნახევარში, მარგანეცის წარმოების ჩათვლით, მივაღწიეთ 11 პროც. ცოტა მეტს, ეს არ არის დამაკმაყოფილებელი, მეტადრე მაშინ, როდესაც შრომის ნაყოფიერება საერთოდ ძლიერ მცირეა ჩვენში, ხელფასი კი გაიზარდა გეგმაზე გადაჭარბებით, შრომის ნაყოფიერება ხუთ წელში ჩვენ აუცილებლივ უნდა ავსწიოთ დასახულ დონემდე. ეს შესაძლებელია და არ არის გადაჭარბებული, თუ ფაქტიურად ვიმუშავებთ 7 ს. ცხადია, ხელფასის ზრდა თან უნდა სდევდეს შრომის ნაყოფიერების ზრდას. ამიტომ ს.მ.უ.ს. მიერ უკვე შეტანილია ცვლილება გეგმაში, ვინაიდან წინასწარ აღებული ზრდა ხელფასის ნომინალისა 30 პროც. არ იყო დამაკმაყოფილებელი, დღეს ჩვენ უნდა ავიღოთ სახელმძღვანელოდ მე-16 პარტკონფერენციის დადგენილება რეალური ხელფასის 71 პროც. გაზრდის შესახებ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა აუცილებლად უნდა უსწრებდეს ხელფასის ზრდას.

გეგმით გათვალისწინებულია, რომ ყველა საწარმოებში გადავიდეთ 7 საათის სამუშაო დღეზე, თანახმად ცაკის მანიფესტისა. ჩვენი გეგმა ამ მხრივ სრულიად ეთანაბრება აღებულ ხაზს და ხუთ წელში აღარ გვექნება არც ერთი საწარმოო, სადაც დარჩება 7 საათზე მეტი სამუშაო დღე. წელს გადაყვანილი იქნა 6 საწარმო 1497 მუშით. უკანასკნელ 1932-33 წელში, გადაყვანილი იქნება უკანასკნელი 1268 კაცი.

მუშა-ხელის რაოდენობა ს.მ.უ.ს. საწარმოებში გაიზრდება და ნაცვლად 10,282 კ. იქნება 25.595, ასე რომ ცენზიან მრეწველობაში მუშა-ხელის რაოდენობა გაიზრდება 148 პროცენტით, რაც დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ამხანაგებო, თუ ჩვენ გვინდა შევასრულოთ ჩვენი ამოცანები შრომის ნაყოფიერების გაზრდის საქმეში, უნდა ვიზრუნოთ შევქმნათ უკეთესი სამუშაო ტეხნიკური და ჰიგიენური პირობები წარმოებაში. ყველა ახალი ქარხანა ფაბრიკები შენდება და გათვალისწინებულია აშენდეს შრომის დაცვის უკანასკნელი მიღწევების მიხედვით. ხუთ წელში შრომის დაცვის და სანიტარულ-ტეხნიკური პირობების გაუმჯობესებაზე წარმოებაში, გარდა ახალი ქარხნებისა, უნდა დაიხარჯოს 1.115.000 მანეთი, რაც უდრის არსებულ საწარმოთა რეკონსტრუქციაზე განზრახულ კაპიტალურ ხარჯების 11 პროც. თქმა, რომ ამით ჩვენ ამოვწურავთ შრომის დაცვის ზომებს, ძნელია, ცხადია, ჩვენ დაგვრჩა ალბათ ბევრი რამ, რაც ვერ გავითვალისწინეთ ერთბაშათ და უნდა გავაკეთოთ აუცილებლივ.

ამხანაგებო, გეგმით საკმაო ყურადღება აქვს მიქცეული საბინაო აღმშენებლობას. ხუთ წელში მარტო ს.მ.უ.ს. ხაზით უნდა დაიხარჯოს 10 მილ. მანეთამდე. იქნება თუ არა საკმარისი ასეთი აღმშენებლობა? ცხადია, არა, მაგრამ წარმოების ხაზით ძნელია მეტის გათვალისწინება. იქ კი, სადაც შესაძლებლობა გვექნება, უნდა გავადიდოთ საბინაო აღმშენებლობის თანხები, მხოლოდ საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ თანხების რაციონალურად დახარჯვას. ამხანაგებო, ჩვენი მშენებლობა ძალიან ძვირი გვიჯდება, საჭიროა შევამუშავოთ შენობების აგების პირობები, გავაიაფოთ აღმშენებლობა, რომ შევსძლოთ ამ თანხებით ავაგოთ საცხოვრებელ მოედნის გაცილებით მეტი რაოდენობა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია გეგმით.

კადრებისა და ხელმძღვანელობის საკითხები

ამხანაგებო, ერთი დიდი საკითხი, რომელზედაც უნდა ვიზრუნოთ ჩვენ, არის წარმოების კვალიფიციურ მუშა-ხელით და ინჟენერ-ტეხნიკოსებით უზრუნველყოფა. ჩვენ გვჭირდება 8-დან 9 ათასამდე ახალი კვალიფიციური მუშა-ხელი და 600-ზე მეტი ინჟენერ-ტეხნიკოსი. გეგმით გათვალისწინებულია შესაფერი ხარჯები მუშა-ხელის მოსამზადებლად. ეს ხარჯები ჩვენ კიდევ უნდა გავადიდოთ ახალი წყაროების გამონახვით, ვინაიდან ჩვენი საჭიროება კვალიფიციურ მუშა-ხელის მომზადება—გადამზადებაში გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენ გავითვალისწინეთ, კერძოდ ნაკლებად არის გათვალისწინებული არსებული კადრების გადამზადება. ხშირია შემთხვევა, როცა ძველი მუშები ვერ ეგუებიან მექანიზაციაქმნილ წარმოებას და არჩევენ ძველი წესებით მუშაობას, არჩევენ განაგრძონ მუშაობა ისე, როგორც უმუშავნიათ მამა-პაპათ, ვერ ეგუებიან ახალ მანქანებს, მექანიკურ საზიდ ამჯობინებენ კამეჩის და ცხენის ძალას, ამიტომ ჩვენ უნდა გავღოთ მეტი თანხები არსებულ კადრების გადამზადებისათვის, რომ ამით ჩვენ შევსძლოთ მოვახდინოთ მათში გარდატეხა და შევიტანოთ შეგნება ახალი საწარმოო პირობების შესაქმნელად. ახალი ქარხნებისათვის მუშა-ხელის მოსამზადებელი ხარჯები კი გათვალისწინებულია საალმშენებლო გეგმით. ამხანაგებო, ჩვენ გვჭირდება ინჟენერ-ტეხნიკოსების რაოდენობა წარმოებაში გავადიდოთ 624 პროც., ნაცვლად 134-სა 1927—28 წელში ავიყვანოთ 837-მდე. გეგმის 1-ლი ვარიანტი ითვალისწინებდა გაცილებით ნაკლებ რაოდენობას, ჩვენ ეს გადავსინჯეთ და გავადიდეთ, მაგრამ, ჩემის აზრით, არც გათვალისწინებული რაოდენობა არის საკმარისი, თუმცა ნიშნავს დიდ ნაბიჯს წინ. ნაცვლად 0,4 პროც. მუშების საერთო რიცხვიდან შედარებით 27—28 წელში ჩვენ მივაღწიეთ 4 პროც. ეს მაინც არ არის ამხანაგებო, საკმარისი. ჩვენ არ შეგვიძლიან შესაფერად გამოვიყენოთ ახალი მანქანები, ახალი და გაუმჯობესებული ქარხნები, თუ არ გვეყოლა მცოდნე სპეციალისტების საკმაო კადრი. რაც გინდა კარგი ადმინისტრატორები ვიყოთ ჩვენ კომუნისტები, ვერ შევსძლებთ მარტო გაუძღვეთ წარმოებას და მივიღოთ განზრახული ეფექტი. წარმოება რომ კარგად იქნას დაყენებული, საჭიროა ვიყოლიოთ მეტი სპეციალისტები, მათ შორის ჩვენ წარმოებაში თითქმის არ გვყავს კონსტრუქტორები. ბევრს კი ჰგონია, თუ ინჟენერი ზის და ხაზავს, ის ზედმეტია. ჩვენ უკანასკნელ წელს წარმოებაში ჩავაბით ინჟენერთა ახალი კადრი და მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავლესობა ახალგაზრდები იყო, მათმა მუშაობამ უკვე გამოიღო შესაფერი ნაყოფი და ავიცილეთ მთელი რიგი დეფექტები. ავიღოთ, თუნდაც ბორჯომის და მარილისის ქარხნების გაჯანსაღების გზაზე დადგომის საკითხები. აქ ინჟენერებმაც დიდი როლი ითამაშეს.

მეტი შორსმჭვრეტელობა

ამხანაგებო, სანამ მოხსენებას დავასრულებდე, მინდა შევჩერდე კიდევ რამოდენიმე საკითხზე, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. გეგმით გათვალისწინებული იყო აღმშენებლობის 47 პროც. გაიაფება, დღეს კი ამხ. ფილიპემ აქ სთქვა, რომ ეს საკმარისი არ არის და უნდა ავიღოთ 50 პროც., მაგრამ, ამხანაგებო, აქ საქმე იმაშია, შევსძლებთ თუ არა ჩვენ მშენებლობის გაიაფებას და რა გზით! რა ელემენტების ხარჯზე? მშენებლობის გაიაფება უნდა მოხდეს საწარმოო მოწყობილობისა და საალმშენებლო მასალაზე ფასების დაკლების გზით; შემდეგ: შენობების გამარტივების და გაუბრალოების ხარჯზე. ბოლოს, მუშა-ხელის უკეთესი ორგანიზაციის საშუალებით. თუ ჩვენ არ მივიღეთ გადამჭრელი ზომები, დასახულ ამოცანას ვერ მივაღწევთ. უნდა დავიჩქაროთ აღმშენებლობის ვადა. ყველაზე მეტად ჩვენ გეგმის შესრულებაში დაგვჭირდება აღმშენებლობის გაიაფება, იმიტომ, რომ ამ დარგში სუსტი ვართ დღეს და უფრო ნაკლებად მომზადებული. საალმშენებლო მასალის გაიაფება აუცილებლად უნდა იქნას შესრულებული. მანქ.-მოწყობილობაზე ფასების დაკლება ჩვენზე არ არის მაინც და მაინც დამოკიდებული, ვინაიდან ასეთი ჩვენში არ მზადდება, მაგრამ აუცილებლათ აქ გვექნება ფასების დაკლება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენ ქარხნების შენობების კონსტრუქციის გამარტივებას და გაიაფებას. ჩვენ დღეს ვაშენებთ შენობებს, რომლებმაც უნდა გასძლონ 100 წელი, ვაშენებთ შენობებს, რომლებთაც ზარბაზნით ვერ დაანგრევთ, უფრო ციხე-სიმაგრეს გვანან, ვიდრე ქარხანას; ვაშენებთ შენობებს, სადაც გადაჭარბებული სილამაზე ძვირად გვიჯდება. ავიღოთ თუნდაც ქუთაისის ბარიტის ქარხანა: რა საჭირო იყო მოწყობილობის დასადგმად ასეთი ძვირი შენობის აგება, ასეთი მაგარი კედლები და ბეტონის სახურავი და სხვა. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ ვაგოთ ქარხნის შენობები 100 წლის გამძლეობის ანგარიშით, ჩვენთვის საკმარისია ავიღოთ 10—15 წლის გამძლეობა, დიდი—დიდი 25 წლის. ტეხნიკა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ, 10—15 წელში ქარხნების მოწყობილობა შეიძლება სულ სხვა იქნეს და მან მოითხოვოს სხვა შენობები, ამიტომ არ არის საჭირო, რომ ასეთი სიმაგრეები ვაშენოთ. ამხანაგებო, ქარხნების შენობების აგება ჯდება მთელი ხარჯების თითქმის 50—60 პროც., ამიტომ შენობების კონსტრუქციის გამარტივება-გაუბრალოებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა მშენებლობის გაიაფების საკითხში.

მუშა ხელის გამოყენება

ყოვლად მოუწყობელია მუშა-ხელის გამოყენება სამუშაოზე. აღმშენებლობაში დიდი ანარქიაა გამეფებული ამ საკითხში, ძვირი ჯდება სამუშაო ძალა ცუდი ორგანიზაციის გამო. აქაც საჭიროა მეტი რაციონალიზაცია მუშაობაში და ეკონომია. შემდეგ აღმშენებლობა მიდის მეტად ნელის ტემპით, რაც აძვირებს მშენებლობას. იშვიათია, რომ 8 საათზე მეტი მიდიოდეს მუშაობა; თითქმის არსად არ არის შემოღებული ორ ცვლად მუშაობა, თუ ქარხნებში ჩვენ ვაწარმოებთ ორ და სამ ცვლად მუშაობას, ეს უფრო საჭიროა მშენებლობაში. უნდა გადავიდეთ ორ ცვლიან მუშაობაზე და თანაც პირველ რიგში საალმშენებლო მასალის დამმზადებელ წარმოებაში და აღმშენებლობის დარგში უნდა შემოღებულ იქნას განუწყვეტელი სამუშაო კვირა, რაც მოგვცემს დიდ ეფექტს მშენებლობის დაჩქარების მხრივ. ჩვენ უნდა გამოვძებნოთ ყოველი საშუალება გეგმით გათვალისწინებულ მშენებლობის გაიაფების მისაღწევად.

გარდა ამისა, — ამ საკითხს უკვე ამხ. ფილიპეც შეეხო, — ამ დიდი საალმშენებლო გეგმის შესასრულებლად საჭიროა გვქონდეს შესაფერი სიმძლავრის საალმშენებლო სახელმწიფო კანტორები. კერძო მოიჯარადრეები ჩვენ ვერ მოგვცემენ მშენებლობის გაიაფებას და სცდება ბევრი ჩვენი ამხანაგი — სამეურნეო მუშაკი, როდესაც სამშენს, თუმცა მას აქვს აუცილებლად დეფექტები, ამჯობინებს კერძო მოიჯარადრეს. რატომღაც სამეურნეო მუშაკების უმრავლესობა ამჯობინებს იქონიოს საქმე კერძო მოიჯარადრესთან, ყალბ არტელებთან, რომლებიც გამოავლენენ სოკოსავით, ვიდრე სახელმწიფო საალმშენებლო კანტორასთან, მერე როგორ აშენებენ ისინი? აქ აუცილებლად ხშირად აქვს ადგილი მოტყუილებას, სამუშაოთა ცუდათ შესრულებას, ცუდ ღირსებას, ხშირათ ქრთამებს სამუშაოს მიმღებთა მიმართ. შესაძლებელია ხშირათ კერძოები უფრო იაფათ იღებენ საქმეს, მაგრამ ისე აშენებენ, რომ ფაქტიურათ უფრო ძვირი გვიჯდება, კერძო მოიჯარადრენი გამხრწნელ გავლენას ახდენენ მრავალ ჩვენს აღმშენებლობაზე. თუ სახელმწიფო კანტორები დღეს სუსტია, ამაში ბრალი, უპირველეს ყოვლისა, მიუძღვით სამეურნეო მუშაკებს და მეტადრე სპეციალისტებს, რომელნიც აძნელებენ სახელმწიფო კანტორების მუშაობას. ამხანაგებო, ამ დიდ გეგმის შესრულებას უნდა რამოდენიმე მძლავრი სახელმწიფო კანტორა სხვადასხვა სპეციალობის დარგში. სამწუხაროდ, გეგმაში არ იყო ბოლო დრომდე გათვალისწინებული მძლავრი სახელმწიფო საალმშენებლო ორგანიზაციის დაარსება. დღეს ეს ნაკლი გამოსწორებულია. სახკომსაბჭოს დადგენილებით სმუს სისტემაში უნდა დაარსდეს სახელმწიფო საალმშენებლო ტრესტი და საპროექტო კანტორა. მომავალ წლის საკონტროლო ციფრებში უკვე გათვალისწინებულია შესაფერი თანხა. დღემდე არსებობდა მხოლოდ ერთი საალმშენებლო ორგანიზაცია — სამშენი, რომელიც თანხების უქონლობის გამო ვერ წვდებოდა ყველა სამუშაოს. ჩვენ უნდა აუცილებლად გამოვნახოთ თანხები სახელმწიფო საალმშენებლო ორგანიზაციების მოწყობა - გამაგრებისათვის. კერძო კაპიტალი მშენებლობიდან უნდა იქნას განდევნილი. ის ვერ მოგვცემს კარგ და იაფ მშენებლობას.

ყურადღება კადრების მომზადებას

ამხანაგებო, გეგმის შესრულება მოითხოვს შესაფერ ხელმძღვანელ კადრების ყოლას სამეურნეო ფრონტზე. პარტიამ უნდა მოგვცეს უკეთესი კადრები. ბევრგან ჩვენ ძლიერ სუსტი ვართ, არა გვაქვს კარგი ხელმძღვანელობა, ბევრი ჩინოვნიკურათ უდგება საქმეს, არ არის ანთებული ენტუზიაზმის ცეცხლით. საჭიროა საუკეთესო მოწინავე მუშების წამოყენება სამრეწველო ფრონტზე. ჩვენ უნდა მოვამზადოთ და გადავამზადოთ ისინი. სამეურნეო მუშაკებს სჭირდებათ დღეს მეტი კლასობრივი შეგნება და გამძლეობა, მერყევი და უხერხემლო ელემენტი ვერ გაუძლებს საქმეს. ამასთანავე საჭიროა მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა სამეურნეო მუშაკებისადმი, ვინაიდან მათ უხდებათ რთულ პირობებში მუშაობა, ქარხნებში მოდიან ახალი კადრები, ხშირათ კლასობრივად გაუწრთნელნი, ხშირად კულაკურ და ბურჟუაზიულ წრიდან; მათთან მოაქვთ შესაფერი განწყობილება, ქმნიან ტაციობის ატმოსფერას. ამაში ხშირად ბრალი მიუძღვით თვით სამეურნეო მუშაკებს, რომელთა შორის არიან ისეთები, რომელნიც ამჯობინებენ კულაკებს, ამბობენ, ისინი ღონიერია და მაძღარი და მეტ საქმეს გამიკეთებსო. ეს არის ნამდვილი მემარჯვენე გადახრა. ასეთებს ვერ გაურკვევიათ, რომ კულაკები წარმოებაში ზრუნავენ არა იმაზე, რომ გააძლიერონ სოციალისტური მეურნეობა, არამედ იშოვნონ დამატებით ფული თავის მეურნეობისათვის ისინი მხოლოდ ამაზე ფიქრობენ. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ მემარჯვენე გადახრას, ასეთ ელემენტებს და წარმოებაში ახალი კადრები ჩაბმულ უნდა იქნან ღარიბ ელემენტებიდან. უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ახალი კადრების კლასობრივ აღზრდისათვის და მტაცებლურ ელემენტების წინააღმდეგ წარმოებაში. ხშირია შემთხვევა, როდესაც კარგ სამეურნეო მუშაკის წინააღმდეგ ილაშქრებენ ასეთი ელემენტები და ქმნიან წარმოებაში აუტანელ ატმოსფერას, აქ საჭიროა პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობა. უნდა მოხდეს გარჩევა, ვისთან გვაქვს საქმე. თუ სამეურნეო მუშაკი იქცევა უხეშად, ის ნუ იქნება დანდობილი, მაგრამ თუ მუშების ჩამორჩენილ ფენების მხრით აქვს ადგილი მტაცებლურ და ანტი-კლასობრივ გადახრას, უნდა იქნას მიღებული ზომები ასეთების წინააღმდეგ. საჭიროა ახალი კადრებს გავაგებინოთ და შევაგნებინოთ საწარმოო დისციპლინა. ხშირად აქ საკმარისი არ არის მარტო ლაპარაკი, არამედ საჭიროა უფრო სერიოზული ზომები; მავნებლები უნდა განდევნილ იქნან წარმოებიდან, რა წრესაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი.

ამხ. გ. ყურულაშვილი

ადგილობრივი მრეწველობა

ამხანაგებო, რამოდენიმე სიტყვა ადგილობრივ მრეწველობის შესახებ. როდესაც ცალკე დარგებზე მქონდა ლაპარაკი, ამაზე მე უკვე ვილაპარაკე და ბევრს აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ გეგმა ითვალისწინებს ადგილობრივი მრეწველობის საგრძნობლად განვითარებას, მიუხედავად იმისა, რომ აღმასკომები ნაკლებ უნარს იჩენენ მრეწველობის დარგში, განსაკუთრებით იზრდება მრეწველობა ავტონომიურ რესპუბლიკებში. ამ ხუთ წელში აფხაზეთში სამრეწველო მშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს: ტყვარჩელის კომბინატზე 20-25 მილიონამდე და სხვა სამრეწველო ერთეულებზე 10 მილ. მეტი. აჭარისტანში ბათომის ნავთის ქარხნებზე 65 მილიონი და სხვა საწარმოებზე 3 ნახევ. მილ. სამხრეთ - ოსეთში 1 მილ. 500 ათასამდე და თუ გამოკვლევებმა ცინკის და ტყვიის შესახებ დადებითი შედეგი მოგვცა, მაშინ აქაც გადიდდება მუშაობა. სამწუხაროდ, სამხრეთ - ოსეთში ნაკლები იხარჯება, იმიტომ, რომ ეს მხარე არ არის კარგად შესწავლილი და ბუნებრივი სიმდიდრენი გამოკვლეული. ვიმეორებ, თუ გამოკვლევებმა დადებითი შედეგი მოგვცა, ცინკის და ტყვიის დამუშავება დაიწყება ამ 5 წელში, ვინაიდან კავშირში ფერად ლითონზე დიდი შიმშილია. სტყუიან გარეული და შინაური კადიროვები, როდესაც ლაპარაკობენ, რომ რესპუბლიკებს არ ექცევა ყურადღებაო. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ არ შეგვიძლია სამრეწველო მშენებლობის საკითხებში შევძლოთ დავაკმაყოფილოთ ყველა მაზრა და რაიონები და გრამებით გამოვზომოთ, ვის რამდენი ერგება. ქარხნების ასაშენებელ რაიონის ამორჩევის დროს უნდა გათვალისწინებული იყოს უპირველესად წარმოებითი ინტერესი, ამხანაგებო, თუ ჩვენ გვინდა ადგილობრივი მრეწველობა განვავითაროთ უფრო ჩქარი ტემპით, საჭიროა დავაჩქაროთ დარაიონების გატარება, უამისოთ ჩვენი ადგილობრივი სამრეწველო აღმშენებლობა ვერ წავა შესაფერი ტემპით (ხმები: რატომ არ ატარებთ). პრინციპიალურად საკითხი უკვე გადაწყვეტილია, პრაქტიკულად მას ებრძვიან ზოგიერთები (ხმები: ვინ ებრძვის?). ამაზე აქ იყო ლაპარაკი.

ჩვენ უნდა დავსძლიოთ ეს წინააღმდეგობა.

ექსპორტი და იმპორტი

გეგმით ხუთი წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გავიტანოთ 109 მილ. ღირებულების სამრეწველო საქონელი უცხოეთის ბაზარზე. ამასთანავე ჩვენმა მრეწველობამ უნდა მისცეს კავშირს რამოდენიმე ათეული მილიონი ეკონომია უცხოეთიდან შემოსულ საქონლის ნაცვლად. საქართველოს მრეწველობისათვის ეს დიდი ამოცანა [illegible] გამოშვებით ჩვენ წარმატებით უნდა შევასრულოთ. რაც შეეხება სამრეწველო იმპორტს, ასეთი ხუთი წლის განმავლობაში არ აღემატება 20 მილიონს.

ჩვენმა მრეწველობამ ხუთი წლის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გასაყიდ ფასებს უნდა დავკლოთ 20 პროც. მეტი, უნდა მოგვცეს მოგება უმარგანეცოდ 28 მილ. მანეთი, მარგანეცით არა ნაკლებ 38—40 მილიონისა, იმ ხარჯებთან შედარებით, რომლებიც ჩვენ უნდა გავწიოთ სამრეწველო მშენებლობაზე, ეს არ არის საკმარისი. ფაქტიურად ამ ხუთ წელში აღმშენებლობა მიდის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, რაც მომავალისათვის ყოვლად დაუშვებელია. ამიტომ უნდა იქნას მიღებული ყოველივე ზომა თვითღირებულების შემცირებისათვის, რომ ჩვენ ამით გავაძლიეროთ დაგროვება. ჩვენ უნდა დავსძლიოთ ყოველივე დეფექტები და გავაძლიეროთ დაგროვება, რომ სამრეწველო აღმშენებლობა მიდიოდეს მრეწველობის ხარჯზე.

ამხანაგებო, როგორც შესავალში ვსთქვი, სამრეწველო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა არ არის ზღაპარი და ჩვენი სურვილთა კრებული, წინააღმდეგ ზოგიერთების აზრისა, არამედ გეგმა აღებულია ყველა იმ შესაძლებლობის გათვალისწინებით, რომელიც გვაქვს საერთოდ კავშირში და კერძოთ ჩვენში. ეს გეგმა ჩვენი, რეალურ საფუძვლებზე აგებულია და მთელი ჩვენი ცდა იქით უნდა იყოს მიმართული, რომ ის არ დავარღვიოთ და სრული 100 პროც. განვახორციელოთ.

კაპიტალური ხარჯები უნდა იქნას დაბანდებული ისე, რომ მივიღოთ გაცილებით მეტი ეფექტი, ვიდრე გეგმაშია. გეგმა უნდა შესრულდეს, ეს აშკარაა. ჩვენ უნდა მივმართოთ ჩვენი მასების გულის ყური ისე, რომ გავაღვივოთ რწმენა გეგმის შესრულებისადმი. გეგმის შესრულება მოითხოვს ყოველი სიძნელის გადალახვას, დეფექტების გამოსწორებას, დაბრკოლებათა დაძლევას, საქმისადმი მეტ სიყვარულს, თავდადებას, ენტუზიაზმს, ამ მიზნით უნდა გამოყენებული იქნას განუწყვეტელი სამუშაო კვირა, სოციალისტური შეჯიბრება და მასსების აქტივობის ამუშავება. სოციალისტური შეჯიბრება უნდა გადაიქცეს მძლავრ იარაღად გეგმის შესრულებაში. ავამოქმედოთ მასსები და გეგმას გადაჭარბებით შევასრულებთ. (ტაში).

ეროვნული

პარტიაში

პარტია იწმინდება გახრწნილ, გაბიუროკრატებულ, სოციალურად უცხო ელემენტებისა და ტროცკისტ-პროვოკატორებისაგან

წმენდის შედეგები

ალმასკომის უჯრედი

თბილისის ალმასკომის უჯრედის გამწმენდმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა და გუშინ უკვე გააცნო თავისი დასკვნები უჯრედის ღია კრებას.

კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ეპ. კვანტალიანმა მოკლე სიტყვით დაახასიათა უჯრედის მუშაობა.

ალმასკომის უჯრედს, — სთქვა ამხ. კვანტალიანმა, — აუცილებლად აქვს მიღწევები, მაგრამ მე მათ ჩამოთვლას არ შევუდგები. პირველი ნაკლი კი მდგომარეობს იმაში, რომ ალმასკომის განყოფილებათა გამგეები არ ირიცხებიან ადგილობრივ უჯრედში, რის გამოც ეს უკანასკნელი გავლენას ვერ ახდენს მათს მუშაობაზე.

თბილისის ალმასკომი არჩევითი ორგანოა, ამიტომაც აქ განსაკუთრებული ბრძოლაა საჭირო ბიუროკრატიზმის ყოველ გამოხატულების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, კოლექტივის ბიურო და უჯრედები სათანადოთ ვერ ებრძოდნენ ამ სენს. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ალმასკომში მოეხსნათ რომელიმე „ჩინოვნიკი" ბიუროკრატობისათვის.

პროტექციონიზმსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვი ალმასკომის აპარატში. „უქმში", მაგალითად, უპროტექციოთ საქმის გაკეთება შეუძლებელი იყო. აქაური „ჩინოვნიკები" ოთახებს თავის ნაცნობ-მეგობრებს ურიგებდნენ.

დირექტივა ადმ. სამ. ხარჯების 20 პროც. შემცირების შესახებ არ არის მთლიანად შესრულებული.

პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა პარტიის წევრთა შორის სუსტად სწარმოებდა. წმენდის დროს გამოირკვა, რომ ბევრმა კომუნისტმა არ იცის, თუ რომელი პარტყრილობა ჩატარდა უკანასკნელად თბილისში.

მუშების დაწინაურების საქმე ცუდათაა დაყენებული და ეს თბილისის ალმასკომში, რომელიც თბილისის პროლეტარიატის ხელისუფლების ორგანოა!

თვითკრიტიკის ლოზუნგი აქ ჯერ კიდევ არ გამხდარა მასების კუთვნილებად. წმენდის პირველ დღეებში კომისიას დიდი შრომა დასჭირდა იმისათვის, რომ აემოძრავებია დამსწრენი და ჩაება ისინი უჯრედის წევრთა შემოწმებაში. მაგრამ მასიური თვითკრიტიკის გაშლა კომისიამ მაინც ვერ შესძლო. ყველა სხდომებზე თითქმის ერთი და იგივე ამხანაგები გამოდიოდნენ, უმრავლესობა კი სდუმდა, და არავითარ მონაწილეობას მუშაობაში არ ღებულობდა.

ალმასკომის ა. ლ. კ. ქ. უჯრედის აქტივი საგრძნობით გაიხრწნა. კომკავშირელებმა დაიწყეს ლოთობა, ისინი ეწეოდნენ პროტექციონიზმს და იდენდნენ სხვადასხვა დანაშაულს. პარტუჯრედმა ეს მოვლენა თავის დროზე ვერ აღნიშნა, პარტიის წევრებს ხელიც არ გაუნძრევიათ კომკავშირის უჯრედის გასაჯანსაღებლად.

წმენდის დროს გამომჟღავნებულ იქნა მრავალი ტროცკისტი, რაც ამტკიცებს, რომ უჯრედი საკმაო ფხიანობას ვერ იჩენდა ოპოზიციასთან ბრძოლაში.

დასასრულ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: ალმასკომის უჯრედს ფორმალურად უშუალოდ ხელმძღვანელობენ თბილისის კომიტეტიც და რაიკომიც, სინამდვილეში კი არც ერთი ხელმძღვანელობს და არც მეორე. საჭიროა ამ საკითხის გამორკვევა და ხელმძღვანელობის განმტკიცება, წინააღმდეგ შემთხვევაში უჯრედი ვერ შესძლებს აღნიშნულ ნაკლთა გამოსწორებას".

ამხ. კვანტალიანის სიტყვის შემდეგ გამოცხადებულ იქნა კომუნისტების შემოწმების შედეგები. კომისიის დადგენილებით გარიცხული არიან პარტიის რიგებიდან:

აივაზოვი სტეფანე, და ქორიძე შალვა—როგორც არაკომუნისტური და პასიური ელემენტები.

ვადაჭკორია არისტარხი—დაფარა 1924 წლის აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობა, ვერ განთავისუფლებულა მენშევიზმის იდეოლოგიიდან, არის პასიური და არაკომუნისტური ელემენტი.

გავაშელი მიხეილ—გარიცხულია, როგორც ბიუროკრატი—„ჩინოვნიკი", უცხო და არაკომუნისტური ელემენტი;

გამცემლიძე მიხეილ—ლოთი, დებოშირი, მერყევი ელემენტი, ეხმარებოდა ოპოზიციას.

გავაშელიშვილი ვასილი—ყოფ. მეფის არმიის პოდპრაპორშჩიკი, მენშევიკების კომისარი, დაფარა თავისი წარსული.

გირკელიძე დიომიდე—ფარული ოპოზიციონერი, არა კომუნისტური ელემენტი.

ნებიერიძე კონსტანტინე—გულგრილობას იჩენდა სამსახურისადმი, ირიცხებოდა გახრწნილ კომკავშირელების წრეში, დაფარა ქეიფსა და დებოშებში მონაწილეობა.

თოფურია დიმიტრი—გახრწნილი და არაკომუნისტური ელემენტი.

ჯაფარიძე ივანე—არა კომუნისტური ელემენტი, დაფარა აგვისტოს მენშევიკურ ავანტიურაში მონაწილეობა.

მჟავია ალექსანდრე—ჩაიდინა სიყალბე, გაიდიდა სტაჟი, მოიპარა პარტიული ბილეთი.

კიკნაძე გიორგი—ბიუროკრატი, „ჩინოვნიკი", პასიური და სოციალურად უცხო ელემენტი.

ზაალიშვილი გიორგი, ქევანიშვილი ბორისი, ნუცუბიძე ვ., ქაჯაია ტროფიმი, მიროტაძე ვლადიმერ, სირაძე ყარამანი—ფარული ტროცკისტები და არა კომუნისტური ელემენტები.

ჩხეიძე დავითი—არაკომუნისტური ელემენტი, დაფარა თავისი სოც. ჩამომავლობა.

ოდიშარია ნაკოლოზ—გახრწნილი ელემენტი, ფლანგიელი, ლოთი, დებოშირი.

ოგანოვი გ., კერესელიძე ივანე, მესხიშვილი აკაკი—გახრწნილი ელემენტები სისტემატიურად ლოთობდნენ, აწყობდნენ დებოშებს.

სისოევი გიორგი—შოვინისტი, არღვევდა დისციპლინას, გულგრილობას იჩენდა სამსახურისადმი.

სირაძე ანა დავითის ასული—გახრწნილი ელემენტი.

სოხაძე პიმენ—ფარული ოპოზიციონერი, პასიური ელემენტი, ზედმეტი ბალასტი.

მაღრაძე ბენიამენ და ჯაყელი მიხეილ — აშკარა ტროცკისტები.

მარგიანი პეტრე—ინტრიგანი, მექრთამე, არაკომუნისტური ელემენტი, სისტემატიურად სცემს ცოლს.

გარიცხულთა შორის არის: მუშა-4, მოსამსახურე—22, გლეხი—6, პარტიის წევრი—22, კანდიდატი—10.

გარდა ამისა შენიშვნა მიეცა და საყვედური გამოეცხადა 16 ამხანაგს; სტაჟი შეუმცირდა ერთ ამხანაგს.

რკ. გზის მუშფაკი

რკ. გზის მუშფაკის უჯრედის შემმოწმებელმა კომისიამ დაამთავრა თავისი მუშაობა. კომისიამ, შეაფასა რა უჯრედის საქმიანობა, დადებით მხარეებთან ერთად აღნიშნა შემდეგი ნაკლოვანებანი: უჯრედის წევრთა პოლიტმომზადების დონე დაბალია, უკანასკნელი კურსის მსმენელებიც კი წესიერად ვერ ერკვევიან მიმდინარე პოლიტიკის საკითხებში. პარტხელმძღვანელობა კომკავშირზე მოისუსტებდა. ადგილი აქვს პარტიული და კომკავშირელი კურსანტების მხოლოდ აკადემიური მეცადინეობით გატაცებას, რასაც ზოგჯერ შედეგად სდევს პარტიულ, კომკავშირულ და საზოგადოებრივ მუშაობისგან ჩამოშორება. ადგილი ჰქონდა ისეთ ავადმყოფურ მოვლენებსაც, როგორიცაა: ინტრიგანობა, სასკოლო დისციპლინის დარღვევა, სასწავლებელში მთვრალი მოსვლა, გაკვეთილების გაცდენა და სხვ. წმენდის შედეგები ასეთია: შემმოწმებელ კომისიის დადგენილებით გარიცხული არიან პარტიიდან შემდეგი პირები:

1) **ალხანაშვილი ივანე თევდორეს ძე** ტროცკისტულ დაჯგუფებაში აქტიური მონაწილეობის გამო.

2) **ბალანჩივაძე აქსენტი ივანეს ძე** იდეოლოგიური მერყეობისათვის, რაც გამოიხატა ტროცკისტული ოპოზიციისათვის თანაგრძნობაში.

3) **ნავასარდოვი ხაჩიკ სუმბათის ძე**, არ იყო დაინტერესებული პარტიული საკითხებით, არ იხდიდა პარტიის და პროფკავშირის საწევრო გადასახადს.

4) **ბიბილაშვილი ნესტორ ილარიონის ძე**—პარტიაში შესვლის დროს დამალა თავისი სამსახური მენშევიკურ გვარდიაში და მენშევიკური პარტიის წევრობა. არ იხდიდა საწევრო გადასახადს.

5) **რუსია სოლომონ ილიას ძე**—მსახურობდა მენშევიკურ გვარდიაში, დააპატიმრა ოთხი ბოლშევიკი და თვითონ გადაცილა ზესტაფონამდე. ეს ამბავი მან დამალა კ. პ. (ბ) შესვლის დროს.

6) **კოკნაძე ალექსანდრე სოლომონის ძე**—გაირიცხა, როგორც პარტიისათვის უცხო ელემენტი და სისხლის სამართლის დამნაშავე (ამჟამად დაპატიმრებულია).

7) **ბარბაქაძე მიხეილ სოლომონის ძე**—გაირიცხა, როგორც აქტიური ტროცკისტი. (შემოწმების დროს განაცხადა, რომ იგი „მხოლოდ თანაუგრძნობს" ტროცკისტებს).

8) **მამასახლისოვი გიორგი ესტატეს ძე**—ტროცკისტულ ოპოზიციაში მუშაობისათვის.

გარდა ამისა, ამხ. **ზაქივაძე ვასილი ივანეს ძეს** გამოეცხადა საყვედური „აღდგომის" უქმობისათვის; **ნაჭყებია ვლადიმერ ნიკოლოზის ძეს** საყვედური სამსახურში სისტემატიური დაგვიანებისათვის; **ჯავახაძე მიხეილ იოსების ძეს** საყვედური კომუნისტისათვის შეუფერებელ ყოფა-ცხოვრებისათვის; **კამალოვს სერგო ივანეს ძეს**—სასტიკი საყვედური იმისათვის, რომ სცდილობდა დაემალა კოლექტივის ბიუროს დადგენილება. **მარიხოვ ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს** გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით უჯრედის კრებებზე დაუსწრებლობის გამო და კრებაზე მთვრალი სახით მისვლისათვის; **ებანოიძე ალექსანდრე ზებარიონის ძეს**—გამოეცხადა საყვედური იმის გამო, რომ პარტიაში შესვლის დროს მან დამალა მენშევიკურ გვარდიაში სამსახური; **ვაშაკიძე პარმენ ბეჟანის ძეს**—საყვედური გაფრთხილებით იმის გამო, რომ მან შემმოწმებელ კომისიას დაუმალა თავისი წარსული მუშაობა ტროცკისტულ დაჯგუფებაში.

გარდა ამისა ამხ. **მოსიევ ავეტიკ და მალაციძე ალექსანდრეს** წინადადება მიეცათ იზრუნონ პოლიტცოდნის დონის ამაღლებისათვის.

გარბიან ტროცკისტებისაგან

საქ. კ. პ. (ბ) ც. საკ. კომისიაში განუწყვეტლივ შემოდის განცხადებანი მთელი რიგი ამხანაგებისა, რომლებიც გამორიცხულნი არიან პარტიიდან ოპოზიციონური მუშაობისათვის და ეხლა კი საბოლოოდ სწყვეტენ კავშირს კონტრ-რევოლიუციონურ ტროცკიზმთან.

პარტიის ყოფილი წევრი 1916 წლიდან ალექსანდრე ნიკიფორეს ძე თაყაიშვილი თავის განცხადებაში სწერს, რომ მას განვლილმა წელმა ნათლად უჩვენა პარტიის ხაზის სისწორე. „ახლა მე,—აცხადებს თაყაიშვილი,—მივედი დასკვნამდე, რომ მხარის დაჭერა ტროცკიზმის მუშაობისა და ბრძოლის მეთოდებისათვის ანტი-რევოლიუციონურ მოქმედებას წარმოადგენს".

მეორე ყოფილი ოპოზიციონერი (პარტიის ყოფილი წევრი 1923 წლიდან) პანტელეიმონ მელიტონის ძე ჩხიკვაძე აღიარებს თავის შეცდომას, კონტრ-რევოლიუციონურ ხაზად სთვლის ოპოზიციის ხაზს და სავსებით და მთლიანად იზიარებს პარტიის მე-15 ყრილობის დადგენილებებს.

ამხ. მიხეილ ონისიმეს ძე ცაგარეიშვილი კომპარტიის ყოფილი წევრი 1920 წლიდან თავის განცხადებაში სწერს, რომ ოპოზიციის მუშაობამ გამოიწვია კონტრ-რევოლიუციონური ტროცკისტული პარტიის შექმნა. „უკანასკნელ დროს,—სწერს იგი,—დავრწმუნდი, რომ ეს მუშაობა მიმართულია პროლეტარული ხელისუფლების წინააღმდეგ; ამიტომ ვსწყვეტ ყოველგვარ კავშირს ტროცკისტულ კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციასთან".

აი, რას სწერს პარტიის ყოფილი წევრი 1916 წლიდან ალექსანდრე თევდორეს ძე ნადირაძე: „გარკვეულად ვაცხადებ, რომ პარტიიდან გამორიცხვის შემდეგ არც ერთი წუთით არ მიწარმოებია ფრაქციული მუშაობა და თვალყურს ვადევნებდი პარტიულ ცხოვრებას. ოპოზიციამ დაუშვა დიდი შეცდომა, რომ არ დაემორჩილა პარტიის უმაღლეს ორგანოს—მე-15 ყრილობის დადგენილებებს. იმ დროს, როდესაც პარტია აწარმოებს დიად აღმშენებლობით მუშაობას, როდესაც შინაური და გარეშე კონტრ-რევოლიუცია სცდილობს გამოიყენოს ჩვენი მშენებლობის სიძნელენი და დაღუპოს პროლეტარული ქვეყანა, ამ დროს პარტიის გარედ დარჩენა ყოვლად შეუწყნარებელია".

სამუდამოდ შორდება რა ოპოზიციას, ნადირაძე ხსნის თავის ხელმოწერას 83-ს განცხადებიდან და პლატფორმიდან, ემორჩილება მე-15 ყრილობის, ცეკას შემდგომი პლენუმების და მე-16 პარტკონფერენციის დადგენილებებს.

დაახლოებით ასეთივე შინაარსის განცხადებები შემოიტანეს ი. მ. გელაშვილმა, ა. გ. ბოხოძემ და ივ. ბ. ნიკოლაევმა.

პიონერთა შეკრებისათვის

ს. ა. ლ. კ. კ. მე-6 საკავშირო კონფერენციის მოწოდება

ნორჩ პიონერთა საკავშირო და ადგილობრივ შეკრებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. შეკრებამ ნამდვილი გარდატეხა უნდა მოახდინოს მოზარდთა კადრების აღზრდის საქმეში.

კონფერენცია მოუწოდებს ყველა მუშას, კომკავშირელს, მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობას—მიიღონ აქტიური მონაწილეობა შეკრების ჩატარებაში.

ჩავატაროთ მასიური შემოწმება იმისა, თუ როგორ მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო პროფესიონალური, კოოპერატიული ორგანიზაციები ბავშვების აღზრდაში და პიონერთა ორგანიზაციის მუშაობაში. მივაღწიოთ იმას, რომ ამ ორგანიზაციებმა მიიღონ პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის პირობების საფუძვლიანად გაუმჯობესებას და კომუნისტური გავლენის გავრცელებას ყველა ბავშვებზე.

კონფერენცია მოუწოდებს ყველა კომიტეტს, ყველა უჯრედს, ყოველ კომკავშირელს—მიიღონ გადამჭრელი ზომები პიონერთა მუშაობის ხელმძღვანელობის პრაქტიკულად გაუმჯობესებისათვის.

შეკრების დროისათვის შევამოწმოთ წინამძღოლთა კადრები, გამოვყოთ საუკეთესო კომკავშირელი—აქტივისტები პიონერთა შორის, პედაგოგიურ და სკოლის გარეშე მუშაობისათვის.

შეკრება უნდა გახდეს ძლიერი საშუალება ბავშვების შემოქმედებისა და ინიციატივის განსავითარებლად სოციალისტურ მშენებლობაში და ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში. შეკრებამ ხელი უნდა შეუწყოს პროლეტარული ბავშვების ახალი ფენების ჩაბმას პიონერთა ორგანიზაციაში.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანების განხორციელება განუყრელად არის დაკავშირებული მომავალ მშენებელთა კადრების აღზრდის ამოცანებთან. კომკავშირმა თავისი ძალები ჩააბა სოციალისტურ მშენებლობაში.

კომკავშირი გამონახავს ძალას და ენერგიას იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელთა ყურადღება მიაქციოს სოციალიზმის მშენებელთა ახალი თაობის მომზადების საკითხზე.

შევინარჩუნოთ სესხის ობლიგაციები

სოციალისტური მშენებლობა ქვეყნის სწრაფი ტემპით ვითარდება. საბჭოთა ხელისუფლებამ ეკონომიური ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად დიდი მუშაობის ხუთ წლიანი გეგმა შეიმუშავა. ხუთ წლიანი გეგმის შესრულება—აი უდიდესი მორიგი ლოზუნგი. სოციალიზმის მშენებლობის ამ გენერალური გეგმის განსახორციელებლად საჭიროა მთელი მშრომელი მასების ძალ-ღონის მაქსიმალური მობილიზაცია.. ხუთ-წლიანი გეგმის მთავარი ღერძის—ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მტკიცედ გატარება შეუძლებელია მარტო იმ სახსრებით, რომელნიც სახელმწიფოს მოეპოვება. ამიტომ დასახულ გეგმის შესრულების საქმეში უდიდესი როლი სახელმწიფო სესხმაც უნდა ითამაშოს. და ეს ასეც არის. ხუთ წლიანი გეგმა ნაწილობრივ მოსახლეობის საშუალებათა მოზიდვაზეა აგებული. ხუთი წლის განმავლობაში 20 მილიარდი მანეთი უნდა იქნას დაბანდებული სახალხო მეურნეობაში. აქედან 6 მილიარდი (ე. ი 30 პროც.) სახელმწიფო სესხზე მოდის. ამ რიგად სახელმწიფო სესხი—ერთ-ერთი მთავარი წყაროთაგანია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის .

პროლეტარული სახელმწიფოს მშრომელები ერთსულოვნად შეხვდნენ მთავრობის მოწოდებას სახელმწიფო სესხის შეძენის შესახებ. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მიღწევები გვაქვს. სახელმწიფოს ვალი მოსახლეობისადმი 1925 წელში 137 მილიონი მანეთს უდრიდა. 1929 წელში კი—მილიარდ მანეთზე მეტია. მაგრამ ამ წარმატებას, თან ახლავს უარყოფითი მხარეებიც. საქმე იმაშია, რომ სახელმწიფოს მიერ გამოცემული გრძელ-ვადიანი სესხი—ზოგიერთ შემთხვევაში ფაქტიურად მოკლე-ვადიან სესხის სახეს ღებულობს. ობლიგაციის უკან დაბრუნებამ გაყიდვამ—მასიური ხასიათი მიიღო. ეს კი დიდ ზიანს აყენებს—ხუთ წლიანი გეგმის შესრულებას—ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს.

თვითოეულ შეგნებულ საბჭოთა მოქალაქეს, უნდა ახსოვდეს, რომ სახელმწიფო მიღებულ სესხს მშენებლობაში აბანდებს დიდი ხნით. ამიტომ მეპატრონე ჰყიდის რა ობლიგაციას ვადაზე ადრე, აფერხებს ამ მშენებლობას. რა არის საჭირო, ამის თავიდან ასაშორებლად? საჭიროა ობლიგაციები დანიშნულ დრომდე შევინახოთ. არც ერთი ობლიგაცია არ უნდა იქნას გაყიდული. აი, რას მოითხოვს სახელმწიფო ბიუჯეტის მტკიცედ შესრულების საქმე.

რა ზომები უნდა მივიღოთ ამისათვის? რა თქმა უნდა, ობლიგაციის შეძენისა და გაყიდვის ნებაყოფლობითი პრინციპი არ უნდა იქნას დარღვეული. უმთავრესია ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაძლიერება ობლიგაც. სარგებლიანობის შესახებ მისი მფლობელისა და ჩვენი მშენებლობისათვის. ამ საქმეს უაღრესი ყურადღება უნდა მიაქციონ პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა. მათ სასწრაფოდ მთელი ენერგიით უნდა გააჩაღონ მასიური მუშაობა გრძელვადიან სესხის დანიშნულებისა და სარგებლიანობის შესახებ საუბრებისა და მოხსენებების, საშუალებით, კამპანიის გადატანით კლუბებში, სამკითხველოებში და საერთოდ, პოლიტგანათლების მთელ სისტემაში. ფართოდ უნდა განვმარტოთ, რომ ობლიგაციის გამყიდველი ზიანს აყენებს თავის თავსაც, მოგების, პროცენტების და დაგროვების შესაძლებლობის თავიდან აშორების სახით. ეს მუშაობა დღემდისაც ვერ დაგვიყენებია თავის სიმაღლეზე. ეს, თუნდაც, იმ გარემოებიდანაც სჩანს, რომ დღესაც გამოუთხოვარია 25 მილიონ მანეთამდე მიღებული მოგება. ობლიგაციის ბევრმა მეპატრონემ არც კი იცის ხვდა თუ არა მას მოგება. ის ხშირად ტირაჟსაც ვერ ადევნებს თვალყურს. რა არის ამ ნაკლის გამოსწორებისათვის საჭირო? ზემოხსენებულ ორგანიზაციების მიერ სისტემატიური ახსნა-განმარტებით საჭიროა მიღწეულ იქნას ობლიგაციების კოლექტიურად შენახვა.

ობლიგაციების ამგვარი შენახვა უფასოდ ხდება. მეპატრონეს კი სათანადო ქვითარი ეძლევა. მას შემნახველი ორგანოები დაუყოვნებლივ აცნობებენ თუ კი მის ობლიგაციას მოგება ხვდა. ეს სასარგებლოა ობლიგაციის მეპატრონესათვის, ის აღარ ჰკარგავს დროს იმის გასაგებად, ხვდა თუ არა მას მოგება. ამას გარდა სახელმწიფო სესხის ხელისშემწყობ კომისიების და ზემოხსენებულ ორგანოების ახსნა-განმარტებითი საშუალებით აქაც ფართოდ უნდა გავშალოთ შეჯიბრება ობლიგაციის ხელზე შესანარჩუნებლად, როგორც წარმოება-დაწესებულებებს შორის, აგრეთვე ცალკე პირებს შორისაც. ამ დიდი მნიშვნელობის საქმის წასაქეზებლად ადგილობრივი ორგანოები სისტემატიურად უნდა უგზავნიდნენ გაზეთებს შეჯიბრების შედეგებს ობლიგაციის შენახვის საქმეში. პარტიულ, პროფესიონალურ, საზოგადოებრივ ორგანიზაციების, და ყველა პატიოსან მოქალაქისთვის, დევიზი უნდა იყოს: „არც ერთი ობლიგაციის გაყიდვა. შევინარჩუნოთ ობლიგაცია! ხელი შეუწყოთ სოციალისტურ მშენებლობას!

დ. გ—ი.

საქართველოს მბეჭდავთა კავშირი

საფრანგეთის რევოლიუციონურ მბეჭდავებთან

მბეჭდავთა რეფორმისტული კავშირის გარდა, საფრანგეთში (ანესში) არსებობს მბეჭდავების უნიტარული კავშირი, რომლის მდივანიცაა კომუნისტი ამხ. მარმილიო.

საქართველოს მბეჭდავთა კავშირმა დაადგინა მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს ამ კავშირთან, რა მიზნითაც ამხ. მარმილიოს მისწერა წერილი, რომელშიაც ესალმება მას და ატყობინებს, რომ საქ. მბეჭდავთა კავშირს სურს მიწერ-მოწერა იქონიოს მასთან, რომ ამით გაეცნონ ერთმანეთის თავიანთი ორგანიზაციების ცხოვრება და მუშაობა.

— საქართველოს მბეჭდავთა კავშირი, ნათქვამია წერილში, აერთიანებს 3.000 მეტ წევრს და ემსახურება პოლიგრაფიული წარმოების ყველა მუშებს, გაზეთების რედაქციების და საგამომცემლო ორგანიზაციების მუშაკებს. ჩვენი კავშირი 25 წლისაა, რაც არსებობს, იგი დაარსებული იქნა პირველი რევოლიუციის დროს—1905 წელში.

თავისი არსებობის განმავლობაში საქართველოს მბეჭდავთა კავშირს მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა: მეფის თვითმპყრობელობის დროს იგი იძულებული იყო არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო, ხოლო მენშევიკების ბატონობის დროს ძალზე მძიმე პირობებში იყო ჩაყენებული.

მიუხედავად ყოველგვარ ინსინუაციებისა, რომელსაც ჩვენი კლასიური მტრები ავრცელებენ საზღვარგარეთ, მიუხედავად ყოველგვარ სიყალბისა და ცილისწამებისა, საქ. მბეჭდავთა კავშირი მტკიცეთ მიდის წინ და ამჟამად მას დიდი მიღწევები აქვს შრომის დაცვის, სოცდაზღვევის, მუშების ყოფა-ცხოვრების და მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, კულტურული დონის ამაღლების და სხვა დარგში.

ჩვენ ძალიან გვინდა—ნათქვამია შემდეგ წერილში—გავეცნოთ თქვენს ცხოვრებას და ბრძოლას ექსპლოატატორების წინააღმდეგ. ჩვენ გვინდა დავამყაროთ თქვენთან ინტერნაციონალური ურთიერთობა, რადგან თქვენი სახით ჩვენ საქმე გვაქვს შრომის უნიტარული ფედერაციის მებრძოლ ავანგარდის ერთ-ერთ რაზმთან. ჩვენ გვინდა დავამყაროთ თქვენთან სისტემატიური მიწერ-მოწერა, რეგულიარულად გავეცნოთ თქვენი ცხოვრებისა და შრომის პირობებს, საფრანგეთის მუშათა კლასის მდგომარეობას.

საქ. მბეჭდავთა კავშირი წინადადებას იძლევა ყოველგვარი მიწერ-მოწერა წარმოებული იქნეს მბეჭდავთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის საშუალებით, რომელიც საფრანგეთის მბეჭდავთა უნიტარული კავშირის ყველა წერილებს გადმოუგზავნის საქ. მბეჭდავთა კავშირს.

მზადება საერთაშორისო წითელი დღისათვის

საქ. პროფსაბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს მიმართა წერილით, რომელშიაც აღნიშნავს, რომ კომუნისტურმა ინტერნაციონალმა და პროფინტერნმა დაადგინეს მოაწყონ პირველ აგვისტოს იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო დღე—საერთაშორისო წითელი დღე.

საერთაშორისო წითელი დღის ჩატარება მჭიდროთ უნდა დაუკავშირდეს საბჭოთა კავშირის თავდაცვის კვირეულის და ფიზკულტურის ორკვირეულის კამპანიებს, რომლებიც ამავე ხანებში ეწყობა.

პროფკავშირები კარგად უნდა მოემზადონ საერთაშორისო წითელი დღისათვის და ჩაატარონ იგი პროლეტარიატის ფართო მასების აქტიურ მონაწილეობით.

კამპანიის პრაქტიკული ჩატარებისათვის პროფსაბჭოს საჭიროდ მიაჩნია ქვემოდ ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელება:

ივლისის 20-ს საზაფხულო ბაღებში, კლუბებში, მოედნებზე და წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს მიტინგი, ლექციები და მოხსენებები საერთაშორისო წითელი დღის, მსოფლიო ომის 15 წლის თავის, საბჭოთა კავშირის თავდაცვის და ფიზკულტურის საკითხების გარშემო. ყველა ეს საკითხები გაშუქებული უნდა იქნეს აგრეთვე კედლის გაზეთებში.

ყველა ბაღებში, ბიბლიოთეკებში და წითელ კუთხეებში უნდა მოეწყოს იმპერიალისტური ომის 15 წლის თავის აღსანიშნავად საგანგებო დაფა, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა ცნობები 1914—1918 წლის მსოფლიო ომის შედეგების შესახებ (რამდენი სიცოცხლე იმსხვერპლა ომმა, [illegible] ომზე და სხვ. [illegible] ცნობები, თუ როგორ ემზადება ბურჟუაზია ახალი მსოფლიო ომისათვის (ჯარის რიცხვის ზრდა, შეიარაღების და სამხედრო ხარჯების ზრდა და სხ.).

ივლისის 22-დან ყველა კლუბებში და ბაღებში უნდა მოეწყოს საზეიმო კრებები და საღამოები საბჭოთა კავშირის თავდაცვის დღის აღსანიშნავად.

ივლისის 27-დან აგვისტოს 11-მდე ყველა ბაღებში და მოედნებზე უნდა მოეწყოს ფიზკულტურის წრეების გამოსვლები მიღწევების გამოსაჩენად [illegible], მძლეოსნობის დარგში და სხ.

გარდა ამისა, სასურველია გაიმართოს საკავშირთაშორისო შეჯიბრება სასროლო წრეებს შორის და მოეწყოს გასამხედროებული ლაშქრობა.

ივლისის 28-ს უნდა მოეწყოს მუშათა ორგანიზაციების გასვლა ქალაქს გარეთ, წითელ ბანაკებში მისვლა, წითელ არმიელთა ნაწილებისათვის საჩუქრების მიტანით და სხვ.

პირველ აგვისტოს კავშირებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ დემონსტრაციაში, რომელიც მუშაობის გათავების შემდეგ მოეწყობა ყველგან.

პირველ აგვისტოს საღამოს კლუბებსა და საზაფხულო ბაღებში უნდა მოეწყოს მიტინგი საერთაშორისო წითელი დღის აღსანიშნავად სათანადო მხატვრული პროგრამით.

საერთაშორისო წითელი დღის—1 აგვისტოს ადგილებზე ჩატარების შესახებ, პოლიტგანათლების მთავარი მმართველობამ სამაზრო პოლიტგანებს დაუგზავნა სპეციალური ცირკულიარული წერილი.

ცირკულიარში განმარტებულია „წითელი დღის" მნიშვნელობა და მისი ჩატარების გეგმა.

სამაზრო პოლიტგანებს წინადადება ეძლევათ „წითელი დღის" ჩამტარებელ კომისიებში გააგზავნონ თავიანთი რწმუნებულები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ დღის მოსაწყობად საორგანიზაციო მუშაობაში.

სოფლის სამკითხველოებმა და ბიბლიოთეკებმა, სახალხო სახლებმა და წითელ-კუთხეებმა უნდა აწარმოონ შესაფერი ჟურნალ-გაზეთების ხმა-მაღალი კითხვა და მოაწყონ ცოცხალი გაზეთი, გლეხობაში ჩაატარონ კითხვა-პასუხის საღამოები და ბაასი წითელი დღის მნიშვნელობის შესახებ; ამავე ორგანიზაციებმა უნდა მოიწვიონ მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა კრებები, რომლებზედაც მათ უნდა განუმარტონ და აუხსნან „წითელი დღის" მნიშვნელობა.

სახალხო სახლებში ამ დღესთან დაკავშირებით უნდა გაიმართოს რევოლუციონური შინაარსის წარმოდგენები.

ამავე დღისათვის ადგილები უშვებენ კედლის გაზეთების სპეციალურ ნომრებს. მოეწყობა რადიოს მასიური მოსმენა.

წითელი დღის ჩატარებასთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს გლეხებს შორის პროპაგანდას სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და სახალხო მეურნეობის განვითარების მნიშვნელობის შესახებ.

ამასთანავე პოლიტ-განათლების ორგანოებმა გლეხობას უნდა გააცნონ წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად ხელისუფლების მიერ მიღებული ღონისძიებები და წაახალისონ გლეხები ლიკ-სკოლებში შესასვლელად.

თავდაცვა-ავიაქიმის მონაწილეობა

თავდაცვა-ავიაქიმი, როგორც უძლიერესი ორგანიზაცია, რომელიც ამზადებს მშრომელ მოსახლეობას თავდაცვისათვის, მხურვალე მონაწილეობას იღებს მზადებაში ანტი-იმპერიალისტური დღის ჩასატარებლად.

სამზადისი ანტი-იმპერიალისტური დღისათვის გამოყენებული იქნება ავიაქიმის მუშაობის გასაძლიერებლად, ახალი წევრების მისაზიდით ავიაქიმის რიგებში და ავიაქიმის პრაქტიკული ორგანიზაციების მუშაობის განსამტკიცებლად.

ავიაქიმის ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ პროპაგანდისტული მუშაობის ჩატარებას თავდაცვა-ავიაქიმის იდეების პოპულიარიზაციის მიზნით.

ყურადღება უნდა მიექცეს წითელი არმიის მუშაობის გაშუქებას ლექციების და ექსკურსიების მოწყობით ყაზარმებში და ბანაკებში.

გაძლიერებულ უნდა იქნეს ავიაქიმის მუშაობა საჰაერო-ქიმიურ თავდაცვის დარგში. მიღებული უნდა იქნეს ზომები ავიაქიმიური რაზმების და წრეების რიცხვის გასადიდებლად და მათში ახალი წევრების ჩასაბმელად.

ავიაქიმის ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი სამოქალაქო ავიაქიმის განვითარებას. ამ მიზნით სადაც კი შესაძლებელია, უნდა მოეწყოს საპლანერო და სამოდელო წრეები.

1-ლ აგვისტოს, ანტი-იმპერიალისტურ დღეს ავიაქიმის ორგანიზაციებმა უნდა მოაწყონ თავისი წევრების ფართე დემონსტრაციები. ამ დემონსტრაციებმა უნდა გამოაშკარაონ საბჭოთა კავშირის მშრომელების მომზადება თავდაცვისათვის.

რა ხდება ადგილებზე

მკვლელობა ზუგდიდში

ზუგდიდი, 12 ივლისი. (საქ. კორესპ.) 11 ივლისს ღამის 11 საათზე ქ. ზუგდიდში შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხენ მოქ. ლევან დარასელიას და მოჰკლეს. ავაზაკები მიიმალენ. მიღებულია სასწრაფო ზომები ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად.

ა. კოდუა.

აფხაზეთის გლეხობის სოციალური შემადგენლობა

სოხუმი, 12 ივლისი. სტატსამართველოს ცნობით, აფხაზეთის გლეხობის სოციალურ შემადგენლობას ახასიათებენ შემდეგი ციფრები: კულაკური მეურნეობანი—6,6 პროც., საშუალო—31,6 პროც. და ღარიბთა—59,3 პროც. გლეხობის ძირითადი მასა—ღარიბები — განთავისუფლებულნი არიან გადასახადისაგან. ღარიბები იხდიან გადასახადის საერთო თანხის 0,3 პროცენტს, საშუალო გლეხები—32,8 პროცენტს, კულაკები და შეძლებული გლეხები—67,5 პროცენტს. (ადს).

ენგურის არხი

სოხუმი, 12 ივლისი. ენგურის არხს გალიმდე სამი კილომეტრი უკლია. არხი, როგორც ცნობით, გაყვანილ იქნა დაბლობი ადგილების ამოსაშრობად, მაგრამ, გაზაფხულს გვალვის გამო, არხი გამოყენებულ იქნა მოსარწყავად. მახლობელი სოფლების გლეხობამ აუარებელი სარწყავი არხი გაიყვანა. მათი საერთო სიგრძე 40 კილომეტრს უდრის. ამის მეოხებით მოირწყო 1.200 ჰექტარი მიწა. გლეხები მოითხოვენ ახალი არხების გაყვანას. ამის გამო გალის ალმასკომმა ეკონომსაბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა არხის გაგრძელების შესახებ. ამ სამუშაოსათვის გამოთხოვილია 70.000 მანეთი (ადს).

ამინდი

ბათომი, 12 ივლისი. ივლისის პირველი ათი დღის განმავლობაში 6 დღე წვიმიანი იყო. აჭარისტანის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგემ ამხ. კაკელიძემ ნათესის მდგომარეობის შესახებ განაცხადა, რომ წვიმებმა ივლისის დასაწყისში კარგად იმოქმედა ნათესებზე. ნათესი კახაბერის მიდამოებში დამაკმაყოფილებელია. ზემო-აჭარაში გვალვაა ,რამაც საგრძნობლად დააბრკოლა თესვა. ნათესის სივრცე ქედის და ქობულეთის მაზრაში გადიდებულ იქნა 8,5 პროცენტით (ადს)

საკერავი მანქანის მაგიდების წარმოება

ბათომი, 11 ივლისი. „აჭარმრეწვ"-ის ხის დამმუშავებელ ცენტრალურ ქარხანაში ამუშავდა ახალი საამქრო, რომელშიაც მზადდება მაგიდები საკერავი მანქანებისათვის. საამქროს ამუშავება თვალსაჩინოდ დაგვიანდა საიმპორტო მოწყობილობის მიღების დაგვიანების გამო. ამიტომ „აჭარმრეწვ"-მა ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება „გოსშვეიმაშინა"-სთან დადებულ ხელშეკრულების მიხედვით, რომლის თანახმადაც უნდა დაემზადებია 15.000 მაგიდა.

1 ივლისიდან საამქრო დღეში ამზადებს 20 მაგიდას, სრული წარმოება კი აყვანილ უნდა იქნას 75 ცალამდე დღეში. მუშაობას აფერხებს კვალიფიციურ მუშათა ნაკლებობა. მაგიდების პირველი პარტია მაღალი ღირსების აღმოჩნდა. მოთხოვნილება ამ მაგიდებზე „გოსშვეიმაშინ"-ის მხრივ განუსაზღვრელია. საჭირო ნედლი მასალა საკმაო რაოდენობით მოიპოვება. თუ ახალი მოწყობილება დაიდგა, ქარხანა შესძლებს წარმოების გაორკეცებას და დღეში დაამზადებს 150 მაგიდას. (ადს).

თამბაქოს თესვის კამპანიის ჩაშლა

ბათომი, 11 ივლისი. მიმდინარე წელს ზემო აჭარაში განზრახული იყო თამბაქოს დათესვა 300 ჰექტარზე, მაგრამ დაითესა მხოლოდ 90 ჰექტარამდე. ამის მიზეზს წარმოადგენს უმთავრესად ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებათა დაუდევრობა. ამ დაწესებულებებმა ფაქტიურად ჩაშალეს მთელი თესვის კამპანია. ნათესის კონტრაქტაციისათვის თითქმის არავითარი მუშაობა არ ჩატარებულა. თავის დროზე ავანსებისათვის გაცემული 4.000 მანეთი დღემდე არ დარიგებულა. ასეთ „მუშაობას" შედეგად ის მოჰყვა, რომ ხულოს მაზრაში, რომელიც უმთავრესად მეთამბაქოვეობის რაიონია, მიმდინარე წელს თამბაქო დათესილია მხოლოდ 20 ჰექტარზე და ისიც კულაკურ მეურნეობებში. ღარიბი გლეხობა კი, რომელსაც არავითარი დახმარება და კრედიტი არ მიუღია, უნათესოდ დარჩა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ადგილობრივ ხელმძღვანელთა მიუტევებელი დაუდევრობა. ხელმძღვანელობის გაუწევლობა, ინსტრუქტორთა ნაკლებობა, დამზადებულ ფოთლოვან თამბაქოს ცუდი დახარისხება, რაც მოსავალის ღირებულებას ამცირებს, ყოველივე ეს უკარგავს გლეხობას ინტერესს მეთამბაქოვეობისადმი. ამავე დროს კი, თუ საქმე სწორად იქნა დაყენებული, თამბაქოს კულტურა თითქმის ერთად-ერთ რენტაბელურ კულტურას წარმოადგენს ზემო აჭარაში (ადს).

ა. კ. სახკომსაბჭოში

სააქციო საზ. „ინტერნაციონალური ტურისტი"

ა.-კ. სახკომსაბჭოსთან დაარსდა სააქციო საზ. „ინტერნაციონალური ტურისტი"-ს დამხმარე საბჭო. საბჭოში არჩეული არიან: ამხ. შ. ელიავა (თავმჯდომარე), ბეკზადიანი (მოადგილე), ავაქოვი, ლ. ბერია, ბუკრეევი, ნ. ივანიშვილი, დ. კანდელაკი, მუსაბეკოვი, მგალობლიშვილი, გ. მამალაძე, პოზდეევი, პერესკელი, ა. სააკიანი, ტერ-გაბრიელიანი და ურუშაძე. ასეთივე საბჭოები უნდა მოეწყოს ცალკე რესპუბლიკებში. რესპუბლიკანურ ტურისტულ საზოგადოებებს წინადადება მიეცათ გამოყონ სამეულები, რომლებმაც დახმარება უნდა გაუწიონ „ინტერნაციონალურ ტურისტი"-ს საბჭოს.

ტბების დაშრობა ბათომის მიდამოებში

ა.-კ. წყალთა მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წინადადება მიეცა განიხილოს ბათომის მიდამოებში ტბების დაშრობის პროექტები და თავისი დასკვნა წარუდგინოს ა.-კ. სახკომსაბჭოს.

საბირამად - სარიჯალარ - ჯულფა-ბაქოს რკინისგზის შტო

ა.-კ. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო სოფელ საბირამადიდან ჯულფა-ბაქოს რკინისგზამდე გაყვანილი იქნას რკ. გზის შტო. ამ გზის ასაგებად შებამბეობის კომიტეტს გადადებული აქვს 200.000 მანეთი, ხოლო დანარჩენი ხარჯი დაიფარება საკავშირო ბიუჯეტით.

საწვავი მასალა ტრაქტორებისათვის

ა.-კ. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო, რომ ტრაქტორებისათვის საჭირო საწვავი მასალის გაცემა მთლიანად გადაეცეს სამომხმარებლო კოოპერაციას. „ზაკსოიუზ"-ს და სას.-სამ ბანკს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ ტრაქტორების მეპატრონეთათვის ნავთის ნისიად მიცემის წესი.

ახალგაზრდა მუშები წარმოებაში

ოჯახურ-ქონებრივი შეღავათები

ჯარში გასაწვევთა ოჯახებს

საქართველოს ცაკმა განიხილა საქართველოს ტერიტორიალური ნაწილების სამმართველოს შუამდგომლობა სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა ოჯახობრივ-ქონებრივი მდგომარეობის შესწავლის შესახებ და მიიღო დადგენილება, რომელიც გულისხმობს ამ მიზნით სათემო ალმასკომებთან სპეციალური კომისიების შექმნას.

ყველა სამაზრო ალმასკომებს და ავტონომიური რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მიეცათ მიიღონ ზომები, რომ ყველა სათემო ალმასკომებთან გამოყოფილ იქნენ დროებითი კომისიები, რომლებიც დაიწყებენ სამხედრო სამსახურში გასაწვევ პირთა ოჯახობრივი მდგომარეობის შესწავლას და გამოარკვევენ თუ ვის რა შეღავათი უნდა მიეცეს.

კომისიებში შევლენ სათემო ალმასკომების თავმჯდომარეები, გლეხკომის წარმომადგენელი და ერთი წარმომადგენელი იმ სათემო, ან სასოფლო საბჭოსი, საიდანაც იწვევენ სამხედრო სამსახურში მოქალაქეს.

მზადება საშემოდგომო თესვისათვის ზუგდიდის მაზრაში

საშემოდგომო თესვის კამპანიის ამოცანები, ჩვენ მიერ დასახულ გეგმის თანახმად, გამოიხატება შემდეგში: 1) ცუდი გაზაფხულის გამო წელს მიწის 40 პროცენტი დათესილია დაგვიანებით; თუ შემოდგომა ხელსაყრელი არ დაგვიდგა, 400 ათასი ფუთი სიმინდი დაგვაკლდება საკუთარი გამოკვებისათვის. ეს ნაკლი შემოდგომაზე ჭვავის დათესვით უნდა შევავსოთ. 2) უნდა გადავიდეთ თესლთა ბრუნვაზე, რაც ნიშნავს მოსავლიანობის გადიდებისათვის მტკიცე საძირკველის ჩაყრას ზუგდიდის მაზრაში და 3), რაც მთავარია, მოსახლეობა უნდა შევაჩვიოთ კულტურულად მეურნეობის წარმოებას.

ადგილობრივი მოსახლეობის ათეული წლების დაკვირვებებიდან შეგვიძლია სათანადო ცდების ჩაუტარებლად დავრწმუნდეთ, რომ მაზრის შუა და ზემო რაიონებში დასაშვებია შემოვიღოთ უფრო ფართო მასშტაბით, ვინემ დღემდე, შემოდგომის ჭვავი და ის მოვაქციოთ სამ-მცენარეთა თესლთა ბრუნვაში (ჭვავი-სოია-სიმინდი). ამ გზით ერთ მინდვრიან კულტურის სისტემიდან გადავალთ ორ მინდვრიანზე და: 1) ზედმეტად უზრუნველვყოფთ წლიური მოსავლით მოსახლეობას და მოსავლიანობის გადიდებას, 2) მივიღებთ საქონლის საკვებ მასალას საკმარისი რაოდენობით, რაც დიდად შეუწყობს ხელს მესაქონლეობის განვითარებას, 3) თან და თან გავანოყიერებთ დიდი ხნიდან გამოფიტულ ნიადაგს, 4) დავტვირთავთ სოფლის ზედმეტ მუშა ხელს და მიღებული იარაღ-მანქანებს და 5) ავწევთ შრომის ნაყოფიერებას.

ამ მოსაზრებათა გამო მაზრის ხუთეულს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წლიდან ფართოდ გაავრცელოს მაზრაში ჭვავის კულტურა, მოსახლეობის თვითეული კომლზე არა ნაკლებ ½ ქცევის და არა უმეტეს 2 ქცევის რაოდენობით. მაზრის შუა და მაღლობ ადგილებში, სადაც 26 თემი მდებარეობს უნდა დაითესოს საშემოდგომო ჭვავის კულტურა 5.550 ჰექტარზე მაინც, რასაც დასჭირდება 50 ათასი ფუთი ჭვავის თესლი. შარშან კი ჭვავი დაითესა მხოლოდ 100 ჰექტარზე.

ამ საქმეში მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს სათესლე ჭვავის უქონლობა, რის დაძლევა მოხერხდება, თუ ადრე იქნა მიღებული შესაფერი ზომები. სათესლე ჭვავის მცირე ნაწილი დაახლოებით 5.000 ფუთამდე, შეიძლება ადგილობრივ შევიძინოთ, მაგრამ არა ფულით, არამედ სიმინდზე გაცვლით. ერთ ფუთ ჭვავში გლეხს ორი ფუთი სიმინდი უნდა მივცეთ, რისთვისაც დაგვჭირდება 10 ათასი ფუთი სიმინდი. ამ რაოდენობის სიმინდი უნდა მივიღოთ ვაჭრობის კომისარიატისაგან 10 აგვისტომდე მაინც. გვრჩება სხვა კუთხეებიდან შემოსატანი 45 ათასი. აქ უნდა დაგვეხმარონ „სოფლის კავშირი" და მიწსახკომი. ეს სათესლე მასალა გლეხებ შორის სესხის სახით უნდა გავანაწილოთ 15 აგვისტომდე მაინც. თუ სათესლე მასალის დამზადებას ეხლავე არ შევუდექით, ყოვლად შეუძლებელი იქნება დაგვიანებით ამის შესრულება. მაზრაზე დამოკიდებულია მიწის ფართობის დასათესად დამზადება და თესლის განაწილება პირველ რიგში კოლმეურნეობებსა და შემდეგ ღარიბ და საშუალო გლეხებ შორის. ამ მხრივ მუშაობას შევუდექით. გარდა ჭვავის კულტურისა, ზუგდიდის მაზრაში დიდი მნიშვნელობა აქვს საკვები მცენარეების გავრცელებას, ვინაიდან უამისოდ შეუძლებელია რაციონალურად მესაქონლეობის მოწყობა, მესაქონლეობის გარეშე კი კულტურულ და მომგებიან მეურნეობაზე გადასვლა. მესაქონლეობის განვითარებისათვის დიდი შესაძლებლობაა ზუგდიდის მაზრაში. ამის მაჩვენებელია დასავლეთ საქართველოს მეჯოგეთა კოოპერატიული ამხანაგობა. იქ შედის ხუთი მაზრა, ხოლო კოოპერატივში ჩამოყალიბებულ მეჯოგეთა 67 პროცენტი ზუგდიდის მაზრის მესაქონლენი შეადგენენ. ამ უაღრესი მნიშვნელობის მეურნეობა ჯერ კიდევ პრიმიტიულადაა დაყენებული. საქმის გასაუმჯობესებლად ჩვენ სათანადო ცდები ჩავატარეთ. 3 წლის განმავლობაში საჩვენებელ ნაკვეთებზე წარმოებულმა ცდებმა დაგვიმტკიცეს, რომ ზუგდიდის მაზრაში საკვები ბალახებიდან საუკეთესო შედეგებს იძლევიან თეთრი სამყურა, ყონიდარი, ვიკა და მაღლობ ადგილებზე ფრანგული იონჯა. შემოდგომაზე დათესილი ეს მცენარეები გაცილებით უკეთესად ხეირობენ, ვიდრე გაზაფხულზე დათესილი, და მოსავალის სიდიდითაც სჯარბობენ მათ. მიმდინარე წლის შემოდგომიდან ჩვენ საჭიროდ ვსცანით საცდელ-საჩვენებელ ნაკვეთებიდან გადავიტანოთ კულტურული საძოვრების და სათიბების მოშენება-მოწყობაზე კოლმეურნეობებსა და ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობებში. ამ დროიდან კოლმეურნეობებში შემოღებულ იქნება მეურნეობის კულტურულად წარმოება, თესლთა ბრუნვაში საკვები ბალახების შეტანით. მომავალ შემოდგომაზე დაითესება კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეურნეობებში თეთრი სამყურა 70 ჰექტარზე, წითელი სამყურა 20 ჰექტარზე და ვიკა 30 ჰექტარზე. საჭიროა მივიღოთ ცენტრიდან შემდეგი სათესლე მასალა: 1) თეთრი სამყურა 1.120 კილო, 2) წითელი სამყურა 320 კილო, 3) ვიკა შემოდგომის 4.320 კილო და 4) ვიკასთან შესარევად შვრია 1.440 კილო.

იარაღ-მანქანები და მუშა საქონელი

ზუგდიდის მაზრა ნაკლებ მომარაგებულია თანამედროვე იარაღ-მანქანებით. ამჟამად მაზრაში არის: გუთანი 500 ცალი, ფარცხი 120 ცალი, სათესი მანქანა 100 ცალი, მათოხი 130 ცალი, ტრაქტორი 8 ცალი. კომლთა რიცხვი კი მაზრაში უდრის 28 ათასს. აქედან ცხადია, თუ რამდენად მცირეა არსებულ იარაღ-მანქანების რაოდენობა მოსახლეობის რიცხვთან შედარებით. რადგან შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარების დროს საჭიროა იარაღ-მანქანების დამატება და თანაც გაზაფხულის პერიოდში. მათი მიწოდება განზრახული გეგმით სრულდება ძლიერ დაგვიანებით,—მიზანშეწონილი იქნება მომავალი სამეურნეო წლის გეგმით გათვალისწინებული იარაღ-მანქანების და მუშა საქონლის ნაწილი მივაწოდოთ სოფელს შემოდგომის მუშაობის პერიოდში. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მომავალ წელში იარაღ-მანქანების და მუშა საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს გაძლიერებული რაოდენობით, წლიური გეგმის 25 პროცენტის ანგარიშით საჭიროა შემოდგომაზე შემოტანილ იქნას მაზრაში:

გუთანი 250, ფარცხი 100, სათესი 25, ტრაქტორი 3, და ტრიერი 4.

მუშა საქონელს მოკლებულ მეურნეობათა რიცხვი ზუგდიდის მაზრაში უდრის 9.800. ეს გარემოება ცხადია, აფერხებს თესვის კამპანიის საჭირო ტემპით გაშლას. მომავალი წლის გეგმით საჭირო იქნება დავაკმაყოფილოთ მუშა საქონლით 300 მეურნეობა. მაგრამ ეს უნდა მოხდეს არა ისეთი სახით, როგორც წელს მოხდა, მუშა საქონელზე წელს კრედიტი მაშინ გაგვიხსნეს, როდესაც საველე მუშაობა დაწყებული იყო. ამ გარემოებამ ძალზე შეგვიშალა ხელი. ამიტომ საჭიროა გეგმით გათვალისწინებული მუშა საქონლის შეძენას ამ თავითვე შევუდგეთ, რომ არც შემოდგომის თესვის კამპანია შეფერხდეს და არც საგაზაფხულო.

მინერალური სასუქი

ზუგდიდის მაზრაში ბლომად არსებულ მინერალური სასუქის—ტკილის რაციონალურად გამოყენება საუკეთესო შედეგებს იძლევა. ტკილით განოყიერების შემდეგ, სულ გამოფიტულ ნიადაგზე მოსავლიანობა 80—100 პროცენტით დიდდება. ასეთი მიწები, რომლებიც დღემდე, ე. ი. განოყიერებამდე, არავითარ მოსავალს არ იძლეოდნენ, ამ სასუქის საშუალებით შეიძლება გამოყენებული იქნან სიმინდის და სხვა ხორბლეულ კულტურის მოსავლიანობის გასადიდებლად. ამისათვის აუცილებელია ამ თავითვე მიეცეს გრძელვადიანი კრედიტი სათანადო საკრედიტო ამხანაგობებს, რომ მიმდინარე შემოდგომაზე კოლმეურნეობების და ღარიბ გლეხობის 1000 ჰექტარი მიწის ფართობი მაინც ტკილით იქნას განოყიერებული. რადგან ტკილით განოყიერება 1-ველ წელსვე ეფექტს მოგვცემს მოსავლიანობის გადიდების სახით მხოლოდ იმ პირობით, თუ ეს სასუქი შეტანილი იქნება ადრე შემოდგომით, ამიტომ საჭიროა სათანადო კრედიტები კოლექტივებს და კერძო ღარიბ და საშუალო მოსახლეობას შემოდგომის დაწყებამდე მიეცეს. ამასთან, საკვები ბალახებისა და სხვა ტეხნიკური კულტურების გასანოყიერებლად საჭიროა სხვა მინერალური სასუქებიდან უმთავრესად კოლექტიური მეურნეობებისათვის შემოვიტანოთ გვარჯილა 7 ტონა და სუპერფოსფატი 6 ტონა.

კონტრაქტაციას, როგორც ერთ-ერთი საშუალებას ნათესების ფართობის გასადიდებლად, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა დამზადების საქმეში გეგმიანობის შეტანა მეურნეობის საქონლიანობის ასაწევად, რაც დაამტკიცა გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებამ, კარგი შედეგები მოყვა. კონტრაქტაცია კერძოდ დიდათ შეუწყობს ხელს საშემოდგომო ჭვავის კულტურის გაფართოებას, როგორც ეს გეგმაშიც არის გათვალისწინებული. ამიტომ საჭიროა ამას მიექცეს ზემდგომ პარტიული და საბჭოთა ორგანოების სათანადო ყურადღება და ზუგდიდის მაზრისათვის კონტრაქტაციის ფართობი შემოდგომის ჭვავისათვის აყვანილი იქნეს 200 ჰექტარამდე.

ბოლოს ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს აგრორწმუნებულთა ინსტიტუტი. მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარების დროს ეს ფრიად მნიშვნელოვანი ორგანიზაცია ჩვენ არ გაგვაჩნდა. აგრორწმუნებულთა ინსტიტუტის თავის დროზე ჩამოყალიბება კი, უეჭველად, საგრძნობ გავლენას მოახდენდა საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებაზე. აი, მაგ., რას სწერს ამაზე ამხ. ერ. კვირინგი თავის საანგარიშო წერილში თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ რუსეთში: **„საგრძნობი გამოცოცხლება თესვის კამპანიაში შეიტანეს აგრო-რწმუნებულებმა"-ო.** (სელსკო-ხოზიასტვენნაია გაზეტა" № 78, 1929 წ.).

მაშასადამე, ამ ინსტიტუტის დაჩქარებით ჩამოყალიბება საჭირო იყო ჩვენშიც. მართალია, გაზაფხულზე ეს დაგვიანდა, მაგრამ შემოდგომისათვის აუცილებლად უნდა იქნეს ეს ინსტიტუტი ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული რესპუბლიკის მასშტაბით. ამით ხელს შეუწყობთ საგაზაფხულო თესვის კამპანიის ნაკლოვანებების შემოდგომაზე გამოსწორებას.

ი. ქვანია.

პროფკავშირთა ინსტრუქტაჟის შესახებ

ხელმძღვანელ პროფორგანოების წინაშე სხვა ამოცანებთან ერთად სდგას —დაბალ ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობის გაძლიერების ამოცანა, მათი მდგომარეობის გამორკვევის, (ცალკე საკითხების შესწავლით), აღმზრდელობითი მუშაობის გაღრმავების, მუშაკთა გადამზადების, ნაკლოვანებების აღმოჩენის—სწორი მითითებების მიცემის საშუალებით და სხვა. ამ ღონისძიებებს ხელმძღვანელი პროფორგანოები ატარებენ თავიანთი ძირითადი მუშაკების ინსტრუქტორების ადგილებზე მივლინების გზით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უმეტეს შემთხვევებში ინსტრუქტორები თავის დანიშნულების სიმაღლეზე ვერ დგანან და დაკისრებულ ამოცანებს თავს ვერ ართმევენ.

პირველი: ადგილკომში ან კავშირში გამოცხადების დროს ზოგიერთ ინსტრუქტორს თავი მოაქვს არა როგორც დამხმარე ამხანაგს მუშაობაში, არამედ როგორც რევიზორს. მეორე: ხშირ შემთხვევებში ადგილებზე მივლინებული ინსტრუქტორები (კავშირების, სამპროფბიუროების, საუბნო კომიტეტების და თვით პროფსაბჭოებისაც)იქ მოკლე ხნით რჩებიან; ამ ხნის განმავლობაში მათ არა აქვთ საშუალება დაესწრონ საერთო, სადელეგატო, საწარმოო კომისიების და თათბირების სხდომებს, რომ იქონიონ სწორი წარმოდგენა, თუ რა პირობებში ხდება ამა თუ იმ საკითხების გადაჭრა და შეისწავლონ მასის განწყობილება და მათი მონაწილეობა სხვადასხვა საკითხების განხილვაში. მესამე: მივლინებული ამხანაგები და ინსტრუქტორები მეტ დროს ანდომებენ სტატცნობების შეკრებას და მხედველობიდან უშვებენ ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს. მეოთხე: არ იწვევა წინასწარ პროფაქტივის თათბირები, არ ეცნობა აქტივს გამოსარკვევ საკითხების შინაარსი და არ ებამთ მას გამოკვლევით მუშაობაში. მეხუთე: თუ გამოკვლევის შედეგებზე ერთი მხრივ ხშირად იწერება დიდი მოხსენებები, მეორე მხრივ ჩვენ ვხვდებით ზედმიწევნით პატარა, უშინაარსო მოხსენებებს, რომელთა საშუალებით შეუძლებელია ორგანიზაციის მდგომარეობას სისწორით გაეცნო.

ამ ნაკლოვანებათა ასაცილებლად ხელმძღვანელმა პროფორგანიზაციებმა ყურადღება უნდა მიაქციონ შემდეგ მთავარ მომენტებს:

1. ინსტრუქტორთა კადრი კარგად უნდა იყოს გაცნობილი პროფმუშაობას და ხელმძღვანელ ორგანოების დადგენილებებს, რომ მათ გამოკვლევითი მუშაობის დროს ამა თუ იმ საკითხზე სწორი ახსნა-განმარტება მისცენ ადგილობრივ ამხანაგებს. ამიტომ ინსტრუქტორების შერჩევა დიდი დაკვირვებით უნდა ხდებოდეს.
2. მივლინებული ამხანაგები უნდა იგზავნებოდნენ ადგილებზე ხანგძლივი ვადით, რომ მათ საშუალება მიეცეთ დაწვრილებით შეისწავლონ ორგანიზაციის მდგომარეობა და ამით გაუადვილოს ხელმძღვანელ ორგანოებს კონკრეტულ ღონისძიებათა გამომუშავება პროფმუშაობის გასაჯანსაღებლად.
3. რომელიმე ორგანიზაციის შესწავლის დროს მარტო ინსტრუქტორი და მივლინებული ამხანაგი კი არ უნდა ატარებდნენ გამოკვლევას, არამედ ამ საქმეში უნდა ვაბამდეთ ადგილობრივ აქტივს; უკანასკნელს, სპეციალურად მოწვეულ თათბირების საშუალებით, უნდა ვაცნობდეთ გამოსარკვევ საკითხების შინაარსს და გამოკვლევის მეთოდებს. მასის მონაწილეობა ერთის მხრით ხელს შეუწყობს საკითხების დეტალურად შესწავლას, მეორე მხრით—კადრების მომზადებას.
4. ინსტრუქტორები და მივლინებული ამხანაგები უნდა ცდილობდენ გამოსაკვლევ ორგანიზაციაში მისვლისთანავე შექმნან ამხანაგური განწყობილება ადგილობრივ მუშაკებთან, და დაარწმუნონ ისინი თავის მოქმედებით, რომ ეს ამხანაგები მისული არიან არა „საჩხრეკელად", არამედ მათთვის დახმარების აღმოსაჩენად მუშაობაში და ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.
5. გამოკვლევის პროცესში უნდა ვეცნობოდეთ სხდომებზე საკითხების დამუშავების მეთოდებს, ოქმების წაკითხვის საშუალებით არ შეიძლება ვიქონიოთ სწორი წარმოდგენა ამა თუ იმ საკითხზე, ვინაიდან ზოგ შემთხვევაში ესა თუ ის დადგენილება შეიძლება კარგად იყოს შედგენილი, მაგრამ თუ რა სახით წამოიჭრა რომელიმე საკითხი ან როგორ იქნა გაშუქებული მასის წინაშე, ამის გაგება შეიძლება უმთავრესად კრებებზე უშუალოდ დასწრებით.
6. გამოკვლევის ჩატარებისთანავე საჭიროა ვიწვევდეთ გაფართოებულ აქტივის კრებებს და ვაცნობებთ მათ გამოკვლევის შედეგებს. რომ შესაძლებლობა მივსცეთ გამოსთქვან თავიანთი აზრი შეგროვილ მასალებზე.
7. გამოკვლევის შესახებ მოხსენებათა შედგენას უნდა მიექცეს ყურადღება, რათა მათ მიხედვით ყოველ დაინტერესებულ პირს შეეძლოს ორგანიზაციის მდგომარეობის გაცნობა. საჭიროა მოხსენების საკითხებად დაყოფა, მისი შედარებით მოკლედ დაწერა და კონკრეტულ მასალის გაცემა.

ვ. ელენტი.

ა.-კ. პროლეტ. სტუდენტთა წარმომადგენლების თათბირი

11 ივლისს ა. კ. პროფსაბჭოს ბინაზე გაიხსნა ა. კ. პროლეტარულ სტუდენტთა პროფორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი. თათბირზე ძირითად საკითხად დასმული იყო ა. კ. პროლეტარულ სტუდენტთა პროფორგანიზაციების მუშაობის გამოკვლევის შედეგების განხილვა. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. სიკინჭელაშვილმა, რომელიც შეეხო რა სტუდენტთა პროფორგანიზაციების რიცხვობრივ ზრდას, აღნიშნა რომ უკანასკნელ სამოსწავლო წელში გაუმჯობესდა მათი მუშაობაც. სტუდენტთა პროფორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ კამპანიების ჩატარებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში. ამ კამპანიამ ნათელჰყო სტუდენტთა აქტივობის ზრდა, მათში თვითკრიტიკის გაძლიერება და მეორეს მხრივ გამოამჟღავნა ის [illegible], რომლებმაც სხვადასხვა ხერხებით შესძლეს უმაღლეს სასწავლებლებში გაძრომა.

პრაქტიკისა და სტაჟიორობის საკითხი ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე ვერ არის დაყენებული მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტთა ორგანიზაციები ღებულობდნენ ზომებს მათ მოსაწესრიგებლად. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა პროფორგანიზაციების მუშაობის სუსტი მხარეები ნაწილობრივად აიხსნება იმით, რომ კავშირების ზოგიერთ ცენტრალურ გამგეობებიდან მათ სათანადო ხელმძღვანელობა არ ეწეოდათ. რაც შეეხება სტუდენტობისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენის საქმეს, ამ მხრივ ყველაზე უკეთესად უნდა ჩაითვალოს საქ. პროლეტ სტუდენტთა ცენტრალური ბიუროს და საქ. პროფკავშირთა საბჭოს მუშაობა.

პროლეტსტუდენტთა შორის ადგილი აქვს ავადმყოფურ მოვლენებსაც, როგორიცაა: ლოთობა, ხულიგნობა, ე. წ. „შპარგალკების" შედგენა და სხვა, რასაც სტუდენტთა ორგანიზაციებმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ.

თათბირის მეორე სხდომაზე გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ამხ. **აირაპეტოვმა, აკოპიანმა, ელენტმა, ნინეზოვმა, ზორინმა, სისოევმა, ცოტაძემ, აბუსერიძემ, გრიგოლიამ** და სხვ.

12 ივლისის დილის სხდომაზე თათბირმა მიიღო რეზოლიუცია რომელშიც დასახულია ღონისძიებანი პროლეტ. სტუდენტთა პროფორგანიზაციების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

თბილისის მაუდის ფაბრიკის მოწყობა მთავრდება

საქართველოს საფეიქრო ტრესტში მიღებული ცნობებით, ამჟამად უკვე მთავრდება თბილისის მაუდის ფაბრიკის მატყლის სარეცხი განყოფილების მოწყობა. ხსენებულ განყოფილებაში მუშაობა დაიწყება აგვისტოს ბოლო რიცხვებიდან. სექტემბერში დამთავრდება აგრეთვე საპრეტურო განყოფილების და ფაბრიკის ყველა დანარჩენი ცეხების მოწყობაც.

ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან ე. ი. 1-ლი ოქტომბრიდან, ფაბრიკა უკვე დაიწყებს მუშაობას, ხოლო ახალი საკალენდრო წლის დასაწყისიდან კი ბაზარზე გამოშვებული იქნება ფაბრიკის პირველი პროდუქცია.

ამჟამად საფეიქრო ტრესტი აწარმოებს მუშაობას ფაბრიკისათვის საჭირო ნედლი მასალის დასამზადებლათ. უკვე შეძენილია 300 ტონა თუშური მატყლი და მიღებული ზომებით შეიძლება ითქვას, რომ ფაბრიკა ადგილობრივი მატყლით უკვე უზრუნველყოფილია მთელი ერთი წლით. გარდა ადგილობრივი ცხვრის ჯიშების მატყლისა, გადაწყვეტილია საზღვარგარეთიდან პირველხარისხოვანი მატყლის შემოზიდვაც, რაც აუცილებელია ძვირფასი კამვოლური ქსოვილების დასამზადებლად.

პირველ ხანებში ფაბრიკის საჭიროებისათვის საზღვარგარეთიდან შემოტანილი იქნება 240 ტონა პირველი ხარისხის მატყლი.

უმუშევართა წმენდა

ახლო მომავალში ჩატარდება საბჭოთა აპარატის წმენდა. აპარატიდან განდევნილების ადგილზე შრომის ბირჟიდან რომ ისევ არ მოხვდენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო ელემენტები, ამიტომ გადაწყვეტილია პირველ რიგში წმენდა ჩატარდეს შრომის ბირჟაში.

შრომის ბირჟაში აღრიცხულ გონებრივ მუშაკთა შორის მრავალია ისეთი პირები, რომელნიც შრომის ბირჟაში ჩარიცხულნი არიან იმიტომ, რომ ისარგებლონ უმუშევართათვის დაწესებულ შეღავათებით. არიან ისეთებიც, რომელნიც საბჭოთა აპარატიდან წინეთ მოუხსნიათ თანამდებობის შეუფერებლობისა და ბოროტმოქმედებისათვის. აგრეთვე მრავალი მათგანი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდენ „სპეციალისტები" და თავიანთი სოციალური მდგომარეობით და წარსულით ეკუთვნიან საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილთა ბანაკს.

გონებრივ მუშაკთა სექციის უმუშევრების კადრების გასაჯანსაღებლად და იმ მიზნით, რომ შრომის ბირჟამ საბჭოთა აპარატს მიაწოდოს გამოსადეგი და ერთგული მუშაკები, წმენდა ჩატარებული იქნება დიდი სიფრთხილით.

წმენდის ჩასატარებლად დაარსებულია სპეციალური კომისია შრომის კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, პროფსაბჭოს და სხვა სათანადო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

თბ. სამრეწველო ეკონ. ტეხნიკუმის კურსდამთავრებულები

თბ. სამრეწველო-ეკონომიურ ტეხნიკუმს აქვს 3 განყოფილება: საფინანსო-საანგარიშო, საქონელთმცოდნეობის და საკოოპერაციო.

ტეხნიკუმის პირველი ორი კურსი უმთავრესად ზოგადი განათლებისაა, მესამე კურსი კი იძლევა სპეციალურ ცოდნას. მსმენელები თეორიულ მომზადების გარდა, პრაქტიკულ მეცადინეობასაც აწარმოებენ ტეხნიკუმის კაბინეტებსა და ლაბორატორიებში.

წელს ტეხნიკუმი დაამთავრა შემდეგმა პირებმა:

საფინანსო-საანგარიშო განყოფილება: აბულაძე ა., აროშიძე ტ., გუჯაბიძე კ., კიდაშვილი ი., დუმბაძე ფ., კასრაძე ვ., კურდღოვა ნ.; კოდოტაძე ქ.; კინწურაშვილი ს., მელაძე თ., მელქაძე ი., იაშვილი ზ., იმნაძე ლ., ნადარეიშვილი ბ., სარქისოვა მ., ღოღიკაშვილი გ., ელენტი ნ., ფოჩხაძე თ., ფხალაძე ნ., ხაბურზანია და ჯიბლაძე კ.

საქონელთმცოდნეობის განყოფილება: ბარამიძე ა., ვახტანგიშვილი თ., გელაშვილი ი., გედევანიშვილი ი., გეგეჭკორი ა., დიდებულიძე ი., მალაღურაძე გ., კვანტალიანი ს., კახეთელიძე მ., ივანიშვილი ნ., ნადირაძე ნ., რუხაძე რ., ხმიადაშვილი მ., თოფურია პ., ქაბზინაძე გ., ქოჩლაძე ლ., ჩივაძე შ.

საკოოპერაციო განყოფილება: ბერეჟიანი ა., ბოლქვაძე ს., ვარამაშვილი მ., გოგოძე შ., გომელაური მ., გველესიანი თ., დონდარიძე პ., კარდენახიშვილი შ., მამფორია, მაისაია ქ., მაჭავარიანი მ., მაჭავარიანი გ., მრევლიშვილი მ., მთვრალიშვილი მ., ნატრაძე ი., სიხარულიძე ა., ხანაია ვ., ხუნდაძე ი., შენგელაია ს., ძნელაძე ზ., ჯულელი ო., ჯაფარიძე ბ. და პეიშვილი.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სრ. საქარ. ყრილობა

გაიხსნება

სამშაბათს, 16 ივლისს, საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს ახალ დარბაზში

დღის წესრიგი:

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ცენტრალური ბიუროს მოხსენება (ამხ. ლაზარი),
საქ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ბიუროს ანგარიში (ამხ. გიულუმიანი),
მოხსენება ბეჭდვითი სიტყვის ამოცანების შესახებ რეკონსტრუქციის პერიოდში,
ბეჭდვითი საქმის კომიტეტის მოხსენება,
ამიერ-კავკასიის ტელეგრაფის სააგენტოს მოხსენება,
არჩევნები

იმავე დღეს, საღამოს სრულ 5 საათზე შესდგება

ყრილობის კომფრაქციის სხდომა

ყრილობის დელეგატები მანდატებს მიიღებენ კავშირის შენობაში (შრომის სასახლე, მესამე სართული, ოთახი № 40) შაბათს და სამშაბათს დილის 8 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე.

დელეგატებს თან უნდა ჰქონდეთ ამონაწერები ოქმიდან მათი არჩევის შესახებ.

ყრილობაზე მოწვეულნი არიან ბეჭდვითი სიტყვის მუშაკები, ქალ. თბილისის მუშკორები და სამკორები. ბილეთებს მიიღებენ რედაქციების ადგილკომებში.

საქ. ბეჭდ. კავშირის ცენტ. გამგეობა და ბეჭდვ. სიტ. მუშ. სექ. ბიურო.

ქრონიკა

ამხ. ბ. კვირკველიას დანიშვნა

ამხ. ბ. კვირკველია დაინიშნა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატის კოლეგიის წევრად.

ავსტრიელი სპეციალისტის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ავსტრიელი სპეციალისტი ინჟ. ჰენრიხ კანცერი, რომელიც მოწვეულია საკონცესიო საზოგადოება „ალტებაუმის" მიერ, საბჭოთა კავშირში დაწყებული სამუშაოების ხელმძღვანელად.

საშეფო საზოგადოების კონფერენცია

16 ივლისს, მელითონეთა კლუბში (ყოფ. მუშათა ცენტრალური კლუბი) გაიხსნება თბილისის საშეფო საზოგადოების საქალაქო კონფერენცია. ყრილობის დღის წესრიგში დასმულ საკითხთა შორის აღსანიშნავია—ამხ. ასრიბეკოვის მოხსენება სასოფლო მეურნეობის განვითარების გზებისა და ამ მხრივ საშეფო საზოგადოების ამოცანების შესახებ, ბაქოს საშეფო საზოგადოების წარმომადგენლის მოხსენება და სხ.

კონფერენცია გაიხსნება საღამოს 6 საათზე.

სკოლებში მიღების შესახებ

განათლების კომისარიატმა აცნობა სამაზრო განათლების განყოფილებებს, საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით სამედიცინო და სავეტერინარო დარგში მომუშავეების და აგრეთვე სასოფლო და სატყეო მეურნეობას სპეციალისტთა შვილები, სასწავლებლებში მიღების დროს გათანასწორებულნი არიან მუშების შვილებთან.

თბ. აღმასკომში

◆ კარლ მარქსის სახელობის საბინაო-სამშენებლო ამხანაგობას სესხად მიეცა 30.000 მანეთი.

◆ **წყალსადენი სოფლად.** აღმასკომმა დაამტკიცა მაზრაში წყალსადენის გაყვანის გეგმა. სოფლად წყალსადენის გასაყვანად გადადებულია 60.000 მან.

შრომის სახ. კომისარიატში

◆ კახეთის მაზრის შრომის ინსპექტორად დაინიშნა დაზგის მუშა ამხ. პატატიაშვილი.

◆ შრომის კანონების დარღვევისათვის ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებულნი იქნენ ვერის და დიდუბის ბაღების მოიჯარადრენი ბახტაძე, ბერია, კიტოვანი და ნადარეიშვილი.

◆ საზოგადო სამუშაოებისათვის გადაიდო 65.000 მანეთი. საზოგადო სამუშაოები იწყობა ზოოლოგიურ ბაღში და სტადიონის მოსაწყობად.

მთიელთა კულტურულ საზ-ბაში

◆ ვაჟა-ფშაველასეულ სახლში, სოფ. ჩარგალში, მთიელთა კულტ. საზ-ბა 15 ივლისიდან ხსნის ჭრა-კერვის სკოლას.

◆ „მთიელთა ხმა". საზ-ბამ გადასწყვიტა ყოველთვიურად გამოსცეს ჟურნალი „მთიელთა ხმა".

◆ მთათუშეთის გზის გასაყვანად საზ-ბამ შეიძინა და კახეთის მაზრას გადაუგზავნა საჭირო ხელსაწყო-იარაღები.

◆ საზ-ბა თავის ხარჯით სოფ. ჯუთში (ხევსურ.) აგებს სკოლას და გაჰყავს გზა.

◆ მთიელთათვის ხელობის შესასწავლად საზ-ბა თავის ხარჯით ორწყალში აწყობს სადურგლოს და სამჭედლოს, ეს სახელოსნოები იმავე დროს დახმარებას გაუწევენ მცხოვრებთ.

სხვადასხვა

◆ **ებრაელთა კლუბი.** ლაილაშში გაიხსნა მშრომელ ებრაელთა კლუბი.

◆ **თბილისში მობინადრე ამაღლების თემის** მცხოვრებთა კრება, დანიშნული 14 ივლისისათვის, გადადებულია 28 ივლისისათვის, დღის 11 საათ. გლეხთა სახლში.

◆ **სოციალისტურ შეჯიბრებასთან დაკავშირებით** საბინაო - კოოპერატიულ ამხ-ბის № 48 გამგე ასათიანმა თავის ხელფასიდან გადასდო 10 მანეთი საბინაო-კოოპერატ. ამხ-ბებთან საბავშო მოედნების მოსაწყობ ფონდის გასაძლიერებლად და გამოიწვია სხვა ამხ-ბათა გამგეები.

◆ **ინდუსტრიალიზაციის გასაძლიერებლად** არტელ „ტეხნოხიმ"-ის წევრებმა გადასდეს 300 მანეთი და ამავე მიზნით გამოიწვიეს სამრეწველო კოოპერაციის კავშირში შემავალი ყველა არტელები.

◆ **ყოფა-ცხოვრების სექციის დაარსება.** დღეს, საღამოს 6 საათზე მუშკოოპში შესდგება მუშკოოპის რწმუნებულთა ყოფა-ცხოვრების სექციის წევრთა საორგანიზაციო სხდომა.

◆ **ბავშვთა მეგობრების კონფერენცია.** 16 ივლისს, საღამოს სრულ 6 საათზე შესდგება თბილისის „ბავშვთა მეგობრების" საზოგადოების ქალაქის რაიონის მეხუთე კონფერენცია. კონფერენცია გაიხსნება თბ. აღმასკომის წითელ დარბაზში.

—:—

შემთხვევები

უბედური შემთხვევა

ნავთლუღის ქუჩაზე ურმის ქვეშ მოჰყვა მცირეწლოვანი კარაპეტ ოგანესის ძე მესროპიანცი, რომელიც მძიმედ დაშავდა. მეურმე შაქრო ნიკოლოზის ძე ვანიაშვილი დაპატიმრებულია.

უეცარი სიკვდილი

გუშინ, დილით, უეცრად გარდაიცვალა კუკუ ვლადიმერის ძე პერტენავა (მცხ. ჩუღურეთის ქუჩა № 25). კვლევა-ძიებას აწარმოებს გამომძიებელი აბაშიძე.

თავის მოწამვლა

11 ივლისს, იოდით თავი მოიწამლა ვასილ ალექსანდრეს ძე ალიაშვილმა (მცხ. მჭედლის ქუჩა № 2), რომელიც სიკვდილს გადაარჩინეს.

ჯიბგირობა

აირაპეტ გასპარის ძე ავეტისიანცს მეწვანილეთა ბაზარზე ჯიბიდან ამოაცალეს საათი და სხვადასხვა საბუთები.

ბავშის დაკარგვა

დურგლიშვილის ბინაზე (ველიამინოვის ქუჩა № 18, დროებით მცხოვრები გეურქ მერებოვი 11 წლის, 6 ივლისს საღამოს 9 საათზე გავიდა სახლიდან და დღემდე არ დაბრუნებულა. სახე დაჰორფლილი აქვს, ქერა, აცვია შავი ბლუზა-შარვალი. თუ ვინმემ იცის რაიმე მის შესახებ, სთხოვენ აცნობონ ივ. დურგლიშვილს (ველიამინოვის ქუჩა № 18).

დახმარება უპატრონო ბავშვებს

(საქ. ცაკთან არსებულ უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიის ცნობები)

საბავშვო სახლები 200 ბავშვისათვის

საქართველოს ცაკთან არსებულმა უპატრონო ბავშვთა დამხმარე კომისიამ გადასწყვიტა, რესპუბლიკის რამოდენიმე მაზრაში მოაწყოს ახალი საბავშო სახლები. იმის გამოსარკვევად, თუ სად უნდა იქნეს მოწყობილი ახალი საბავშო სახლები, გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. ახლად გახსნილ საბავშო სახლებში უნდა მოხდეს რესპუბლიკის ქალაქებში მოხეტიალე 200 ბავშის კონცენტრაცია.

სახლების მოსაწყობად საჭირო თანხა უკვე გადადებულია.

სანატორიუმის მაგიერ დასასვენებელი სახლი

ცაკთან არსებულ უპატრონო ბავშთა დამხმარე კომისიას განზრახვა ჰქონდა ქობულეთში აეგო ახალი საბავშო სანატორიუმი, რომელშიაც მოთავსებული იქნებოდენ საბავშო სახლებში მყოფი დაავადმყოფებული ბავშვები. კომისიამ ამჟამად ეს საკითხი ხელახლა განიხილა, და გადასწყვიტა სანტორიუმის მაგიერ საქართველოს რომელიმე კლიმატიურ კურორტზე მოაწყოს და გახსნას ბავშთა დასასვენებელი სახლი. სახლის ასაგებათ და მის მოსაწყობათ გამოყენებული იქნება ის თანხა, რომელიც გადადებული იყო საბავშო სანატორიუმის ასაგებათ.

საბავშო დასასვენებელი სახლის ასაგებ ადგილათ დასახელებულია კურორტი პატარა-ცემი.

კურორტებზე გაგზავნა

გუშინ, თბილისიდან პატარა-ცემში გაიგზავნა უპატრონო დაავადმყოფებულ ბავშთა პირველი ჯგუფი 10 ბავშის შემადგენლობით. მეორე ჯგუფი გაიგზავნება აგვისტოში.

კურორტებზე გასაგზავნი ბავშების შერჩევა ხდება საბავშო სახლებში.

ხელოვნება

თბილისის ოპერის გასტროლები რუსეთში

მომავალი სეზონის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო ოპერა მთელი თავისი მომღერალთა შემადგენლობით, გუნდით, ბალეტით, დეკორაციებით და კოსტიუმებით საგასტროლოდ გაემგზავრება უკრაინასა, მოსკოვსა და ლენინგრადში.

მოსკოვში თბილისის ოპერა წარმოდგენებს გამართავს 15 ივლისიდან დიდ თეატრში, რომელთანაც უკვე დადებულია სათანადო ხელშეკრულება; მოსკოვში გასტროლები გასტანს თვენახევარი. თბილისის ოპერის წარმოდგენები მოსკოვში მატერიალურის მხრივ უზრუნველყოფილი იქნება მოსკოვის პროფორგანიზაციების მიერ; საგასტროლო წარმოდგენებზე გამოშვებული იქნება აბონემენტები.

საგასტროლო რეპერტუარში შეტანილია 3 ქართული და ორი ევროპიული ოპერა; ევროპიული ოპერებიდან ნაჩვენები იქნება პუჩინის „პრინცესა ტურანდოტ", რომელიც ჯერ არ დადგმულა მოსკოვში.

თბილისის ოპერა საგასტროლოდ მიწვეულია აგრეთვე ლატვიის ნაციონალური ოპერის მიერ რიგაში ლატვიის სხვა ქალაქებში, ში, სულ 25 წარმოდგენაზე.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მოსკოვის დიდმა თეატრმა თბილისის ოპერასთან შეთანხმებით თავის რეპერტუარში შეიტანა ერთი ქართული ოპერა. ამ მიზნით დეკემბერში თბილისში ჩამოვა მოსკოვის დიდი თეატრის სამხატვრო ნაწილის დირექტორი ვ. გუსმანი, რომელიც გაეცნობა ქართულ ოპერებს და ამოარჩევს ერთ მათგანს დიდი თეატრისათვის. ის გაეცნობა აგრეთვე ქართველ მომღერლებს მათი დიდ თეატრში მიწვევის მიზნით გაცვლა-გამოცვლის წესით.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სამი მომღერალის კონცერტი.** 18 ივლისს გაიმართება დ. ანდღულაძის, ცირილაძის და მ. მჭედლიძის კონცერტი.

◆ **მედსანშრომის კლუბში** დღეს გაიმართება კონცერტი ოპერის თეატრის ძალების მონაწილეობით.

◆ **„ლურჯი ხალათი"** დღეს წარმოდგენას გამართავს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკებს კლუბში.

◆ **აღმშენებელთა კლუბში** დღეს შესდგება ლენინგრადის თეატრის „სტროიკას" წარმოდგენა.

◆ **სახელმწიფო ბაღში** დღეს და ხვალ სავიჩის დირიჟორობით გაიმართება სიმფონიური კონცერტი.

◆ **საღამო-სეირნობა.** მელითონეთა კლუბში დღეს გაიმართება დიდი საღამო-სეირნობა.

◆ **მბეჭდავთა კლუბში** დღეს სომხურ ენაზე წარმოდგენილი იქნება „ხანუმა".

სამზადისი შემოდგომის თესვისათვის

წითელი არმიის მონაწილეობა შემოდგომის თესვის კამპანიაში

წითელი არმიის პოლიტიკურმა სამმართველომ ყველა ნაწილებს დაუგზავნა ცირკულიარი შემოდგომის თესვის კამპანიაში მონაწილეობის მიღების შესახებ.

ცირკულიარი წინადადებას აძლევს ნაწილების პარტიულ და კომკავშირის ორგანიზაციებს გაეცნონ მთავრობის ღონისძიებებს და ადგილობრივ გეგმებს შემოდგომის თესვის ირგვლივ.

ყველა ნაწილებში უნდა ჩატარდეს მოხსენებები შემოდგომის თესვაზე. მომხსენებლები ნაწილებში უნდა გაგზავნონ ადგილობრივმა პარტორგანიზაციებმა.

წითელ არმიელებთან და უმცროს მეთაურებთან უნდა ჩატარდეს ერთი პოლიტმეცადინეობა თესვის საკითხების შესახებ.

ყველა ნაწილებში უნდა მოეწყოს წითელარმიელების წერილების გზავნა სოფლად. ამ წერილებში აღნიშნული იქნება ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა მიიღოს სოფელმა შემოდგომის თესვის წარმატებით ჩასატარებლად. ამავე მიზნით გამოყენებული უნდა იქნენ კედლის გაზეთები, საუბრები, მანევრები და სხვა.

ნაწილებმა უნდა მოაწყონ ბრიგადების გაგზავნა სოფლად და შაბათობა ახლო სოფლებში. შაბათობის დროს წითელი არმიელების მიერ ჩატარებული უნდა იქნეს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა თესვისათვის.

ცირკულიარი წინადადებას აძლევს ნაწილების პარტორგანიზაციებს ფართედ გააშუქონ გლეხებში კამპანიის მსვლელობა და არმიელთა მონაწილეობა თესვაში.

სოცუზრუნველყოფის საქმის გაუმჯობესება

საქართველოს სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატმა ცირკულიარული წერილით მიმართა თავის ქვემდებარე დაწესებულებებს და რწმუნებულებს, რომლებსაც წინადადებას აძლევს გააძლიერონ მუშაობა მშრომელების სოციალური უზრუნველყოფის საქმის გასაუმჯობესებლად ადგილებზე.

წერილში ნათქვამია, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ ადგილებში ადგილი აქვს პენსიებისა და დახმარების მისაღებად შემოსულ განცხადებების განხილვის დაგვიანებას თვეობით და ხშირად წლობითაც. ზოგან უხეშად და უდიერად ეპყრობიან მთხოვნელებს, აგვიანებენ ინვალიდებისათვის დახმარების გაცემას და სათანადო ყურადღებას არ აქცევენ წითელ ჯარში გაწვეულ მოქალაქეთა ოჯახების უზრუნველყოფის საქმეს. ზოგიერთ მაზრებში სოციალური უზრუნველყოფისათვის გადადებულ თანხებს ხარჯავენ სრულიად სხვა საქმეებზე.

სოც. უზრუნველყოფის რწმუნებულებს მაზრებში და აღმასკომების სოც. უზრუნველყოფის განყოფილების გამგეებს მიეცათ გაფრთხილება, რომ თუ ისინი თავის დროზე არ შეასრულებენ კომისარიატის ყველა განკარგულებებს, ბრძანებებს და დავალებებს, მათ წინააღმდეგ მიღებული იქნება შესაფერი ზომები.

საკრედიტო საქმის მდგომარეობა

გორის მაზრაში

გორის მაზრიდან დაბრუნდა საქ. ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალუტო სამმართველოს უფროსი ამხ. ნ. ქოიავა, რომელიც გამგზავრებული იყო მაზრაში სახელმწიფო კრედიტების მდგომარეობის გამოსაკვლევად. ამხ. ნ. ქოიავამ შემდეგი გვაცნობა:

1929 წლის სესხი გორის მაზრაში გაცილებით მეტი რაოდენობით გასაღდა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. აღნიშნული სესხის რეალიზაციაში განსაკუთრებული აქტივობა გამოიჩინა გორის კომუნალურმა ბანკმა.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის დამატებით რეალიზაცია სეზონურ მუშათა შორის წარმატებით მიმდინარეობს. ჯერ-ჯერობით გასაღებულია 10.000 მანეთის ობლიგაციები.

სესხის გახანგრძლივების კამპანია მაზრაში ფართოდ არის გაშლილი. თემებსა და სოფ. და გზავნილი არიან მუშათა ბრიგადები, რომლებიც აწარმოებენ სესხის გახანგრძლივების კამპანიას.

ქ. გორში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება სახელმწიფო სესხების მდგომარეობის და ამოცანების შესახებ. კრებამ დაადგინა არ გაჰყიდონ ობლიგაციები და სესხის გახანგრძლივების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიონ ქ. ხაშურის მუშა-მოსამსახურენი.

ასეთივე კრება მოეწყო ქ. ბორჯომში.

სესხზე კოლექტიურად ხელისმომწერლების მიერ ობლიგაციების ღირებულების დაფარვა მაზრაში საერთოდ ნორმალურად მიმდინარეობდა, თუმცა ადგილი ქონდა აკრეფილი ფულის დაგვიანებით შემოტანას. იყო აგრეთვე გაფლანგვის შემთხვევებიც.

ბორჯომის შემნახველმა სალარომ იმის ნაცვლად, რომ ხელის მომწერლებისაგან აკრეფილი 16.000 მანეთი დროზე შეეტანა სახელმწიფო ბანკში, სესხად გადასცა ადგილობრივ სამომხმარებლო საზოგადოებას.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ბორჯომის სამომხმარებლო საზოგადოება საკრედიტო ორდერებს იძლეოდა ფინორგანოების ნებადაურთველად.

ახალი ხიდი მდინარე ძირულაზე

დამთავრდა ძირულის ხის ხიდის აგება მდინარე ძირულაზე სოფელ შროშასა და სადგ. ძირულის შუა. ხიდის სიგრძე უდრის 56 მეტრს. აღნიშნულ ხიდს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ძირულის ხეობისათვის. ხიდის აგებამდე მეტად ძნელი იყო მიმოსვლა ძირულის ხეობასა და სადგურ ძირულას შორის.

ძირულის ხეობიდან ბაზარზე გააქვთ ხე-ტყის მასალა, ღვინო, სასოფლო მეურნეობის სხვა ნაწარმოები და შროშის აგურის ქარხნის ნაწარმოები. ამ საგნების გადმოზიდვა შესაძლებელი იყო მხოლოდ კარგ ამინდში (და როდესაც მდინარე ძირულა პატარა მიდიოდა. გადმოზიდვა ხდებოდა ურმებით ფონზე. ვინაიდან ძირულა ყოველი წვიმის შემდეგ იმატებს, მიმოსვლა ძალიან ხშირად სწყდებოდა ამ ხიდის აგების შემდეგ შეუწყვეტლივ იწარმოებს მიმოსვლა. ხიდიდან სადგურ ძირულამდე გაყვანილია ახალი გზატკეცილი, რაც კიდევ უფრო აადვილებს საქონლის სადგურზე მოზიდვას. ძირულის ხეობის მოსახლეობას ხშირად უხდება ურმებით მგზავრობა შორაპან-ზესტაფონისაკენ. მდინარე ძირულის გარდა ამ გზას სჭრის პატარა მდინარე ჩხერუმელა, რომელიც ძალიან ხშირად მატულობს და შეუძლებელს ხდის ნორმალურ მიმოსვლას. ძირულის აღმასკომი ამ გზით მგზავრობის მოწესრიგების მიზნით შეუდგა ხიდის აგებას მდ. ჩხერუმელაზე. ამ ხიდის აგება დამთავრდება უახლოეს დღეებში.

მდინარე ძირულაზე აგებული ხიდის ღირებულება ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ნავარაუდევი იყო 29.000 მანეთის რაოდენობით. ფაქტიურად ხიდის აგება დაჯდა 25.000 მანეთამდე.

აღმშენებლობა აფხაზეთში

ახალი აბანო

ქ. გალის აბანოს შენობა უკვე დამთავრებულია. სწარმოებს შენობის მოწყობა შიგნიდან. აბანო ამუშავდება ახლო მომავალში.

წყალსადენის გაყვანა

გალის სამაზრო აღმასკომის ინიციატივით დაიწყო ქალ. გალის წყალსადენის აგება. წყალსადენის ნაწილი უკვე მუშაობს და მოსახლეობას აწვდის წყალს. წყალსადენი მთლიანად დამთავრდება ახლო მომავალში.

ლიმონათის ქარხანა

გალის სამაზრო აღმასკომი შეუდგა ლიმონათის ქარხნის აგებას. ქარხნის აგება და მოწყობა დამთავრდება შემოდგომაზე.

ბავშვთა სანატორიუმის გახსნა

საქართველოში ბავშთა საგრძნობი ნაწილი შეპყრობილია ფილტვების სისუსტით.

დღემდე ბავშთა ჯანმრთელობის დაცვას ქონდა პროფილაქტიური ხასიათი და მათ შორის ავადმყოფობასთან მზით და ჰაერით ბრძოლას არ ქონია ორგანიზაციული ხასიათი.

გაითვალისწინა რა ეს გარემოება საქართველოს ცაკმა, ჯერ კიდევ შარშან მოიწვია სპეციალური თათბირი, რომელზედაც დადგენილი იქნა ბავშთა სანატორიუმების მოწყობა საქართველოს საუკეთესო კურორტებზე.

ამ დადგენილების მიხედვით ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კურორტთა მთავარი სამმართველო შარშანვე შეუდგა ბავშთა კურორტის მოწყობას პატარა ცემში. ეს ადგილი სპეციალისტთა გამოკვლევით მიჩნეულია ფილტვების სისუსტით შეპყრობილ ბავშთათვის საუკეთესო კურორტათ.

პატარა ცემში ბავშთა სანატორიუმის მოწყობა უკვე დამთავრდა.

სანატორიუმთან მოწყობილია საერთო სასადილო, ბავშთა სამკითხველო, კლუბი, სხვადასხვა გასართობი ადგილები ღია ცის ქვეშ და ფიზკულტურის მოედანი.

სანატორიუმში ბავშთა მიღება დაიწყო ამ თვის პირველ რიცხვებიდან.

ბავშები მიიღებიან 6—15 წლამდე. ბავშთა მოსავლელად და თვალყურისმდევნელად შედგენილია მომვლელ ქალთა სპეციალური კადრი.

ბავშთა ჯანმრთელობაზე დაკვირვებებს აწარმოებენ და მათვე სამკურნალო დახმარებას აღმოუჩენენ გამოცდილი და სპეციალისტი ექიმები.

ბავშთა სანატორიუმში მიღება იწარმოებს 15 სექტემბრამდე. თვითეულ ბავშის შესანახათ მშრომელმა უნდა გადაიხადოს თვეში 140 მანეთი. აღსანიშნავია, რომ თვით საკურორტო სამმართველოს ბავშის მოვლა-მკურნალობა უჯდება 150 მანეთი.

მომავალ წლიდან მიღებული იქნება ზომები რათა მშრომელთათვის სანატორიუმში შესანახი ხარჯები განახევრებული თუ არა, საგრძნობლად შემცირებული იქნას წრევანდელთან შედარებით. ადგილების დაკვეთა შეიძლება სამმართველოში.

სანატორიუმთან მოწყობილია სალარიუმი. ბავშებში მათი ჯანმრთელობის მიხედვით იწარმოებს ვარჯიშობა და კულტმუშაობა.

საერთოდ ასეთი სანატორიუმი თავის მოწყობილობით და სამკურნალო მეთოდებით პირველია მთელ ამიერ-კავკასიაში.

სანატორიუმში არ მიიღებიან ჭლექით უკვე დაავადებული ბავშები.

სასამართლო

ყაჩაღი საბჭოთა აპარატში

1922 წლის აგვისტოში სურამის გვირაბის მახლობლად ადგილი ჰქონდა თავდასხმას მატარებელზე, რომელზედაც მიბმული იყო ამერიკულ კომიტეტის ვაგონი. თავდამსხმელებმა ამერიკული კომიტეტის ვაგონიდან გაიტაცეს 12.000 დოლარი, 30.000 ოსმალური ლირა, 8 მილიონი მანეთი ქართული ბონით და სხვა ძვირფასი ნივთები.

მიღებული ზომებით თავდამსხმელები გარდა ერთისა შეპყრობილ იქნენ. გამოძიებით დადასტურდა შემდეგი:

ამერიკულ კომიტეტში მსახურობდა ვინმე **პავლე კერვალიძე**, რომელიც კომიტეტში ცნობილი იყო როგორც „მისტერ პოლი". „მისტერ" პავლე შეუთანხმდა ყაჩაღებს: **ვალიკო კვიჩირიას, მიხეილ ბიბინეიშვილს, ნიკოლოზ აბაზაძეს და გრიგოლ გამყრელიძეს** და მათთან ერთად შეადგინა ამერიკული კომიტეტის გაძარცვის გეგმა. თავდასხმა უნდა მომხდარიყო მაშინ, როცა ბევრი ფული დაგროვდებოდა კომიტეტში. ამის შესახებ ყაჩაღებს აცნობებდა „მისტერ" კერვალიძე.

1922 წლის აგვისტოში ბათომიდან თბილისისაკენ მიემგზავრებოდა კომიტეტის დირექტორის თანაშემწე ჯორჯ სმიტი, რწმუნებულები შოკოლნიკოვი და მიხატონ ბრაუნი და სხვები. მათ მიჰქონდათ დიდი თანხა. როცა მატარებელი გვირაბში შევიდა შეიარაღებულმა ყაჩაღებმა ბაწრით შეკრეს კონდუქტორი გოგნაძე, ჩაკეტეს ცალკე კუპეში და თვითონ შეიჭრენ იმ კუპეში, სადაც „მისტერ პოლის" ცნობით ფული უნდა ყოფილიყო: ყაჩაღებმა ზევით ააწევიეს ხელი ყველას, წაართვეს დირექტორის თანაშემწეს ყუთის გასაღები, გააღეს ყუთი და წაიღეს, რაც დაუხვდათ.

შეპყრობილი ბოროტმოქმედნი 1923 წელს გაასამართლა რევოლიუციონურმა ტრიბუნალმა, რომელმაც ისინი სათანადოთ დასაჯა. დაუსჯელი დარჩა მხოლოდ ერთი თავდამსხმელთაგანი **ნიკოლოზ ანტონისძე აბაზაძე**, რომელმაც მოახერხა მიმალვა.

აბაზაძე, რომელსაც ნადავლის გაყოფის დროს ერგო 4.000 დოლარი და 4.000 ლირა, პირველ ხანებში იმალებოდა თბილისში. ყიდულობს სახლს სასტუმრო „ევროპა"-ს პირდაპირ. 1922 წლის ბოლოს აბაზაძე მიდის მოსკოვში, სადაც შეცვლილი გვარით ცხოვრობს. აბაზაძემ გვარი გადაიკეთა „სტურუათ". დაიწყო ვაჭრობა ნაძარცვი ფულით, პატარა ხნის შემდეგ ცოლ-შვილიც გაიწვია მოსკოვში და საფუძვლიანად მოეწყო იქ.

აბაზაძის სიძე ტრიფონ ახობაძე, რომელთანაც მიწერ-მოწერა აქვს აბაზაძეს, ურჩევს მას თბილისში ჩამოსვლას და ჰპირდება ხელისუფლებასთან შერიგებას. ახობაძე მიემგზავრება მოსკოვში და დიდი თხოვნის შემდეგ დაითანხმებს თავის ცოლისძმას წამოჰყვეს თბილისში მთავრობასთან შესარიგებლად.

თბილისში სადგურამდე ჩამოჰყვა აბაზაძე თავის სიძეს. სადგურზე აბაზაძეს შეეცვალა აზრი, მიატოვა თავისი სიძე და მიიმალა.

გადის დრო. აბაზაძე ეწყობა მოანგარიშეთ ლაგოდეხის მეთამბაქოეთა ამხანაგობაში. ის ისევ სტურუას გვარს ატარებს. ორი წელი დაჰყო აბაზაძემ ამ სამსახურში, შემდეგ კი მოხდა შემცირება და მოანგარიშე „სტურუა" დაითხოვეს.

აქედან „სტურუა" მიემგზავრება ბორჯომში, სადაც მისი სიძე სატყეო სამმართველოში მუშაობს. სიძემ თავისი ცოლისძმა მოაწყო ათისთავად ახალციხის სატყეო განყოფილებაში: აქაც სტურუას გვარს ატარებს ყაჩაღი აბაზაძე. ასე შეინახა თავი ყაჩაღმა 1927 წლის სექტემბრამდე.

30 სექტემბერს აბაზაძეს აპატიმრებენ ახალციხეში.

აბაზაძე გაასამართლა გორის სამაზრო სასამართლომ.

ბოროტმოქმედს მიესაჯა სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება — დახვრეტა, რაც გასული წლების ამნისტიების ძალით შეეცვალა 10 წლის პატიმრობით.

ბერ.

მასიური ექსკურსიები

ვინაიდან ორშაბათი, 15 ივლისი გამოცხადებულია განსაკუთრებულ დასასვენებელ დღედ, პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ გადასწყვიტა 14 და 15 ივლისი გამოიყენოს მასიურ ექსკურსიების მოსაწყობად.

ამ დღეებში პროფსაბჭოს კულტგანყოფილების სალექციო-საექსკურსიო ბიურო აწყობს მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსიებს. ქუთაისში, მანგლისში, კავკავში, ზაჰესში, ბათომში, წაღვერში, კოჯორში, ნატახტარში, ბაკურიანში, ბორჯომში, მცხეთაში და სხვ.

ყველაზე დიდი მასიური ექსკურსია, ეწყობა ტყიბულში და ქუთაისში, ექსკურსიაში მონაწილეობას მიიღებს 400-მდე კაცი.

ქუთაის-ტყიბულში მიმავალი ექსკურსია თბილისიდან გავა დღეს, 13 ივლისს. ექსკურსანტებმა თავი უნდა მოიყარონ რკ. გზის სადგურზე 4 ნახევარ საათზე.

ექსკურსია ქუთაისში ჩასვლისთანავე გაემგზავრება ჯერ ტყიბულში, საიდანაც დაბრუნდება იმავე დღეს საღამოს.

ექსკურსია ტყიბულში გაეცნობა ქვანახშირის მაღაროებში წარმოებულ მუშაობას. ტყიბულიდან დაბრუნებული ექსკურსია მეორე დღეს, ორშაბათს, დაათვალიერებს რიონჰესის და წყალსადენის სააღმშენებლო სამუშაოებს, ფაბრიკა-ქარხნებს, მუზეუმს და სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს.

ექსკურსიაში მონაწილეებმა უნდა გადაიხადონ 7 მან. და 50 კაპ.

შემდეგი ექსკურსიები ეწყობა: მელითონეთა კავშირის ექსკურსია, 50 კაცის შემადგენლობით, ბათომში; მბეჭდავთა კავშირის—კოჯორში და მანგლისში; საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა და ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის წევრთა ექსკურსია მიემგზავრება კოჯორში; საბჭოთა მუშაკების მეორე ექსკურსია—ზაჰესში; რკინისგზელების ექსკურსია მიემგზავრება კავკავში; განათლების მუშაკთა -ზაჰესში; ფეიქართა — კავკავში; იმავე კავშირის მეორე ექსკურსია მიემგზავრება ბორჯომის ხეობაში; მედსანშრომის—კოჯორში; საბჭოთა მუშაკების—კავკავში, იმავე კავშირის ექსკ.—ფასანაურში და კოჯორში: ხეზე მომუშავეთა—კოჯორში; მიწა-ტყის—კოჯორში; ამავე კავშირის მეორე ექსკურსია—წაღვერში და სხვ.

ავიაქიმში

შეჯიბრება სროლაში

კვირას, 14 ივლისს, საგარნიზონო სასროლო მოედნებზე შესდგება ა.-კ. სასროლო შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის საუკეთესო მსროლელები.

ის მსროლელები, რომლებიც შეჯიბრებაში დაიკავებენ პირველ ადგილს, გაიგზავნებიან სრულიად საკავშირო სასროლო შეჯიბრებაზე მოსკოვში.

„ავიაქიმელი"

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის ჟურნალის „ავიაქიმელი"-ს პირველი ნომერი გამოვა მიმდინარე წლის 1-ლ აგვისტოს.

საფინანსო დისციპლინის განსამტკიცებლად

საკავშირო ავიაქიმის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა გამოაცხადოს კონკურსი საფინანსო დისციპლინის ირგვლივ.

კონკურსი მიზნად ისახავს ავიაქიმის ორგანიზაციების საფინანსო დისციპლინის განმტკიცებას, რადგან შემჩნეულია, რომ საფინანსო მხარე ვერ არის დაყენებული რიგიანად.

კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ ავიაქიმის ყველა ორგანიზაციები (ადგილობრივი და რესპუბლიკანური).

ფეხბურთი

ოდესა—თბილისი

დღეს, 13 ივლისს, დინამოს სტადიონზე გაიმართება მეორე შეჯიბრება ოდესელ ფეხბურთელებთან.

სტუმრებთან თამაშობს ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკთა კავშირის (ყოფ. გემოკვების მუშაკების) გუნდი.

მატჩი დაიწყება საღამოს 6 საათზე.

„საფრანგეთი"—„რუსეთი"

ამ რამდენიმე დღის წინად მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის მუშათა სასპორტო ორგანიზაციების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

პირველი შეჯიბრება ფრანგებთან გაიმართა 7 ივლისს. საფრანგეთის გუნდთან თამაშობდა რუსეთის ნაკრები გუნდი. მატჩი დამთავრდა არაჩვეულებრივი ანგარიშით—20:0 რუსეთის სასარგებლოდ.

რუსეთის გუნდი შედგენილი იყო მოსკოვის და ლენინგრადის საუკეთესო მოთამაშეებისაგან. გუნდში შედიოდნენ: **სოკოლოვი, ა. სტაროსტინი, ეჟოვი, ფილიპოვი, სელინი, ბელიაკოვი, ნ. სტაროსტინი, პავლოვი, ისაკოვი, ბუტუსოვი და პროკოფიევი.**

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟა, სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან: ელენე ჯიქია, ალექსი ტუშურაშვილი, ეკატერინა ლაპატკინამატრონა ბიბილაშვილი, ნიკოლოზ ზვერხინი, მიხ. თემურაზოვი, იოსებ პაველაშვილი, ვასილ პეტროსოვი, იოსებ ოსიპოვი, პეტრე კიკვაძე, მიკირტუმოვი, ი. თოფურია, ტიგ. ავაქიანი, ვიქტორ კუპუხიძე, ანნა ვარაბოვა, თეოფ. ჩიქოქიძე, არსენა მოწონელიძე, აკოპოვი, ლევან შალიჩევი, შენგელია, ბოჭორიძე, ელენა პროკოპენკო, ხაჩ. მანუკიანი, გალაქტიონ ხუციშვილი.

მედ. სექციიდან: კირ. კალაძე, პეტრე ბებუთოვი, ანნა პერეპლოტჩიკოვა, ელენე კალაშნიკოვა, კლავდია პატეიჩი, ანნა კულაბოვა, ვლადიმერ კიკნაძე.

აღმშენებელთა მუშათა სექციიდან: არამი ვოსკანიანი, სესილია ლებედევა, შაქრო მირზოიანი, იოსებ დათუნაშვილი, ვასილ ბლენცოვი, გრიგორ ნასკოვი, პეტრე ნასკოვი, გიორგი კარაპეტოვი, თადეოს სერგეევი, აშოტ ცატუროვი, გიორგი ბულათაშვილი, ვართანა აკოპოვი, შალვა კახიანი, პროკოფი ფანცხავა, სარქის კარაკოზოვი, აკაკი ფანცულაია, ანდრო ვარონინი, სულეიმან ვოლესმანი, მარქაროვი, ესტ. ბახუტაძე, ივანე ტაბაძე, ალ. ბორაპოვი; ხაჩატურ მურადოვი, პეტრე პიროგოვი, დიმიტრი გურული, გურგენ ავაქოვი, გრიგორ გობეჩავა, მიხეილ კონიშვილი.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ბ. პაპუაშვილი, არმენ გურჯანიანი, ალექსი გოგიტური, ბულტკინა, ელენა კუცერმანი, ბაგრამოვი, ღარიბოვი, გაბისკერია, იულია შოთაძე, იასონი ბიძიშვილი, სიმონ ჭუმბურიძე, ტვერდიევი, ანტონინა პაპოვა, მეტრეველი, ჯულიაშვილი, კაციტაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სისხლის სამართლის კოდექსისათვის 143¹ მუხლის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1924 წ. პირველი №-რი, მუხ. 7) მეორე მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 143¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 143¹. ხელმძღვანელისა თუ ორგანიზატორის სახით კოოპერატიული ორგანიზაციის ამა თუ იმ ფორმის (საშინამრეწველოსარეწაო, სასოფლო-სამეურნეო, სამომხმარებლო საინვალიდო და სხვ.) გამოყენება კერძო ბრუნვისა და კერძო კაპიტალის განვითარების დასაფარავად, ექსპლოატატიური მიზნების გახორციელებისათვის გამოიწვევს.

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე მთელი ქონების ან მისი ნაწილის კონფისკაციით ან უამისოდ და სამრეწველო ან სავაჭრო მუშაობის აკრძალვით.

მეწარმესათვის შეღავათებულად ხელის შეწყობა ზემოაღნიშნული მიზნით კოოპერატიული ორგანიზაციის ფორმის გამოყენების საქმეში დაფუძნებლად ყოფნაზე თანხმობის განცხადებით,—ფიქტიური წევრობით და სხვ., უკეთუ დამნაშავე, როგორც თანამდებობის პირი, არ უნდა მიეცეს ამ ქმედობისათვის უფრო სასტიკ პასუხისგებაში, რაც დაწესებულია ამ კოდექსის მესამე თავში თანამდებობის დანაშაულთათვის, გამოიწვევს.

თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. მ. სტურუა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ შ. მათიკაშვილი.

1929 წ. მაისის 25.
თბილისი-სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

შაბათს, 13 ივლისს, წმენდა მოხდება შემდეგ უჯრედებში:

ლენრაიონი:

1. სტალინის სახელ. ქარხნის ამკრეფი სამქრო. საღ. 6 საათიდან. შემმოწმებელი კომისიის შემადგენლობა: **გ. ლელაშვილი, გრ. პოპოვი, ყამარაული.**
2. სამატარებლო ბრიგადა—კონდუქტორთა ბრიგადის აუდიტორიაში. საღ. 6 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: **გ. რთველაძე, ბაგიროვი, თავდიშვილი.**
3. სტალინის სახელ. ქარხნის სახარატო საამქრო—პლეხანოვის სახ. კლუბში. საღამოს 6 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: **მზარეულაშვილი, არუთიუნოვი, ტარასოვი.**
4. ამიერ-კავკასიის რკ. გზ. სტამბა—ანდრეევის ქ., № 50. საღამოს 6 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: **კუხალეიშვილი, გარიშვილი, მონტინი.**
5. ტრამვაის სახელოსნო — ტრამვაის კლუბში. საღ 6 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: **ი. ვაცეკი, ზ. ნამურაძე, ა. სტეფანოვი.**
6. „ხის ნაწარმი" — ელისაბედის ქ. № 121. საღ. 6 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: **ჯარიევი, კოჩინევი, ორაგველიძე.**

„26" კომუნარის რაიონი

1. სახ. მეურნ. უმაღლ. საბჭოს სამთო ტრესტის უჯრედი (ს.მ.უ.ს. შენობა). საღ. 6 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: **ხეიდ იაკუბოვი, აკ. ენუქიძე, ავაქოვი.**
2. იზოლიატორი — მეტეხის შენობაში. საღ. 6 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: **ზაკომოლდინი, სულავა, გ. მახსუვაროვი.**
3. ტყავის ქარხანა № 2. შუადღის 3 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: **კუზნეცოვი, ჩიხრაძე. დარპინოვი.**
4. გალეტის ფაბრიკა — ორთაჭალა. საღ. 6 საათიდან. შემმოწმებელი კომისია: **პაპაჩიანი, კომაროვსკი, გულივერდაშვილი.**

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას საარიცხვო სექტორი, წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ ამხ. ჩარკვიანთან (ოთახი № 22): სერგო ერქომაიშვილი, გიორგი კერულავა, გიორგი გოძიაშვილი, ბარნაბ გერსამია, მიხეილ თურქაძე, დომენტი ეძგვერაძე, ბიძინა იაკობაშვილი, შალვა ცაგარელი, ილია წულაძე, გიორგი ჭყონია, ევგენი სალუქვაძე, გიორგი ვარძელაშვილი და რუბენ დონაძე.

—:—

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას საარიცხვო სექტორი წინადადებას აძლევს ამხ. იონა ბოჭორიშვილს გამოცხადდეს ცეკაში, ოთახი № 22.

გაუბედურებული მეუღლე მარო შვილებით, ძმები; ირაკლი, კოწია, კოლია, ისიდორე, რძლები: ნადია, მარო და ძმის შვილი ლეონიდე აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობებს

თეოფილე ივანეს-ძე ხომერიკის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 14 ივლისს, ავლაბრის სასაფლაოზე. რკ. გზის გადაღმა. გამოსვენება ყოფილ არამიანცის საავადმყოფოდან შუადღის 12 საათზე.
ნ. 2966

საზოგადოება „წერა-კითხვა" მწუხარებით იუწყება თავის თანამშრომლის

ამხ. თეოფილე ივანეს-ძე ხომერიკის

გარდაცვალებას. 2549

მამა ვალოდია; დედა ლუბა; ბაბუები სოლომონი და თევდორე; ბებიები ჯარა და პელო, დეიდები: ოლია და ბაბილინე; ბიძები ამროსი, ვარლამი და კონსტანტინე პერტენავები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათთვის საყვარელ და დაუვიწყარ

პატარა კუკური (ზურაბი) პერტენავას

უეცრად გარდაცვალებას. დასაფლავება კვირას. 14 ივლისს, 5 საათზე. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან. ნ. 296

მეუღლე დესპინე, შვილი ისაკი (ზაგუია), რძალი სერაფიმა, შვილისშვილი ტოტოშა, მისი აღზრდილი ოლია და მელიტონ აფაქიძეები და მისი გულითადი ერთგული მეცე მწუხარებით იუწყებიან მათთვის ძვირფას და საყვარელ

ლევან ტოტიას-ძე აფაქიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 3 ს. ქალ. ზუგდიდში ნ. 296

ბეგი ბერია ცოლშვილით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს მათთვის ძვირფას და პატიოსან, ერთგული მუშაკის

ლევან ტოტიას-ძე აფაქიძის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ზუგდიდში 13 ივლისს. 2542

ცოლი ნინა, შვილები: ვასილი და პლატონი; ძმა სერაპიონი შვილებით, ცოლის ძმები პარმენ და ნიკოლა კამკამიძეები მწუხარებით იუწყებიან

იოსებ სიმონის-ძე არევაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ს. სერბაისში (შორაპნის მაზ.), 14 ივლისს, [illegible] საათზე. 254

ვასილ მიხეილის-ძე ქიქოძე აცნობებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 14 ივლისს დილის 11 საათზე, ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მისთვის დაუვიწყარი დედის

ნინო ლევანის ასული ქიქოძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2531

საზაფხულო ბაღი (ყოფ. არტო) ორშაბათს, 15 ივლისს
დიდი ეთნოგრაფიული კონცერტი 3 განყოფილებად
დასავლეთ საქართველოს სახალხო მომღერალთა ძ. ლოლუას სახ. გუნდი კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით და თბ. რკ.-გზის მტვირთავთა გურულების გუნდი ალექსანდრე მახარაძის ხელმძღვანელობით შეასრულებენ დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერებს
კონცერტში მონაწილეობენ მომღერლები: ნ. ალექსი-მესხიშვილი, ლადო კავსაძე და მონაველ აფხაიძე. კონცერტი დამთავრდება აზიური ცეკვით. მონაწ. თბ. ცნობილი მოცეკვავენი: დ. ჩიკვაიძე და შ. მგალობლიშვილი.
ბაღში დაუკრავს ორკესტრი დასაწყისი სრულ 9 საათზე
ბილეთები გაიყიდება 15 ივლისს დილიდანვე.
მთელი შემოსავალი გადაიდება ნაგომრის თემის (გურია) სოფ. ბუკნარის სკოლის დასამთავრებლად. მომწყობი კომისია.

სახელმწიფო ოპერა ოთხშაბათს, 17 ივლისს
მოსკოვის სახელმწ. აკადემიური დიდი თეატრის ცნობილი ბასის
ალექსანდრე ბატურინის ერთად ერთი კონცერტი მოსკოვის თეატრების არტისტების—ე. დობროვოლსკაიას (კოლორატურული სოპრანო), რ. უმანსკაიას (სოლისტკა) და დ. ვლადიმიროვის (როიალი) მონაწილეობით.
პროგრამაში რუსი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოები. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
ბილეთები თეატრის სალაროში დილის 11-დან 2 საათამდე და საღამოს 6 საათიდან.
2541 2—1. რწმუნებული მ. ბასმანოვი.

ორშაბათიდან, 15 ივლისიდან, კინო-თეატრებში
საზაფხულო აპოლოში | საზაფხულო პალასში
2
დამნაშავეა ბერნარდ გეტცკეს მონაწილეობით
მთის ბალადა ლენი რიფენშტალის მონაწილეობით
ახალი საზღვარგარეთული სურათი
ნ. 2960

14 ივლისს დღის 12 საათზე გლეხთა სახლში დანიშნული კრება ამაღლების თემის კულტ. თბილისში მცხოვრებლებისა
გადადებულია 28 ივლისისათვის დღის 11 საათზე ამავე ბინაში.
ნ. 2967 გამგეობის თავმჯდომარე კ. ხომერიკი

ქუთ. მე-2 უბ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი დ. აფორდია
ამით აცხადებს, რომ 1929 წ. 25 ივლისს, დილით 12 საათზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ანა მიქელაძის 2 სართულიან ქვიტკირის სახლს მდებარე ქ. ქუთაისში, სარაჯიშვილის ქ № 41, რომელიც შეიცავს 10 თვალ საცხოვრებელ ოთახს, 4 სამზარეულო, შუშაბანდით, სარდაფით, დახურული კრამიტით, სახლი შეფასებულია 4.000 მან. საჯარო ვაჭრობა კი დაიწყება თანახმად ს. ს. კოდ. 318 მუხ იყიდება სახალხო მამულის ტრესტის ვალ ს დასაკმაყოფილებლათ თანახმად თბილისის მაზრა ქალაქის სასამართლოსა 9 აპრილს 1928 წ. № 215/2, ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს უნდა წარმოადგინოს ცნობები ს. ს. კოდ. № 311 და 312 მუხ. თანახმად. საწინდარი 10 პროც. ნ. 2964

მარტვილის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ან. გრ. გვილავა
ამით აცხადებს, რომ 25 ივლისს, 1929 წ. დღის 2 საათზე სოფ. სალხინოში თედო ჯიჯალავას სახლში დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, გაიყიდება მოძრავი ქონება კუთვნილი თედო ჯიჯალავასი იოსებ თოდუას ვალის დასაკმაყოფილებლად, რომელიც შეიცავს: ერთი ხის შენობის დუქანი გადასატანად, ტანისამოსის შკაფი, სამი მაგიდა, ერთი ხარდი, ერთი ბუფეტის შკაფი, ერთი ხის კრაოტი, ერთი ფარდაგი, სამოვარი, ექვსი ჩაის და სუფრის კოვზები, ექვსი დასადგამი ლამპები. ხუთი ვენის სკამი შეფასებული სულ 79—40 კ. თანახმად მარტვილის უბნის სახ. სასამართლოსაგან 11 სექტემბრის 1928 წ. თარიღით № 1307. გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა. 2547

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა
ექიმ ნ. გ. კონსტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა
ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება
მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26-01. 2468 13—1

დაკარგე მოწმობა წითელ ქალაქის პროფსკოლის მიერ გაცემული სასწავლებლის დამთავრებისა მარგალიტა იაგორის ასული ნოზაძის სახელზე ჩ. გ. 2971

დაკარგე: პასპორტი ავეტის ერემის-ძე ტეტატიანცის სახელზე, ჩ. გ. 2540

დაკარგე კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 6236 გაცემული ქუთაისის მუშკოოპის მიერ ლევანტი ბეჟუას-ძე დვალიშვილის სახელზე ჩ. გ. ნ. 2964

დაკარგე ს.ა.ლ.კ.კ. საწევრო ბილეთი № 45582 გაცემული ქუთ. მაზკომის მიერ კეთო ვასილის ასული იოსელიანის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2964

დაკარგე: ექვსი სულის პურის წიგნაკი, გაცემული ქუთაისის შინავაჭრობის პურის კომისიის მიერ შალვა პორფილეს-ძე არ[illegible]ენიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2454

დაკარგე პასპორტი სარ[illegible] ენაზე № 3865 და ქართულ ენაზე № 2547 ბალასან მეხრაბეკიანის სახელზე, ჩ. გ. 2543

დაკარგე: პურის წიგნაკი № 208 დავით წიკლაურის სახელზე, ჩ. გ. 2544

დაკარგე: ახალ-აბაშის ცხრაწლიანი შრომის სკოლის დამთავრების მოწმობა № 1014 სოკრატე მურაჩაიას-ძე მიქაძის სახელზე, ჩ. გ. 2545

დაკარგე: პარტსაკანდიდატო ბილეთი № 269 ანაკლიის რაიკომიტეტიდან მიღებული კონსტანტინე ნიკოს-ძე სვანიძის სახელზე, ჩ. გ 2546

დაკარგე 9 წლედის დამთავრების მოწმობა № 424 მოცემული ხატაურის 9 წლ. შრ. სკოლის მიერ გრიშა კაპიტონის-ძე მაჭალაძის სახელზე, ჩ. გ. 2971

სახკინმრეწვის კინოები
საზაფხულო აპოლო | საზაფხულო პალასი | საზაფხულო ეთერი | მინიონი
მხატვრული ფილმი სემირამიდას მარგალიტი
გრანდიოზულად დადგმული ფილმი დიადი საქმის კავშირი (С. В. Д.)
გაროლდ ლოიდი სურათ „მეზღვაურ"-ში
პროგრამის გარეშე „ლიდების საქმე"
განწირულნი 3 და 4 სერია
მალე—კინოოპერი, მთის ბალადა

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს
ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. 25—1

ექიმი პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. ბინამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—1

ექიმი მ. გ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914" შეზხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

პ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე-სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—10

კბილის ექიმი დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ქუთაისში ექიმი ვ. დ. კუჭაიძე
ლენინგრადის სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის შ. გ. ასისტენტი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით საღ. 5—7 ს.
იღებს სპეციალურათ მეანობაში, ქალთა სნეულებათა ავადმყოფთ და ქალთა უროლოგიაში (შარდის ბუშტის, მილის და თირკმელების დაავადებანი). პუშკინის ქ. № 7
2463 25—1

ტირაჟი—40.709
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.